ლიტერატურული ალმანახი

ხოჩნაბუჯი

ოქტომბერი 2017

დედოფლისწყაროს სიონის საკურთხევლის ფრესკა

ISSN 2346-822X

9 772346 822004 >

№ 4

ლიტერატურული ალმანახი №4

„ᲙᲝᲩᲜᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ“

ფასი 3 ლარი | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა | 2017 წელი

სარჩევი

იუბილე
ჯემალ მეხრიშვილი - 75 ---------- 2
ლევან ალავერდაშვილი ---------- 7

პოეზია
ვაჟა ოთარაშვილი ---------- 11
ეკა ჯავახიშვილი ---------- 14
თეა თაბაგარი ---------- 16
თამაზ წიკლაური ---------- 18

ახალი სახელები
ბექა ზამთარაძე ---------- 19
ლია რობიტაშვილი ---------- 21

გახსენება
გოგი კავთიაშვილი ---------- 23
ბადურ ბალარჯიშვილი ---------- 25

პოეზია
ეკა კვანტალიანი ---------- 28
ჯემბერ უთრუთაშვილი ---------- 30
თაფლო ზარიძე ---------- 31
თემურ ჭახნაკია ---------- 33
იოსებ გაგნიძე ---------- 34
ნატა ვარადა ---------- 35
გიორგი წიკლაური ---------- 36

პროზა
ალარა გელაშვილი ---------- 37
არქიმანდრიტი ონოფრე (წულაძე) -- 40

თარგმანი
ჰერმან ჰესე ---------- 42
აბულ ფარაჯი ---------- 43

პუბლიცისტიკა
დალი სულაშვილი
ფიროსმანი... საიდან მოვიდა
ეს უცნაური ადამიანი?! ---------- 45

დედოფლისწყაროს ისტორიიდან
ქეთევან მჯედლიშვილი
ნეჩვოლოდოვების სახლის
ისტორია ---------- 48

ჩვენი მხარე
ნატა ვარადა
საქართველოდან საქართველოში -- 50

მარინე მახარაშვილი
არბოშიკი ---------- 56

შეხვედრა პოეტთან
ნანა ჭიჭინაძე
ატირეთ წვიმები ---------- 63

ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ნუგზარ პაპიაშვილს** და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ **ნონა ჯიბღაშვილს**.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სერგო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:
გუჯა ტუჩაშვილის ნამუშევრებით

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი ნავროზაშვილი

დაიბეჭდა მპ პოლიგრაფში

მობ: 598 54-07-64; Email: gionatro0@gmail.com

ISSN 2346-822X



ჯემალ მეხრიშვილი 75

ᲔᲠᲗᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. შემოვიდა აბიტურიენტი — ჯარისკაცი, მშვენიერი შესახედავი, კარგი ვაჟკაცი. იმ დროს ჯარისკაცებს ცოტა არ იყოს, ამრეზით ვუყურებდით, ვფიქრობდით — საიდანღაც ჩამოსულს, რა ეცოდინებაო. იშვიათობა იყო, ვინმეს რაიმე სცოდნოდა.

ახალგაზრდამ აიღო ბილეთი და დახედა თუ არა საკითხებს, მაშინვე მოისურვა გამოსვლა. კი ვუთხარით — რა გეჩქარება, ჯერ კარგად მოიფიქრეო, მაგრამ დაიჟინა — მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, საკითხები ვიცი და ახლავე გამოვალო. ამან უფრო გაგვაკვირვა. მე, გამომცდელს რომ ამეღო ის ბილეთი, ისე ვერ მოვყვებოდი, როგორც ის ბიჭი ჰყვებოდა. იმდენად ავღელდი, რომ ვატყობ, სადაც არის, ცრემლები უნდა გადმომცვივდეს, მაგრამ იქ ტირილს ხომ არ დავიწყებდი?! ფარნაოზს ვუთხარი — მე პაპიროსს მოვწევ და გამოცდა თქვენ გააგრძელეთ-მეთქი.

გავედი დერეფანში და ვეწევი პაპიროსს, მაგრამ ცალი თვალი აქეთ მაქვს — ბიჭი შეუფერხებლად პასუხობს და პასუხობს... რომ არა და არ მივბრუნდი, ფარნაოზმა ხელი დამიქნია — მოდიო და რომ შევედი, მითხრა: ახლა მეორე არწივი დაიბანს თვალს და შენ მოუსმინეო — და თვითონ გავიდა სიგარეტის მოსაწევად: თურმე იმასაც ეტირებოდა.

ის აბიტურიენტი ახალგაზრდა ჯემალ მეხრიშვილი იყო — მერე ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავდა არცთუ ურიგო მოთხრობებს“...

(ჟურნალი „გზა“, 2001 წ. №20)

ᲩᲔᲛᲐ წლის თებერვალში დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ჩვენი კუთხის შვილს, მწერალ ჯემალ მეხრიშვილს.

იგი დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში. რვაწლედის შემდეგ სწავლა განაგრძო სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საშუალო სკოლაში, რომელიც 1959 წელს დაამთავრა.

სასკოლო არდადეგებზე და არმიაში გაწვევამდე მუშაობდა კომბაინის მეცეცხლურად, მემინდვრეობის ბრიგადის წევრად, მწყემსად, მიწის მზომავად, ხირსის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში კასრების მრეცხავად...

1961-64 წლებში საბჭოთა არმიაშია, საზენიტო-სარაკეტო დივიზიის მესტარტე-რიგით ჯარისკაცად. სანიმუშო სამხედრო სამსახურისთვის 1964 წლის ივნისში საყოველთაო მობილიზაციამდე რამდენიმე თვით ადრე გაათავისუფლეს უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მისაღებ ყველა გამოცდაზე „ფრიადი“ მიიღო და სტუდენტი გახდა. ერთ-ერთ ამ გამოცდას 38 წლის შემდეგ თავის ინტერიუში ასე გაიხსენებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსი ჭინჭარაული** (1925-2012).

„...1964 წელია. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ფარნაოზ

ჯ. მეხრიშვილი სკოლის მერხიდანვე გრძნობდა წერის მოთხოვნილებას და დროდადრო იბეჭდებოდა კიდეც რაიონულ გაზეთში „ახალი შირაქი“. მას არასოდეს დაავიწყდება მაშინდელი მთავარი რედაქტორის, ვლადიმერ მჭედლიშვილის გულთბილი დამოკიდებულება... თუმცა ნამდვილი შემოქმედებითი ტანჯვა და ბრძოლა სტუდენტობის წლებიდან დაიწყო...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს და ჯერ მუშაობდა საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ რაიგანყოფილების პასუხისმგებელ მდივნად (1969-1971), მერე რაიგაზეთის „ახალი შირაქი“ რედაქტორის მოადგილედ.

1976 წელს საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. აქედან მოკიდებული 2002 წლამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ ლიტმუშაკად, საქართველოს „მონკავშირის“ პრეზიდიუმის უფროს ეგერად, თბილისის ზღვის თავდაცვის ინსპექტორად, გაერთიანება „საქთეევზმრეწვის“ საზღვარგარეთ ცურვის კადრების განყოფილების უფროს ინჟინრად, გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტად, ჟურნალ „დროშის“ სპორტული განყოფილების გამგედ...

ჯ. მეხრიშვილი საქართველოს მწერალთა კავშირისა და 2012 წელს შექმნილი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრია.

თავისი მწერლური მოღვაწეობის მანძილზე გამოცემული აქვს შემდეგი წიგნები: „მოთხრობები“ (1978), „შენი მიწა...“, „ყველა გზა შირაქში მიდის“, „ცისფერი ავტობუსი“, „მაისის თაფლი“, „ნაკურთხი მარილი“,

რომანი „აბი“, „გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?!“, „თავფარავნელი დედაბრის ალქიმია“, „PEN-მარათონი თუ კამიკაძეთა პიკნიკი?!“, „დარდიმანდული დაუდევრობა“, პიესა „დებილთა მძევლები“, „დარდი“, „გათავისუფლება“ (ფიროსმანზე), „კითხულობს ქალუნდაური“, „ტარაკნების პროსპექტი“, რომანი „იძულებითი ასორტიმენტი...“

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის დახურვამ და მის ნაცვლად მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძართან ახალი პანთეონის დაარსებამ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ ნაწილში უკადრისი, თუმც უსაფუძვლო ვნებათაღელვა გამოიწვია, რაც დღემდე არ ცხრება!

ჯ. მეხრიშვილმა სწორედ ამ პოლემიკას მიუძღვნა თავისი ბოლო, მწვავე კრიტიკული წიგნი „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“, რომელიც ამა წლის მაისის ბოლოს დაისტამბა.

წიგნს წამძღვარებული აქვს ამგვარი ეპიგრაფები.

რად არა ხართ მონასტერში,
არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ?
გამოსულხართ და დასდიხართ,
ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ!

დავით გურამიშვილი

ვინც განდიდების კვერით დანაყრდა,
რა ეშველებათ, იმ უბედურებს!

ნიკო სამადაშვილი

სამშობლოს დასაღუპავად ერთი არამზადაც კმარა.

ნაპოლეონი

ამქვეყნად მართალი გზით რომ იარო,
საკუთარი თავი ბოლომდე უნდა გაწირო.

რენარი

სიტყვა-პასუხი მკვახე მაქვს და
კაზმულ ლაპარაკს,
მშვიდობიანობის დროს შესაფერს,
მოკლებული ვარ!

შექსპირი

საორიენტაციოდ გთავაზობთ რამდენიმე მოკლე ამონარიდს:

* * *

აქ მთელი უბედურება ის არის, მავანნი თავისთავად პანთეონს კი არა, ჩვენი მრავალტანჯული და ისედაც ტერიტორიებწართმეული სამშობლოს ერთ-ერთ მადლიან კუთხეს იწუნებენ! ეს ხომ იგივეა, ადამიანმა თავისი ღვიძლი დედის სახე და ხატება დაიწუნოს!..

* * *

...ეროვნული ინტერესებით მსუნთქავ ნებისმიერ რედაქციას, დაინტერესებულ პიროვნებასა და ოჯახს, მით უმეტეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესა და „ცნობილ ადამიანებს“ ნუთუ არ უნდა ესმოდეთ: მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი არსდება არა მხოლოდ დღევანდელი მართლაცდა ღირსეული „ცნობილი ადამიანებისა“ თუ ფეხისხმასაყოლილი თვითმარქვია, თანაც წუნია და ბუტია „მოღვაწეებისთვის“, არამედ ერის ღირსებისთვის! აქედან: არქიტექტორ-ქალაქთმშენებლების მიერ მოსახდენ ადგილას შერჩეულმა პანთეონმა — განგების ნებით კი მახათას მიდამოები სწორედ ასეთია! — საუკუნეებისა და შესაძლოა, ათასწლეულების მანძილზეც უნდა მიიბაროს ერის სასიქადულო შვილები!!!

...მაშ, რა უფლება აქვთ, მრავალი საუკუნის თაობათა და მამულიშვილების სახელითაც რომ იწუნებენ მახათას მთას, რითაც საზოგადოების მგრძნობიარე წარმოდგენას ჯალათურად აყოყმანებენ და ახალდაარსებული პანთეონის შეგუება-დამკვიდრების სასიხარულო პროცესს მტკივნეულად აჭიანურებენ!..

* * *

...მრავალი საუკუნისთვის გათვალისწინებული ნებისმიერი პანთეონისთვის გამოყოფილ ვრცელ, ცარიელ მიდამოს იქ ხამად მისული ჩვეულებრივი ადამიანის თვალში, ცხადია, თავისებურად უდაბური და შეუფერებელი იერი ექნება — ახალი პანთეონი ათწლეულების, ოცწლეულების, საუკუნეების განმავლობაში თუ არ შეივსო, აბა, მისი დაარსებისთანავე საიდან, როგორ, რანაირად ექნება უკვე შევსებული, სრულყოფილი და მით უმეტეს, ყველასთვის მოსაწონი და მისაღები სახე?!

...ახალი პანთეონი ერის მგრძნობიარე ცნობიერებაში თანდათან დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს და ბუნებრივად გადაიქცევა მისი თაყვანისცემის სავანედ!..

* * *

...ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი მომავალი პანთეონის მფარველ ანგელოზს დამსგავსებოდა... მახათას დაბორცვილ მიდამოზე დაცემული მიმწუხრის ბინდი თანდათან მუქდებოდა. ჩაწურული მზის ალერსიანმა სხივებმა უფრო გამოკვეთით შემოხაზა ცივ-გომბორის თხემი... საგურამოს ქედის მთისწინეთი... ივრის წაგრძელებული ზეგანი და იალნოს ქედი, მახათას ადგილმდებარეობა თითქოს უფლის სურვილით რომ შემოუმესრავთ!

ნეტარება იმ გამორჩეულ მამულიშვილებს, ვისაც მადლიერი ერი სწორედ აქ მიუჩენს სამუდამო განსასვენებელს!.. ხოლო ის ქართველი, განუჭვრეტელი ბედიღბალი მახათას პანთეონში დაკრძალვის პირველობას რომ არგუნებს, ჩვენი მგრძნობიარე ხალხის წარმოდგენაში, ალბათ, ეროვნული გმირისა თუ წმინდანის შარავანდედით შეიმოსება!

ასევე ვბეჭდავთ ავტორის მიერ საგანგებოდ შერჩეულ ერთ-ერთ ქვეთავს, „თანამედროვე ცოტნე დადიანი.“

ᲗᲣᲯᲗᲚᲘ

თანამედროვე ცოტნე დადიანი



ახლა კი თვით ვითარება მავალდებულებს მკითხველებს დავუსახელო ის ღირსეული მამულიშვილი, ვინც პანთეონებთან დაკავშირებით მავანთაგან მავნებლურად აკვამლებულმა უზნეობის მახრჩობელა ვნებათაღელვამ სრულიად ბუნებრივად აქცია თანამედროვეობის ცოტნე დადიანად!

ეს ქართველი მწერალი ნოდარ წულეისკირია!!!

მთელმა საქართველომ კარგად იცის, ნოდარ წულეისკირს ბედ-იღბალმა როგორი მძიმე ცხოვრება არგუნა. პოლიტიკური ქარტეხილები ჯერ კიდევ არ აპირებდა ჩაცხრომას, 1994 წელს მართლაცდა ბიბლიური მოძღვრის შესაფარდი გადაწყვეტილება მიიღო – კასტურ-პოლიტიკური სურავანდით დაავადებულ დედაქალაქს გაეცალა და ჯვარზე გაკრული სამშობლოს უფრო უკეთ მსახურებისთვის მარნეულის რაიონის სოფელ ნერაქვში გადასახლდა! სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში, რომელიც საქმეში ჩახედულ პირველმნახველს ოდესღაც ადამაშვილების ოჯახში დატრიალებული საზარელი სისხლიანი ტრაგედიის სველ ბეჭედს დღესაც ალანდებს, რის გამოც სულით ხორცამდე შეძრულ მომავალ კლასიკოსს იქ ფეხი აღარასოდეს დაუდგამს!!!

ნოდარ წულეისკირი ნერაქვის საშუალო სკოლაში ჯერ მასწავლებლობდა, მერი კი მისი დირექტორი იყო. ცხოვრობდა მწერალთა კავშირის მიერ ადრე თავისი წევრებისთვის გამოყოფილ მომცრო ნაკვეთში ანაგებ სახლში... გატანჯულ მწერალს განგება გამოცდას გამოცდაზე უწყობდა: ორი ქალიშვილიდან – ირმა და მაკა – ჯერ პირველი მათგანი გარდაეცვალა, მერე მეუღლე, ქალბატონი ეთერი...

2015 წლის 13 თებერვალს გარდაცვლილი ნოდარ წულეისკირი თავისი ანდერძისამებრ იქვე, სოფელ ნერაქვში, საკუთარი სახლის ეზოში დაკრძალეს... გულში ხინჯად ჩამრჩა, ეს რომ ვერ შევიტყვე, რათა თავის უკანასკნელ გზაზე მეც გამეცილებინა...

ახლა რ. მიშველაძის „ჭირისუფლებისა“ და „მხატვრული ინტელიგენციის“ არშინით თუ მივუდგებით, აბა, როგორ არ უნდა გავხეტდეთ – ასეთი გამოჩენილი მწერალი და მამულიშვილი რაღა „უცხო“ სოფელში დაიკრძალა, ნუთუ არ შეიძლებოდა უფრო „უკეთესი“ ადგილი გამონახულიყო?!

ო, როგორ არ შეიძლებოდა და თანაც რამდენგან!!!

ნოდარ წულეისკირი დაიბადა 1932 წელს, მარტვილის რაიონში, ოდიშის დაბლობის მადლიან მიწაზე, მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფელ ბანძაში. ეს სოფელი თავისი ისტორიით ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში – იგი პირველად გვხვდება 1639-40 წლებში სამეგრელოში რუსეთის ელჩობის აღწერისას. ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“, 1737 წელს შედგენილ რუკაზეც აღუნიშნავს „ბანძა-ფაღაოს სასახლე“.

ჰოდა, თუკი სოფელზე მიუდგებოდა საქმე, ნოდარ წულეისკირსაც არ ერჩია, „სხვისი“ სოფლის მაგიერ ისევ „თავისი“ მშობლიური სოფლის მიწას მიბარებოდა?!.

ბანძადან ახლა საქართველოს დედაქალაქში გადმოვინაცვლოთ. ნოდარ წულეისკირს თუგინდ მოკრძალებული ანდერძ-მინიშნება რომ დაეტოვებინა და მის ჭირისუფლებსაც მოეწადინებინათ, დარწმუნებული ვარ, მიშველაძისეული სწრაფი რეაგირების „ქართული ინტელიგენცია“ დიდუბის დახურული პანთეონისადმი 2015 წლის დასაწყისში უფრო წარმატებით „იძალებდა!“ თუმც წარმოუდგენელია, მისთანა თავმდაბალ შემოქმედსა და მოქალაქეს დიდუბის უკვე დახურული პანთეონისადმი მსგავსი ძალადობის უკადრისი სურვილი გასჩენოდა!

არადა, ნოდარ წულეისკირს მაინცდამაინც პანთეონის „ავადმყოფობა“ რომ სჭირვებოდა, მახათას მთაზე წინ ვინ დაუდგებოდა?! წინ დაუდგებოდნენ კი არა, უკანასკნელ გზას ია-ვარდით მოუფენდნენ და თავისი ბინიდან იქამდე სულ კვნესა-გალობით მიაცილებდნენ, ოღონდაც ნავსი გატეხილიყო და ყველასაგან გადაჭრით დაგმობილი ახალდაარსებული პანთეონის სათაყვანო პირველი ბინადარი სწორედ იმისთანა შემოქმედი და მამულიშვილი გამხდარიყო!!!

ანდა, სულაც თაბორის მთაზე, მონასტრის საუფლოში სხვა შემოქმედებს ერთი ფეხით აასწრებდა და მაგალი თოდუას იქ დახვდებოდა! თან რა დამთხვევა იქნებოდა – ორივე სახელოვან შემოქმედს მარტვილის მიწის მაწიერი ძუძუ აქვს ნაწოვი!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მივარდნილი სოფლის მაგიერ თავადაც საბურთალოს სასაფლაოზე, თანამეცხედრის გვერდით დაიბარებდა სამუდამო განსასვენებელს!

დაე, მკითხველებმა ახლა თავად განსაჯონ – კაცი, რომელიც თავისი ნებით ერთ მივარდნილ სოფელში დაიკრძალება, განა შეიძლება საერთოდ, შემოქმედის ღირსება და უკვდავება მისი სამუდამო განსასვენებლის ადგილმდებარეობასთან ჰქონოდა გაიგივებული?! მაგრამ როგორც ამ გაუთავებელი საპანთეონე ვნებათაღელვიდან ირკვევა, მრავალთაგან განსხვავებით ნოდარ წულეისკირისთვის უმთავრესი ყოფილა არა საკუთარი სამუდამო განსასვენებელი ადგილის პრესტიჟი, ადგილი და ხედები, არამედ დანაკუწებულ-გაწამებული სამშობლოს გაერთსულოვნებისა და გამთლიანების წმიდათა წმიდა იდეა, მისი ნატანჯი მიწა-წყლის ყოველი გოჯის ყადრი და თანაბრობა!

ჰოდა, აქ როგორ გინდათ გაუმკლავდეთ შეუპოვარ განსჯა-სამდურავს: რ. მიშველაძისეული „ჭირისუფლები“ ერთხმად იმუქრებიან – მახათამდე შვიდი კილომეტრი

შორია, იქ ვერ ვივლითო! კარგი მაგრამ, ნოდარ წულეისკირის მარტვილელი თუ თბილისელი ჭირისუფლები აღარ ჩაითვლებიან ჭირისუფლებად?!

არავინ იცის, მოულოდნელად პანთეონების პრობლემებით გატაცებულმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მახათას მთამდე მანძილი თბილისის რომელი წერტილიდან ან რანაირად გადაგვიზომა, მაგრამ 7 კმ-ის სიშორით შემკრთალ-შეურაცხყოფილი მისი ერთსულოვანი „ჭირისუფლების“ პარალელურად მაშინ ესეც დავაზუსტოთ – ნოდარ წულეისკირის უპრეტენზიო ჭირისუფლებსა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს რამდენი ექნებათ გასავლელ-ასავლელი.

ლოქის ქედის ჩრდილო კალთაზე შეფენილი სოფელი წერაქვი ისეთი პატარაა, რაიონულ რუკაზეც კი არ არის დატანებული (იხ. ქართული ენციკლოპედია, ტ. მე-6, გვ. 449-ე, მარნეულის რაიონული რუკა) და ოფრეთის სოფლსაბჭოსაა მიბმული. დააკვირდით ამავე რუკასა და მის მასშტაბს – სოფელი ოფრეთი რაიონის უკიდურეს სამხრეთით მდებარეობს და როგორც თვით ოფრეთი, ისე მის სოფლსაბჭოში შემავალი და რუკაზე აღუნიშნავი სამი სოფლიდან – წერაქვი, ხოხმელი, ჯანხოში – ხელის გაწვდენაზეა სასომხეთის სახელმწიფო საზღვარი. წერაქვი ზღვის დონიდან 980 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მარტვილიდან თბილისამდე 281 კმ-ია. თბილისიდან მარნეულამდე 40 კმ. მარნეულიდან სოფელ წერაქვამდე? 45 კილომეტრი!!!

ესე იგი, თავიანთი სახელოვანი შვილის სამარის თაყვანისსაცემად მარტვილელებმა 365 კმ უნდა გაიარონ, თბილისელმა ჭირისუფლებმა – 85 (ოთხმოცდახუთი) კილომეტრი!

აბა, აქ კომენტარებს ვინ მომითმენს ან რიღასთვის მოისმენენ?!

შეიძლება ვინმე უაზროდ შემომეკამათოს – ნოდარ წულეისკირი წერაქვში თავისი ანდერძით დაიკრძალაო!

მეც მანდა ვარ!!!

თუკი ნოდარ წულეისკირს ისედაც დანაკუწებული საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული ბაღდადად მიაჩნდა, მაშ, წუნია „ჭირისუფლებსა“ და „მხატვრულ ინტელიგენციას“ ასე რამ გაუცივა გული, რომ ემანდ, სამების საკათედრალო ტაძრის გადაღმა მდებარე მახათას ახალდაარსებული პანთეონის გაგონებაც კი არ უნდათ!..

ამრიგად, საპანთეონე ვნებათაღელვასთან დაკავშირებით ერთმანეთზე მძივისებურად აკინძული ეპოქალური მწვავე მოვლენები, აღმაშფოთებელი შეხედულებები, ჯიუტი ფაქტები, თავისთავად ამოტივტივებული ისტორიული პარალელები და ეროვნული განცდები ნოდარ წულეისკირს სრულიად ბუნებრივად წარმოგვიდგენს ჩვენი გაუკუღმართებული დროის ცოტნე დადიანად!

მე თვითონვე ვგუმანობ, მეტად სახამუშო იქნება ამის მოსმენა, ბევრმა კი იქნებ მკრეხელობადაც ჩამომართვას, მაგრამ ჩემს მოსაზრებას მაინც პირუთვნელად გამოვამზეურებ. უკადრისი პირადი ზრახვებით მავანთაგან ჯალათურად დაკორტნილ-დასაჭურისებულ ეროვნულ ზნეობასთან მიმართებაში ნოდარ წულეისკირის გადაწყვეტილების მესიანური დამთხვევა მას თვით ცოტნე დადიანზეც მაღლა აყენებს!

უძლეველია ლოგიკის ძალა, თუ საკითხს სუფთა გულითა და ცივი გონებით მივუდგებით!

ახლა კარგად გავისიგრძეგანოთ ცოტნე დადიანის თავგადადების ვითარება, მიზანი და შედეგი. კოხტასთავის შეთქმულება გამჟღავნდა და მონღოლთა წინააღმდეგ ქართველების აჯანყების გეგმა ძირშივე ჩაიფუშა. ცოტნე დადიანმა კი თავისი საარაკო საქციელით შეთქმულების დატყვევებული რამდენიმე მოთავე სიკვდილს გადაარჩინა.

ნოდარ წულეისკირი ცოტნე დადიანივით არ მდგარა სამაგალითო გმირობის გამოჩენის აუცილებლობის წინაშე: რ. მიშველაძისეული „ჭირისუფლებისა“ და „მხატვრული ინტელიგენციის“ მიერ ახალდაარსებული მახათას პანთეონის საყოველთაო ბოიკოტით შებღალული ეროვნული ღირსებისა და ზნეობის გადარჩენის მხურვალე სურვილით უარი შეგნებულად ეთქვა თავისი მწერლური „გაუკვდავების“ „აუცილებელ“ პანთეონზე და საქართველოს ერთ-ერთ მივარდნილ, თანაც საზღვრისპირა სოფელში ეულად დაეკრძალათ, რათა ამ ხერხით სამაგალითო წმინდანად ან სახალხო თუ ეროვნულ გმირად მოგვლენოდა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის დემაგოგიით გზაკვალარეულნი როგორმე ჭეშმარიტებისკენ შემოებრუნებინა!!!

უკადრისი და უადგილო ამბიციებით წონასწორობადაკარგულ შემოქმედთაგან განსხვავებით ნოდარ წულეისკირის მიერ თავისი სამუდამო განსასვენებელი ადგილის უპრეტენზიო არჩევანში მსგავსი არაფერი არის! მისი პიროვნული ღირსებისა და მოვლენების განვითარების თანმიმდევრობის მიზეზით არც შეიძლებოდა ყოფილიყო!

ნოდარ წულეისკირის არჩევანსა და მის პიროვნულ თვისებებს სწორედ ეს ბუნებრიობა აუზენაესებს და თავისთავად აქცევს ჩვენი დროის ცოტნე დადიანად! თუმც ამგვარი განაცხადი მავალდებულებს უკიდურესად ფრთხილი და ობიექტური ვიყო! ამიტომ პირდაპირ ვიტყვი: რ. მიშველაძეს მახათას ახალდაარსებული პანთეონისა და დიდუბის ეკლესიის წინააღმდეგ მკრეხელური ჯვაროსნული ლაშქრობა რომ არ წამოეწყო და მოვლენების სრულიად ბუნებრივი მიმდინარეობისთვის ხელი არ შეეშალა, მაშინ ნოდარ წულეისკირის მიერ თავისი სამუდამო განსასვენებლის ამორჩევის მაგალითს, ცხადია, ამგვარი მასშტაბურ-ეროვნული რეზონანსი არ ექნებოდა და ცნობილი ქართველი მწერლის ჩვეულებრივ ნებასურვილად ჩაითვლებოდა!!!

დღეს კი, როცა ოფიციალურად დახურული დიდუბის პანთეონის ძალდაძალ გაფართოების ბრმა ჟინით ატანილ „ჭირისუფლებსა“ და „მხატვრულ ინტელიგენციას“ სამუდამო განსასვენებელთან დაკავშირებით თბილისის ცენტრს იქით გახედვაც კი ზარავთ და ამიტომ აგდებით იხსენიებენ ჩვენი სამშობლოს წმინდა მიწის ერთ-ერთ ნაწილს – მახათას მთას, ნოდარ წულეისკირის წინასწარმეტყველური არჩევანი თავისთავად იძენს ეპოქალური მაგალითის ძალასა და მნიშვნელობას, რაც ჭეშმარიტ მამულიშვილს ცოტნე დადიანს უთანაბრებს და მასზე მაღლაც აყენებს!

აჰა, თავად განსაჯეთ და გაავლეთ პარალელები: ანისს, მონღოლთა ბანაკში ჩასული ცოტნე დადიანი თავისიანების უდანაშაულობის ნათელსაყოფად თვითონაც გვერდში ამოუჯდა მცხუნვარე მზის ქვეშ დასხმულ, მხარგაკრულ თანამოძმეებს. მონღოლები განუცვიფრებია ამგვარ საქციელს, მაშინვე ურწმუნიათ ქართველების უდანაშაულობა და ყველანი უვნებლად გაუშვესო.

აქ მემატიანე მეტს არაფერს გვეუბნება, პირადად

ჩემთვის კი ამოუხსნელ ამოცანად დარჩება: ნახევარი მსოფლიოს დამპყრობი მონღოლები ნუთუ მართლა ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, ცოტნე დადიანისთვის ეს ასე იოლად დაეჯერებინათ, მით უმეტეს, როცა ხელთ ჰქონდათ კოხტასთავის ფარულად შეკრების ფაქტი!

არ დავიჟინებ, შეიძლება ვცდები, მაგრამ რატომღაც მე ასე მწამს: მონღოლებმა ცოტნე დადიანის ნათქვამი და საქციელი მართლა კი არ დაიჯერეს, არამედ ცოტნე დადიანმა თავისი გაუგონარი გაბედულებით მონღოლებს არჩევანი აღარ დაუტოვა – მათ უეჭველად უნდა გაეთამაშათ დაჯერების ინსცენირება!!! კი მაგრამ, რატომ? აი, რატომ: თვითონ მონღოლები უმამაცესი მეომრები იყვნენ და ახლა ამგვარი „ტყუილისთვის“ ქართველი დიდებული რომ დაესაჯათ, თავისთავად გამოდიოდა, რომ ამით დასაჯეს ვაჟკაცობა და გაბედულება ანუ სწორედ ის ქვაკუთხედი, რაზედაც დაფუძნებული იყო ჩინგიზ-ყაენის ადათ-წესებით გამოწრთობილ მონღოლთა მხედრობის ზნეობა და ქველობა!

ასე რომ, ჩემი ვარაუდით, მონღოლებმა ცოტნე დადიანს ნათქვამი კი არ დაუჯერეს, არამედ ქედი მხედრულად მოიხარეს მისი საარაკო გაბედულების წინაშე და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს – ყველანი უვნებლად გაუშვეს, რითაც ორი კურდღელი მოინადირეს: თავადაც განთქმულმა ვაჟკაცებმა, ქართველის გასაოცარ გაბედულებას ჯეროვანი პატივი მიაგეს და ამით სულიერად თავადაც ამაღლდნენ როგორც საკუთარ, ისე დატყვევებულთა თვალში! ხოლო ეს ქართველი დიდებულები კოხტასთავში თუკი აჯანყების მოსამზადებლად კი არა, მართლა მონღოლთათვის მისაცემი ხარკის საქმეზე იყვნენ შეკრებილნი, მაგას რაღა სჯობს! მაშინ ზიანის მეტს რაღას მოუტანდათ მათი სიკვდილით დასჯა?! მაშ, ეს ეჭვმიტანილი ქართველი დიდებულები ისევ დაუბრუდნენ თავ-თავიანთ საგამგებლოებს და უფრო მეტი ერთგულებით განაგრძონ მონღოლთა მიერ დადგენილი ხარკის კრეფა და ძლევა!!!

ასე იქნებოდა თუ ისე, ცოტნე დადიანის თავგადადებას მცირეოდენი ჩრდილი არც ერთ შემთხვევაში და არსაიდან არ ადგება!!!

ნოდარ წულეისკირი?! მოციქულივით თითქოს ადრევე გრძნობდაო, რა ხიფათიც უმზადდებოდა სამშობლოს ზნეობასა და ერთსულოვნებას – თბილისიდან ხელის გაწვდენაზე მდებარე მახათას პანთეონს აბუჩად აიგდებდნენ, მან, ნოდარ წულეისკირმა თავისი სამუდამო განსასვენებლის ამორჩევისას ისეთი უანგარო გადაწყვეტილება მიიღო, ცხადია, თავიდან ვერავის მოუვიდოდა აზრად, მის ამ მაგალითს ძალიან მალე პარალელი ცოტნე დადიანის გმირობასთან გამოენახებოდა!

მართლაც! მათი გადარჩენის მიზნით როგორც თავგადადებული ცოტნე დადიანი მიუჯდა მხარგაკრულ თანამოძმეებს, განგებამ ნოდარ წულეისკირსაც თითქოს თავგზადაკარგულ თანამოძმეთა შესაფხიზლებლად და შთამომავლობის დასაკვალიანებლად შთააგონა „შორეული“ ქვემო ქართლის მიწაში განსვენებულ წინაპართა შორის დაკრძალულიყო, რათა თვალგონდახშულთ როგორმე თვალგონი ახელოდათ: არა აქვს მნიშვნელობა, ვინ სად დაიბადა და აღიზარდა, მერე სად ცხოვრობდა ან რა დონის შემოქმედი, მოღვაწე თუ მამულიშვილია – როცა საქმე სამუდამო განსასვენებელს ეხება, მაშინ ჩვენი გატანჯულ-დანაკუწებული სამშობლოს ნებისმიერი კუთხე-კუნჭულის მიწა თითოეული ჩვენთაგანისათვის მსუბუქი, თბილი, სათაყვანო და ღვთის ჯილდოდ მისაჩნევი უნდა იყოს!!!

აქ კი იძულებული ვხდები, ერთგვარ შეუფერებელ, მაგრამ, ჩემი აზრით, აუცილებელ განმარტებასაც მივმართო. სამწუხაროდ, ქვეყანა მოწმეა, თვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაც კი როგორი გაუთავებელი და „თავმოსაწონებელი“ პროპაგანდა ეწევა მავანთა მონაწილეობით ოდესღაც, სადღაც გადახდილ ლხინ-ქეიფებს, შემოქმედთა შორის პურ-მარილით გამტკიცებულ მეგობრობას და ამ ნიშნით ერთმანეთის ქება-დიდებას! ამიტომ ვინმეს რომ არ ეგონოს, ნოდარ წულეისკირს თვითნებურად მეც ამ მიზეზით ვასახელებდე, სახალხოდ ვაცხადებ: ამ შესანიშნავ მწერალთან და მამულიშვილთან სულ რამდენჯერმე ვარ შენახვედრი, ისიც ახალგაზრდობისას, სოფლიდან თბილისში რედაქციების შემოსავლელად ერთი დღით რომ ჩამოვიდოდი ხოლმე და მასთან თავი მუდამ მოკრძალებით მეჭირა. ამიტომ ჩვენი მოკლე საუბრების თემა არასოდეს გასცდენია სამშობლოს, ენის სიწმინდისა და ლიტერატურის ფარგლებს... ჰოდა, თავს უფლებას როგორ მივცემდი, ნოდარ წულეისკირი თანატოლივით თათარიახნად სადმე სალხენად ჩამეპატიჟებინა: სად ჩვენ მიერ განსჯილი ლიტერატურული იდეალები და სად შეზარხოშებული დამლხენებით სავსე, სიგარეტის ბოლით გამჭვარტლული და მოყაყანე... ხოლო როგორც სტუმარს თუ მასპინძლურად თვითონ შემომთავაზებდა ერთად წახემსებას, ეგეც კარგად ვიცოდი, როგორ ავცდენოდი ეკლებზე ჯდომას!.. და რაც მთავარია, სხვადასხვა მიზეზით ჩემი ცხოვრება თავიდანვე სრულიად ბუნებრივად ისე აეწყო, არც ერთ მწერალთან არ მაკავშირებს ყანწ-შამფურებით აღმოცენებული ურთიერთობა! აქ ჩემთვის უმთავრესი და გადამწყვეტი სულ სხვა რამეა: ლიტერატურის ჯარისკაცის სინდისიერება და ურთიერთგატანა!!! ამიტომ დღეს, როცა ქართველ მწერლებს ყოფნა-არყოფნის ტოტალურ ომში ჩათრეული, ყოველი მხრიდან ალყაშემორტმული სამშობლოს დაცვა გვიხდება, რა ვქნა, ასე მწამს, ასე მინდა, რომ იყოს: თვით ახალბედა მწერალიც კი, ჩემთან ერთად ჭიქა აეწიოს კი არა, გვარ-სახელითაც რომ ვერ მიცნობდეს, მჯერა, როგორც თანამებრძოლს, ზურგიდანმაინც მამაცურად დამიცავს, ისევე როგორც ჩემს ჯარისკაცურ მოვალეობად მიმაჩნია, ზურგიდან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვა ნებისმიერი თანამოკალმე, ოპონენტი კი არა, პირადი მტერიც რომ იყოს!

დღევანდელ მძიმე ვითარებაში, როცა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით გატაცებული უმრავლესობა უჟმურად არის განწყობილი ყოველივე იმის მიმართ, რაც თვითონ მას არ უჯდება ჭკუაში, არ ვიცი, ვინ როგორ შეხედავს ნოდარ წულეისკირზე ჩემს ამგვარ მსჯელობას... მაგრამ ჩამოიძაფება მძიმე დრო-ჟამი და პანთეონებთან დაკავშირებული დღევანდელი პუბლიკაციების შემაძრწუნებელ ფონზე მომავლის გადასახედიდან სულ სხვანაირად შეფასდება ნოდარ წულეისკირის მოციქულებრივი არჩევანი. ამიტომ ღრმად მწამს, მისი ხსოვნა და სახელი ამქვეყნად ყველაზე საპატიო პანთეონში – ხალხის გულში დაიმკვიდრებს სამუდამო საბინადროს! ხოლო თითოეული შეგნებული ქართველი უფრო მეტი სიყვარულითა და პატივისცემით განიმსჭვალება მარტვილისადმი, ყველაზე ძნელბედობისთვის საქართველოს ცოტნე დადიანისებური მამულიშვილი რომ უშობა და აღუზარდა!



ლევან ალავერდაშვილი

ლევან ალავერდაშვილი დაიბადა 1971 წლის 2 ივლისს, წითელწყაროს(დღევანდელი დედოფლისწყარო) რაიონის სოფელ ჯაფარიძეში(დღევანდელი სამრეკლო).

1988 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მისი ლექსები იბეჭდება საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ალმანახებში; არის ერთი პოეტური კრებულის – „ნუ დამაჯერებთ“ – ავტორი. არის დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანების და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ამა წლის 2 ივლისს იგი 46 წლის გახდა. ვულოცავთ მეგობარ პოეტს დაბადების დღეს. აქვე გთავაზობთ თანამოკალმეების მიერ ლევანისადმი მიძღვნილ ლექსებს და რამოდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსსაც მისი შემოქმედებიდან.

გია გარსევანიშვილი

* * *

ლევან ალავერდაშვილს

აღარ გათენდა. იწვის სანთელი.
უტყვი გრძნობები უხმოდ მღერიან,
თუ ამაოა სუყველაფერი,
სადარდებელი არაფერია.
ამ ღამეს ვერსად დავემალები,
ხმა ისმის, თითქოს ზარებს რეკავენ
და ლიმნისფერი სანთლის ალები
ცეცხლის სხეულით თრთოლით ცეკვავენ.
ძილისთვის მოვცდე – რატომღაც არ მწამს,
მე არ დავწვები – თუმც დავიღალე,
შავ საფერფლეში ჩავაქრობ ნამწვავს
და კვლავ ვუკიდებ ახალ სიგარეტს.
ნეტავ სადაა ახლა ლევანა,
იქნებ ზეცაში ვარსკვლავებს დასდევს,
იქნებ ვინმესთვის ლექსი ევალა...
და რითმით ამსხვრევს მოწოლილ დარდებს.
იქნებ ჩემსავით ახლა ღვინოს სვამს
და გულს უთქერავს ვაების ეტლი.
იქნებ დაეძებს ნიკო ფიროსმანს
და ქარის წისქვილს ჩემსავით ებრძვის.
იქნებ თამბაქოს კვამლში ეხვევა
და ოცნებებით გასცქერის სივრცეს.
იქნებ აწამებს შველის ფეხება
და გულს რძისფერი ნისლებით ივსებს.
იქნებ ჩემსავით ახლა მარტოა
და დუმს, ვით სოფლის ძველი საყდარი.
იქნებ წუხილმა დაიმარტოვა
და გაუთხარა ლექსში საფლავი.
დავიფერფლებით ათას ფერებად,
ჩვენს თავს გავუჭრით ლექსში სამარეს,
ჩვენ ჟამთა დენა ვერ მოგვერევა,
ჩვენ თვით სიკვდილსაც დავასამარებთ.

ეს იყო ქარი

ლევან ალავერდაშვილს

ღამე სიფხიზლეს ვერა გუობდა
და გულს ვწურავდი, ვით ყურძნის მტევანს,
მე კი არა ვთქვი – ქარი ღმუოდა,
ქარი ღმუოდა, სადა ხარ ლევან?!
მე კი არა ვთქვი, ეს იყო ქარი,
რომელიც ფლეთდა ღამეულ ლანდებს
და ანჯამებზე მიბმული კარი
ჭრიალ-ჭრიალით ამსხვრევდა ღამეს.
მე კი არა ვთქვი, ეს იყო მთვარე
ცაზე მიკრული შოთი პურივით,
ნისლი მოჰქონდათ ჭკვაშეშლილ ქარებს
და წუხდა ღამე წიწამურივით.
თითქოს ისმოდა გუგუნი ზარის,
რომელიც ღამის უკუნში გმინავს,
ეხეთქებოდა ცივ მინას ქარი
და მომბღაოდა – არც ლევანს სძინავს.
კრთოდა სანთელი ლიმონის ფერი
და მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგევართ,
ღვინოს ვისხამდი და დოქის ყელი
გაიძახოდა – სადა ხარ ლევან?!
რაღაც უსაზღვრო ვიყავ იმ ღამით,
გაიჭრიალა ოხვრით კარებმა.
მე კი არა ვთქვი, ეს იყო ქარის
ამოუხსნელი იდუმალება.

ანტაგონიზმი

ლევან ალავერდაშვილს

გესლივით ვაღვრი ბოღმას ამ ფურცელს,
იდუმალებით ავსილა არე,
ახლა ღამეა, არაყს ვსვავ, ვუცქერ
ლამფის შუშაში დამწყვდეულ მთვარეს.
არავის ეშხი აღარ მიზიდავს,
არავის ტრფობით აღარ ვიწვები,
აღარც ამური, აღარც იზიდა,
აღარც ბავშური წრფელი მიზნები.
ათასგვარ ფლირტებს რა დამავიწყებს,
უძირო ღამით როცა ვიღლები,
ეგ ასულები სადღაც წავიდნენ,
მათ ადგილზე კი დარჩა ნიღბები.
მე უკვე გამცდა – ჯერი სხვისია...
ჩემს დაულაშქრავ გავყურებ ბექობს.
ერთხელ ვითხოვე ტრფობა ნისიად...
სიტყვა გადიქცა გაბზარულ ექოდ.
მწყაზარ ქალწულთა ცეცხლში გამოვლილს
სიძვა-ფლირტებმა ვერა დამაკლონ.
მე უკვე გამცდა ნავით ქარონი
სისხლი, ცხედრები და სასაკლაო.
ვერ შემაჩერონ, ისევ მოვდივარ
იქცევა ზეცა, მთლად უპატრონო,
ჟამთა დინებას როგორ მოვზიდავ,
მალე გაიგებ, ლევან ბატონო!

ᲑᲔᲥᲐ ᲪᲘᲠᲔᲥᲘᲫᲔ

ლევან ალავერდაშვილს

შენი სხეული დაღლილია, დროა სიმშვიდის,
არყოფნის ჟამი ყოფიერში სხივებად ელავს,
ბოლო წამები ოცნებებში შერწყმული მიდის,
უცხო მთიბველი ოცნებებსაც უცებ მოცელავს.
თანმდევი, თეთრი ზმანებები განადგურებენ,
ზეცისფერეთში მიასვენებ საკუთარ ცხედარს,
თვალებში ჩვილნი ანგელოზნი ისადგურებენ,
როს აღმართავენ დედაბოძად მცხეთაში კედარს.
შეშლილი ღამე... სულშეშლილი სულს ეთხოვები
და მომაკვდავსაც საკუთარი ჩაგესმის კვნესა,
გზადაგზა ალბათ ღიმილებსაც მისთვის ტოვებდი,
რომ გაღიმებულს სასიკვდილო სამსალა გესვა.
არავინაა! გეშინია! გადაფითრდები...
ეძებ მიწაზე მიტოვებულ მაცხოვრის სხეულს,
მკვდრეთით აღდგომას იესოსაც ისე პირდები,
თითქოს არასდროს გინატრია სიკვდილი წყეულს...
მირონმდინარე ხატებიდან უცხო სახება,
უცხო სხეული, რომ ჩააცვეს ღმერთებმა შენს სულს
და სასოებით, სათაყვანოდ მიეახლება
შენი თვალები ნაზარეთში მარიამს ორსულს...
მერე თენდება... ვერ პოულობ საკუთარ თავსაც,
გესმის საზარი შეკივლება რიჟრაჟის ბინდის,
ხვდები იპოვე, მიაგენი ეძებდი რასაც,
შენი სხეული დაღლილია, დროა სიმშვიდის.

ᲖᲘᲖᲝ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ

შემოდგომა

ლევან ალავერდაშვილს

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
ჩამოიხედე სულში, წყვდიადო,
და შემოდგომის გადაჰყევ დუმილს.
მე უშენოდაც მგვემენ ქარები
და სიცოცხლისას ვერ ვიკლავ წყურვილს,
დანისლულია ცრემლით თვალები,
დაბზარულია კედლები სულის.
დაჰქრის ველური ლექსების ჯოგი,
ზოგი უმიზნოდ გრიგალებს უხმობს,
თუ ეს სიშლეგე დღეს ღიმილს მოგგვრის,
ხვალ უსათუოდ გატირებს უხმოდ.
დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
მე ესეც მომკლავს, წადი, წყვდიადო,
და მოწყენისფერს გადაჰყევ დუმილს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

წყალობა

თ-ს

ამაღამ მგოსანი იტირებს,
გედებით მიმოფენს მთა-გორებს...
ეს ღამე დაღუპვას მიპირებს,
სიღრმით რომ შენს თვალებს მაგონებს.
არსაით შემწე და მფარავი,
ბნელები მიღრჩობენ იმედებს,
შენს მეტი არავინ, არავინ,
წყალობას არავინ იმეტებს...
და სულში გვირილად განორჩდი,
მაშრიყით რომ გამოაშუქე...
მითხარი, საიდაან გამოჩნდი?!
ხვალის დღე რისათვის მაჩუქე?!

„მორჩილი”

ამ მორჩილებას სიძლიერის მოსავს მანტია,
რა დაგიფიცო,
ასე ახლოვ, ქცეულო სხვისად,
შენა და ლექსი,
აი, განძი, რაც მაბადია...
შენს ერთ კულულს და
ერთ ცრემლს არვის დავუთმობ ვფიცავ!
ეს მორჩილება არ მორჩილებს ლეთას და ქარონს,
რჩება უმწეოდ,
შენი კდემის კართან მთეველი,
ბედს გადვეხვევი,
ოღონდ ჩემებრ სხვამ შეგიყვაროს
და ცრემლით დაგტოვ,
როგორც ტაძარს კათაკმეველი.

გაწილება

თ – ს

შენ გსურდა ალერსი მარტოღა,
გართმევენ ნეტავი რისათვის...
და ახლა უაზრო მარტიღა,
გაცილებს უცნობი გზისათვის.
ეძლევი ლოცვიან სიშორეს,
მოწყენილს თანაბედ დასავით,
დავკარგე?! უჩოქებ ღვთისმშობელს,
პასუხი არსაით, არსაით...
და სულში ნაღველი იღვარებს,
ვით ქროლვა ულაგმო ცხენების...
იღამებს, რა ჩქარა იღამებს,
აღარსად იმედით თენების...
და გინდა სიმშვიდე მარტოღა,
გართმევენ, არ ვიცი რისათვის...
და მხოლოდ გამწყრალი მარტიღა
გაცილებს შორეთის გზისათვის.

ეს ბოლო იყოს...

თ – ს

ეს ბოლო იყოს, მაპატიე, რაც რამ მოგწერე,
ეხლა ყოველი ამაოა, ბინდით ნაფერი,
სული მარადი ყინულია და ამის მერე,
აღარაფერი აღარ კვნესის, აღარაფერი...
შემომხვევიან ტკივილები ყვითელ გველებად,
მიმაქვს ცრემლებით მონიაღვრე მკრთალი ღაწვები,
აქ კი რჩებიან, იმა დღეთა უკვდავ ხსენებად,
მწვანე ნაძვები, მარადისად მწვანე ნაძვები
და მერე, როცა გამიტაცებს მორევი სევდის,
სადღაც შეწყდება მრუმე ბედის სრბოლა-დინება...
ფიქრად ვიელვებ და თვალებით მომაკვდავ გედის
ჩაგეძინება, აცრემლებულს ჩაგეძინება,
ჩავლიან წლები მოგონებათ ცისფერ ხეივნებს,
ჭკნობას წაჰყვება მომზისფერო მაღალი ვარდი...
და მერე ნანად მიუმღერებ ძილისპირ შვილებს,
როგორ მიყვარდი, ერთადერთო, როგორ მიყვარდი.
ეხლა კი მორჩა, ამაოა, რაც რამ მოგწერე...
ესაა ბოლო მუზათ ღელვა შენგან ნაფერი,
გული მკვდარია საფიცარი და ამის მერე
აღარაფერი აღარ მტკივა, აღარაფერი.

გაზაფხულის საპატარძლო

ფერი წმინდა ზეცის ოდეს
დაეძებდეს დასავანისს,
ზნე და კდემა შეგშვენოდეს
დედოფალი ქეთევანის.
ვისით მანგიც მოხიბლულა,
ნუთუ მართლა შენ ხარ, ერთა,
ნუთუ მართლა შენზე თქმულა –
„მზე შინა და მზე გარეთა“...
და მთიებად მემრისისა
მე ვილოცებ მარად გასძლო...
იყო ყინვათ ნემესიდა,
გაზაფხულის საპატარძლო.

ლადოს

მზე ჩასვენია ყვიციან სახეს,
არ შემოგხედო უფრორე მიჯობს,
აუჰ! რა წლები წასულან, ნახე,
რომ ასაკითაც გაგასწარ ბიჭო...
ხან ზეციური ჰანგით ვირთვები,
ხან თალხიანი გამსუდრავს რითმა,
ჭლექმა კი არა, შენი ფილტვები,
სისხლჭარბი ლექსის დახეთქა ზვირთმა.

გალაქტიონი – 17 მარტი

იყო მთაწმინდის მთვარე,
დაფნა, სურო და ხვითო...
ის საიდუმლო მხარე,
ის შორად ყოფნის სიტკბო...
მაღალ ღვინოში ვარდის
როცა ირევა მტვერი,
ცვრიან ბალახზე დარდობს
ეფემერული მერი...
სასტიკს, მძლავრსა და უძლევს,
დრო ხედავს დანტეს ახალს...
ვერჰარნს, ძილად რომ უსმენს
რკინის ბორბლების ხარხარს...
და ედგა ქვიშის ტრამალს

ქართა უდროო კვნესა...
როს ედრებოდა გრაალს,
ლოცვით, თიბათვის მზესთან...
იყო – ბოჰემა, ბავშვი,
ნატვრად – ცამეტი ტყვია...
მაგრამ ერთხელაც მარტში
სარკმელი დარჩა ღია...

უსათაურო ბაღები

გიორგი გაჩეჩილაძეს

როცა მზე ყინვებს ამოახველებს
და წავა ბაღით ძვირფასი ლედი,
გაეტირება ყვავილთა ხელებს
დედიშობილა პოეტის ბედი...
მაშინ ვიხსენებ, შორეულ ჩქამით,
ანა პერენას მშობლიურ ლივლივს
და სააპნისო, ალმაცერ ღიმით,
თხემით-ტერფამდე სიკვდილი მივლის...
დღეთა დღეობას რჩება სიალით
გარდასულ წელთა შანდლები ჩაღი,
სადაც ვარდობის ღრმა იდეალით
უსათაურო ჰყვაოდა ბაღი...
და იყო რაღაც ლამაზიც ჩემში,
რითაც მიწიერს არაფრით ვგავდი,
იადონისფერ ნისლების ჩქერში
ნარების ახლოს ვარდებსაც ვრგავდი...
იწვოდა ბაღი ელვის ციურში,
ქარონის წარბთა დანახედარი,
როს ელსინორის ელიზიუმში
იწვა ჰამლეტის ცივი ცხედარი...
სადაც დუელში დაშნას თუ ნაგანს
ადევს სიცოცხლის ალთა ნაზობა,
ის, შერჩენილი, ლამაზი რაღაც,
თვალდაურული ახალგაზრდობა...
და ჟამი მაღრიბს სადაც ახვედრებს
მზეს საბარძიმე ღვინით დაფერილს,
პოეზიაში გულწასულ მხედრებს
ვხედავ ბაღებში მიმოდაფენილს...
იქ გეენიის გასაოცრება
გადიალმურებს მგოსნეულ ბაგეს...
დიდ პოეზიას ბადებს ოცნება,
პოეზია კი სიმაღლეს ბადებს...
და როცა მზეებს ამოახველებს
ყინვა და ბაღში შემოვა ლედი...
გადაეგება ყვავილთა ხელებს
ხელგაშვებული პოეტის ბედი
.

ჩემი ლურჯი „დემონები”

რახანია რა ქარია,
ასეთ ხილვას ვემონები,
ქრის და თავზე დამხარიან
ჩემი ლურჯი დემონები,
როცა სული-მარტოსული
მავსებს სუფთა გემოვნებით,
ხან უფსკრული, ხან ცადსული,
მგოსნეული დემონებით,
ყველა სიტყვა – მოთქმა, მითქმა,
რაიც მითქვამს ხელოვნებით,
შურით ლეთას ვერ დაინთქა
გემოვნების დემონებით;
ყველა ქალებს – მანგთა დარებს
საფიცარებს მგოსნის ვნებით,
არ გავატან მღვრიე ღვარებს
ლურჯზე ლურჯი დემონებით
და თუ ცრემლი ჩამომექცა,
მთვრალი ნურვის გეგონებით,
სავსე არის ჩემი ზეცა
ზეციური დემონებით...
რახანია რა ქარია,
ამ სტიქიას ვემონები,
ქარია და აქ არიან
ჩემი ლურჯი დემონები.

მე მიწოდებდნენ...

მე მიწოდებდნენ დემონს და გულქვას,
უღმერთოდ დამგმეს, მიმტრეს, მიშარეს,
მიშლიდნენ სიცილს, მიშლიდნენ სუნთქვას,
ლექსი წერა კი ვერ დამიშალეს.
მე აბღავლებით უნდა ვტიროდე,
ბედმა იმდარად გამადუხჭირა,
სხვას ვკლავდი – მაშინ არ მპატიობდნენ,
თუ თავს ვიკლავდი – არა უჭირდა.
მაინც არ ვთხოვდი მე მოწყალებას,
თანახმა ვიყავ ამ განაჩენზე,
რომ ჩამოეხრჩოთ სულის წვალება,
რომ ყველა ტყვია ეცადათ ჩემზე.
ცილისწამება დღისით და ღამით,
თუმცა ვერაფრით ვერ გამაოცეს,
დიდების გზები მომირწყეს შხამით,
გზა ქვესკნელისა ღვინით დალოცეს.
მაინც ვერ მოკლეს გული ბოლომდის,
ძარღვებში სისხლი ვერ დამიდინჯეს,
ვერ გადმაჩვიეს მუზის მოლოდინს,
კალამზე ფეხი ვერ დამიბიჯეს.
უნდოდათ მკერდზე შემხლოდა ტალღა,
აქაფებული და გამრიყავი,
შუბლს ვერ დაატყვეს შიშისგან დაღლა
და შევრჩი აწყმოს ის, რაც ვიყავი...
თუმც მიწოდებდნენ დემონს და გულქვას,
დამგმეს, დამცინეს, მიმტრეს, მიშარეს,
მიშლიდნენ სიცილს, მიშლიდნენ სუნთქვას,
პოეზია კი ვერ დამიშალეს.

ვაჟა ოთარაშვილი

ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს – დაბადებიდან (1817წ. 4(17) დეკემბერი) 200 წლისთავს

ციხლიდან

„ბარათაშვილს გამოექცა მერანი ანუ ტატოს წერილები განჯიდან ეკატერინე ჭავჭავაძეს“

წერილი №1

აქ უშენოდ ყოფნას ქვია ტანჯვა,
შუბლს მიცხელებს ნახჭევანის ჰავა...
რა შორია თბილისიდან განჯა –
აქედან კი ფიქრით წუთში ჩავალ...
კატერინა უსასრულოდ გნატრობ,
დუელში ვთხოვ შენს მეუღლეს – ვერანს...
ამ ლექსს გიწერს მარტოსული ტატო,
შენთან ატანს თავისივე მერანს...

წერილი №2

„ეკატერინე აქ არის და მისმა საყურის თამაშმა გადამრია...“
ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილიდან

ვერ მიატოვებ სამეგრელოს
დედოფლის ტიტულს,
ძვირფას ავეჯით სავსე ტალანებს...
შენი მეუღლის თავადის ფიტულს –
დუელში ვიწვევ...
და იქ ვანანებ...

წერილი №3

„ნეტავი იმას, ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს...“
ნ. ბარათაშვილი

ო, სამეგრელოს დედოფალო, ჩემგან შორსა ხარ,
ყოველდღე ხედავ ვარდზე სხივებს რომ იჭერს ნამი...
გადაკარგულს კი ციება მკლავს, სიცხე მომხარშავს –
ობოლ სულს ვეღარ უთანაგრძნობს ნახიჭევანი...

წერილი №4

ვერას მიზამდა განჯის ჰავა, ჩემო კატინა,
შენ რომ აქ მყავდე... გიგონებ და ენა დამება...
ამ განშორებამ იცი გული როგორ მატკინა –
სულ მელანდება მთაწმინდაზე შემოღამება...

წერილი №5

„არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ“.
ნ. ბარათაშვილი

დედაქალაქი სამეგრელოს დედოფალს ელის...
ამბობენ უნდა ჩამობრძანდეს ქუთაისიდან...
განჯაში ვგდივარ... შუბლზე ტილო მახურავს სველი,
არადა ტრფობა დედოფლისა როგორ მიზიდავს...

წერილი №6

„შემონახულია ცნობა, რომ პატარძალს –
ეკატერინე ჭავჭავაძეს ქაშუეთში
საკურთხეველთან გული შეუწუხდა...“
(არქივიდან)

საკურთხეველთან გული შეგიწუხდა, ეკა,
თითქოს ქაშუეთის კედლებმაც დაიგმინა...
წუთით გაირინდა ზარების რეკვა,
მხოლოდ მნათე ბუტბუტებდა:
„ღმერთო, ამინ...“
ალექსანდრე ჭავჭავაძეს სახე გაეყინა –
სამეგრელოს დედოფალს უმზერდა...
ჰოი, ტატო, ცხოვრებისგან გარიყულო,
დარჩენილო საკუთარ მუზებთან...
სწორის დაკარგვა შეგრჩება ხსოვნაში,
საყურის თამაში – იდუმალ ნანახი...
ციება შეგხვდება, განჯაში, ოღრაში
და ოხრად დაგრჩება სატრფო და ყაბახი...

„არ დაიჯერო, თუ ვით სატრფო ხარ...“
ეკატერინე თავადზე გათხოვდა...
და ისევ მარტო ხარ...
და ისევ მარტო ხარ...

წერილი №7

ო, კატერინა, ჩემო ეკავ, ჩემო კატინა,
იასამნებით მოჩითული გახსოვს აპრილი?..
ჩემმა განჯაში გამგზავრებამ გული გატკინა,
თუ თვალს შეაშრა მოლოდინი – ცრემლად დაღვრილი...
გახსოვს თბილისი? როგორ ჩანდა იმ სიმაღლიდან –
ვუმზერდით სიონს, ნარიყალას ბებერ გალავანს...
და რა ვიცოდი უშენობა ასე დამღლიდა,
სხვებივით ვცოცხლობ და ამ ქვეყნად თითქოს არა ვარ...
ნეტა გადარდებ თუ ქმრის მკერდზე ტკბილად კრუტუნებ...
თუ უპეები ამოგივსო ჩუმმა ლოდინმა...
ეკატერინე, ჩემო ეკა, ჩემო კატინა –
ისევ გეძახი... განჯაში ვარ... ჩემთან მოდი, რა...

წერილი №8

შენ ალბათ ისევ ლოტოს თამაშობ,
არ გამოდიხარ ვიცი ჩრდილიდან...
თუმცა მაგ კაბის ლამაზ მარმაშებს
ჩემი სიზმრები შემოივლიდა...
აქ ნახჭევანში ქარი ქრის ცივი
და ავაზაკებს ყოველდღე დავდევ...
სული ობოლი უშენოდ ტირის,
ლოცვა-ლექსები თუ აღწევს ცამდე?..
განჯაშიც ცივა და მალარია
თითქოს სხეულში წვიმად იცრება...
ჩემი ლექსები თქვენი ვალია –
დაბრუნებული კუბოს ფიცრებად...
კატინა, ვიცი არ დამივიწყებ
და ჩვენს სიყვარულს ატარებ გულით...
გაგახსენდება ჩემი სიფიცხე
პოეტი – ბედით დაღდადაგული...
უკვე ზეცაში ავდივარ ეკა...
თრთოლვით ტოვებენ ხელებს ხელები...
ქართულ ტაძრების ზარების რეკვას
კვლავ მთაწმინდიდან მოვეფერები...

ტატოს წერილი №9

მივყარხარ... მაგრამ კვლავ ვტოვებ ტფილისს,
ისევ მომელის წყეული განჯა...
მიმყვება საგზლად ქართული ხილი
და ცხენებისთვის ქერი და ნამჯა...
წავალ და ვინმეს ვემახსოვრები?
ან ჩემი ლექსი მოძმეს უშველის?
გონჩა-ბეგუმის ქმარის მსტოვრების
მესმის ყბედობა – თანაც უშვერი...
ეჰ, ეხლა მხოლოდ შენ მედარდები,
შენ უპატრონე ჩემს ეულ პწკარებს...
ვიცი, უეცრად გავავდარდები
და მთაწმინდაზე კვლავ ვიწანწკარებ...

ტატოს წერილი №10

მე მიმატოვა განჯაში ყველამ,
აღარც ვახსოვარ გენერალ ბიძას...
დუქანში პური გავტეხე ხმელი,
თუთუნის ბოლი კი თვალებს მიწვავს...
ეკატერინე თუ გახსენდები...
თითქოსდა ღრუბლებს მივყვებით ქარში...
მიკვნესის სული – სავსე სევდებით,
შენ მარადიულ დედოფლად დამრჩი...

წერილი №11

თათბირზე ვზივარ... ალიაქოთი
მიბრუებს თავს და გონებას აზელს...
შენ კვლავ ერთობი ალბათ ბანქოთი
თუ ჩემზე ფიქრობ კვლავ Mademoiselle...
ყაჩაღებს ისევ განჯაში დავდევ
და მენატრება შენთან ამური...
ჩემი ლექსებით ავდივარ ცამდე,
მაგრამ ვეცემი მიწას ხმაურით...

წერილი №12

წვიმის ხომ არ გეშინია, კატრინ,
ღამის ხომ არ გეშინია, კატო...
გაგაჩნია რა ღვთიური მადლი –
აქ განჯაში ყოველდღე რომ გნატრობ...
აქაც ლამის ჩამოიქცეს ზეცა,
მე კი ცაში ყაყაჩოებს გიკრეფ...
მტკვართან ვდგევარ, რომ იცოდე მეცა,
ისე სწრაფად გამოვყევი ფიქრებს...
ვერ ვიძინებ... ვწრიალებ და გდარდობ,
გევედრები ძველებურად მენდე...
ტფილისში ხარ?.. რას აკეთებ ამ დროს,
ნეტა როგორ უმკლავდები სევდებს...

წერილი №13

მთელი ცხოვრება ნამდვილ სიყვარულს ვეძებ,
დედას ვუყვარდი... ცაში წავიდა... გაქრა...
ჩემი ოცნება ღრუბლისგან გამოვძერწე –
ბაზალეთის ტბა... ყაყაჩოების აფრა...
ნეტა ბოლომდე ჩემს გულისტკივილს იგრძნობს,
ან მე გავიგებ მისი სიმების ჟღერას?
იქნება ღამე კვლავ გავაგონო ვინძლო,
ჩემი ლექსების ანდამატური ბგერა...
მე მიმატოვა ამქვეყნად ყველა ქალმა:
X-მა, Y-მა, Z-მა, α-მ თუ β-მ...
კატრინ, დამბუგა ამ სიყვარულის ალმა –
ნახჭევანიდან შენსკენ მოვქრივარ კენტი...
მითხარი, კარგო, გზაში ციება მომკლავს,
თუ კვლავ ვიხილავ დედოფლის რძისფერ მკლავებს?..
წუთისოფელი – ვისთვის სიზმარზე მოკლე,
როცა ობოლ სულს სიყვარულისთვის კლავენ...

წერილი №14

მადარდიანებს მონატრება – უცეცხლოდ რომ მწვავს,
განჯაში ვგდივარ... აქ ვერ ვიგებ ტფილისის ამბებს...
ფოსტალიონი ძველ გაზეთებს მომიტანს როცა
გიხსენებ კატრინ და ვიწყევლი ობოლი თავ-ბედს...
ეკლესიაში რომ ყოფილხარ – ვიღაცამ მითხრა,
ჰო, ტფილისელი პორუჩიკი შემხვდა დუქანში...
კვლავ მომაგონდა ქაშუეთი... მაგ ტანის მიხვრა...
ნარდი ყაბახზედ და ზედიზედ ორი დუ შაში...
რა ვქნა, უშენოდ რომ სიცოცხლეს არა აქვს აზრი
ან ტყვია მომკლავს ყაჩაღისა ანდა ციება...
გუშინ უფროსი ჩამოვიდა – ტიალი მაზრის...
ერთი მაგისიც...
შენგან ვითხოვ კვლავ პატიებას...

ავონიაში მყოფი ტატოს წერილი ეკატერინე ჯავჯავაძეს

მთავარანგელოზ რაფაელს შევთხოვ,
რომ მომაცილოს ამ წყეულ განჯას...
კვლავ მელანდება ყაბახზე ვერხვი –
რიჟრაჟზე თრთვილის რომ ისხამს მარჯანს...
შენ დედოფლური სევდით ირთვები,
მოვალეობის მძიმეა ხარკი...
დატყვევებულა ბეჭდით თითები,
პირჯვრის წერითაც ვერაფერს არკვევს...
შენთან შეხვედრა ისევ მწყურია
და ჩინოვნიკის მბოჭავს მუნდირი...
კატრინ, მივდივარ... დასასრულია...
და დასასრული არის... მუდმივი...

მომაკვდავი ტატოს ბოლო წერილი
1845 წ. ოქტომბერი

ვკვდები, კატინა...
ვაგლახ რომ ვკვდები...
განჯის ქუჩებიც მიაქვთ ყაჩაღებს...
ორბელიანთა ლამაზი დების
ნაზ ღიმილს ვინღა შემომაჯახებს...
დამიტირებენ შენი თვალები
თუ გამწირავენ ქმართან მალულად...
ეკა გიკვდები... არ გებრალები,
სიკვდილი უკვე შემოპარულა...
შავი ყორანი გამითხრის საფლავს –
28 წლის ვარ... ჩემი ბედისა...
. . . . . .
პოეტის შუბლზე დაფენილ დაფნას
სამშობლოს მიწა გვიან ეღირსა...

ᲔᲚᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გვირილა

ხან ჩაიქირქილა ქარმა, ხან იცინა,
პასუხიც ვერ გამცა, „ხო“-ცა და „არა“-ცო
და მერე გვირილამ გამანდო იცი რა?
ნუ დარდობ, უყვარხარ, ძალიან თანაცო.
საწვიმარ ღრუბლებს მზე თვალებში მისხამდა
და უცებ გვირილამ ღიმილით ამავსო,
სიყვარულს გული გრძნობს, უსმინე მის ხმას და
რას უსმენ ნეტავი ქარს ჭორიკანასო.

* * *

ფეხზე მკიდია ქარები და
ღრუბლები ლეგა,
ისე დაგქრიან, თითქოს ქერის
ყანა ეთესო,
მადლობა ყველას, ვინც ოდესმე
წახვედით ჩემგან,
მადლობა ღმერთს, რომ ისევ ველი
საუკეთესოს.
ჩემთვის სამყაროს არც სასრული,
არცა აქვს კიდე,
ის არ ვარ ვინც ვერ გამოსულა
ყოფის ნესტიდან,
ქუჩაში ნაგდებ გაღიმებას
ხელს არა ვკიდებ,
მისი ღიმილი უნდა მოვხსნა
ევერესტიდან!

* * *

ცოტაც მარტოობა გადაივლის,
წავა მოწყენილი ქუჩები,
კოცნად შემოგინთებ იმდენ ივნისს
წყურვილს ვერ იკლავდეს ტუჩები.
ცოტაც გაგაგიჟებ მარტივით და
ავრევთ თებერვალის სარეცელს,
დაგღლი მოფერებით, ისე დაგღლი
თვალი არავისკენ გაგექცეს.
ცატაც და შენს სუნთქვას ნამაისევს,
ტანზე ვარდებივით მოვიბნევ,
ნიავს ოქტომბრისას გავაჭენებ
და შენს ნოემბერსაც მოვირბენ.
მერე დეკემბერი, იანვარი,
ნისლის გავიშალოთ ნაბადი,
ტანზე გადვიფაროთ ღრუბლები და
ფეხზე გვკიდია თუ დაგვბარდნის.
მზე რომ ივლისივით გაგვიღიმებს,
მთელი დედამიწის გრაალი,
განა სიყვარული სხვა რამეა?
ხვატი აგვისტოსიც რა არი,
როცა გულში ცეცხლი გიკიდია
იად ამოპენტილ აპრილის,
შფოთავს სექტემბერი, შფოთავს როგორც
ჩვენი სიყვარულის ნაპირი.
ცოტაც, მონატრებას გავუძლოთ და
როცა გამოვძვრებით თოვლიდან,
ერთად მეცხრე ცაზე მივაწეროთ
„ჩვენი გაზაფხულიც მოვიდა“!

* * *

ციდან ოცნება ყველა ავყარე,
იხეტიალონ ახლა ქარებში,
ჩემი ღიმილი ვერ შეგაყვარე
ვერ ჩაგიგუბე სხივი თვალებში.
განელდა გრძნობა წვიმაში, ქარში
და თავისთავად გზებიც გაიყო,
ხელში გეჭირა კონკიას ქოში,
ის ჩემი ქოშის ცალი არ იყო.

* * *

ცხოვრება ასეა იავდრებს, იგვალვებს,
მკაცრია, ნუ ელი იმისგან „ფილიებს“,
ძლიერნი უსიტყვოდ ხვდებიან გრიგალებს,
წკავწკავი სჩვევიათ სიოზეც ფინიებს.
ჩაივლის მდინარე წმინდაა თუ მღვრიე,
ვინც იბრძვის ის იგებს, ისიც ვინც ითმინა,

თუ გინდა რომ იყო ლიდერი უღრინე
სისუტეს, თუ არა იყავი თრითინა.

* * *

მითხარი როდის შეგიფარივარ,
როცა მეხვია ღრუბლები ლეგა,
გავიწყდებოდა, რომ მეც ქალი ვარ
და მოფერება მინდოდა შენგან.
მარტო სიტყვები სულს ვერ სცდებოდა,
სხეულს სურვილის სხვა ცეცხლიც ენთო,
უკვე განსაჯა დრომ ვინ ცდებოდა
შენ წახვედი და მეშენს ლანდს ვერ ვთმობ.
ეს გზა წვიმებმა ბერჯერ დანამა,
აქ მიყვარს მოსვლა, აქ დროს ვაჩერებ,
სხვა იქნებ გკოცნის ჩემზე თამამად
ასეთი გრძნობით? ვერ დამაჯერებ.
დღეს ბედნიერის თუ ნიღაბს ვირგებ,
ქარებს ვუმალავ სევდის მანტიას,
როდისმე წასვლას ალბათ გაგიგებ,
არ მინდა თქვა რომ ვერ მაპატია.

* * *

მზე იცინის, გაზაფხული
გული ფეთქავს იაში,
რაკრაკებენ წყაროები,
რაც კი გზა-გზა სმენიათ,
ისევ ისე დაკარგული
ვარ ჩემს უტოპიაში,
რა გახდა ეს სიყვარული
ველარ მოუსვენია.
ცა სულ გადავიზეპირე,
ვარსკვლავებიც დავთვალე.
ლაჟვარდებმა ვერ მოღალეს
ყმაწვილური ის ფრთები,
ცხვირზე წამოსკუპებული
ვერ მადინჯებს სათვალე
და ცხოვრებავ ახლა უფრო
მეტად მევარდისფრები.

* * *

ხან სევდა მომეძალება,
ირყევა ფიქრის ქანები,
რატომ დადიან ცალებად
ნეტავ პოეტი ქალები.
გინდა ცრემლებში იტბორონ,
არჩეულ გზას არ იცვლიან
და მარტოობენ მიტომ, რომ
მათ სიყვარული იციან.

* * *

გზა არ ჩანს ნისლების ქაფებში
და წვიმა მთელ სხეულს მილოშნის,
შევდივარ მომდევნო კაფეში,
რომ ეს დღეც ჩავახრო ღვინოში.
თეთრ ვარდებს ჰყიდიან ბოშები,
ვიღაცაც არიგებს მოსაწვევს,
ილევა დათვლილი გროშები,
„ბარმენი“ მთავაზობს მოსაწევს.
სუნი დგას მყრალი და ჰაერი
მეხება ბინძური ტუჩებით,
სასმლის და თამბაქოს ნარევით
ყირაზე გადადის ქუჩები.
ზედიზედ სიგარეტს ვუკიდებ,
წვიმით თუ ცრემლებით ავივსე...
და ერთი ვარდი მეც ვუყიდე
სიყვარულს, შენ რომ არ მაღირსე.

* * *

პატარ-პატარა ბორძიკები
არ ღირს წუწუნად,
მოფერებას ჰგავს ქარის მერე
დარტყმა ნიავის,
არ ვიცი, იქნებ დავიბადო
შემდეგ წრუწუნად,
მაგრამ ახლა მე გზას გავდივარ
ადამიანის!
ფეხს თუ წამოვკრავ, მადლს ვუტოვებ
მე მაინც იმ ქვას,
სიკეთეს ასხი ხეს ფოთლებად,
ერთიც არ ხმება,
ძნელია ეს გზა, უძნელესი
სჯობს ასე ითქვას,
ადამიანად ვინც იცხოვრა
დამეთანხმება.

* * *

სხვა ცას არ ამოვფარვივარ,
თუ წაველ, დავალ უცაო,
შენთვის მე ისევ ფარი ვარ
სხვაგვარ მაცოცხლა ნურცაო.
არ გამიცვლიხარ ფიქრითაც,
სამოთხეც მომცენ, არა გჯობს,
ამ ცხრა მთა, ცხრა ზღვის იქითაც
მე დარიალთან გდარაჯობ.

თეა თაბაგარი

„არაფერია“

აქ ფერწერული ტილოები ჰგვანან ვიტრინებს,
დამთვალიერებლებისათვის მყუდრო სივრცეა,
დიდ შერძნებებსაც დავიწყება გააციმბირებს
არსებულს იქით, სადაც უკვე ბუდობს სიკვდილი.

არაფერია, - ამბობ ასე, ვითომ მარტივად,
და ჩემს თვალებში შენს საკუთარ სულს უღრმავდები,
ვარსკვლავებისგან იკვეთება მთვარე მარტვილი,
როგორც გუშინწინ, ან შარშანწინ, უცებ ღამდება.

მერე წამებზე იცვლებიან საუკუნენი,
აღარცერთს ერჩი, კარგად იცი, დროა მეძავი,
გბორკავს სხეული, სენს რომ არქმევ განუკურნებელს,
მაინც თავს აღწევ აპათიებს, როცა მეძახი.

ღრუბლის ქანები ცის გულ-მკერდზე ვნებებს ლეწავენ,
ყოველ მათგანს კი, შენ უდგახარ იქვე თავდებად,
ღებავ სიმშვიდეგამორეულ ფერებს, მეწამულს,
და ყველა შენი სინანული მყისვე მთავრდება.

ფერმკრთალ ღაწვებზე მაკვირდები და მიალერსებ,
წამწამებს ცრემლი ებჯინება, მაგრამ არ ვტირით,
შენ მპირდები, რომ აღარასდროს დამიწერ ლექსებს,
არაფერია, - თვალებს ვხრი და ვამბობ მარტივად...

და ფერწერული ტილოები ჰგვანან ვიტრინებს.

არ მკითხო

მკითხე, ჩემი თვალები
ფერს თუ იცვლის ხანდახან,
ანდა სული ქარებმა
როგორ დამიავადეს,
(მწვანე ოცნების ველი
ასე რატომ გადახმა),
ან რის ფიქრში ვატარებ
მარტოობის საათებს.

მე ვიქნები გულწრფელი,
რა თქმა უნდა, ძვირფასო,
და ჩვეული სიმშვიდით
გამოგიწვდი პასუხებს,
მკითხე ყოველ წვრილმანზე
და ვეცდები ძირფესვი-
ანად გითხრა, რა მტკივა,
მახალისებს, მაწუხებს.

მკითხე, თუკი რამ გინდა
ჩემ შესახებ გიამბო,
ჩამითვალე თუნდ ბავშვურ
ახირებად, კარგი, ჰო...
(ბანალური ვიქნები -
ყველა განცდა მიაქვს დროს),
ოღონდ, მონატრებაზე
არაფერი არ მკითხო.

პოეტს

ჩემო პოეტო, უშენობას ველარ გავუძლებ,
ფიქრი გზის პირას დავაფინე და ზედ დავდივარ,
შენ მოხვალ, ალბათ, ამაღლების დღესასწაულზე
და ფეხაკრეფით ამომიყვან ჩემი დარდიდან.

მანამ კი, ამ სულს სიცივისგან ჟრჟოლა დაუვლის,
ბოლო ფიფქი რომ დაადნება თითის ბალიშებს,
მაგრამ იმედი გადარჩება მაინც და გულიც
გამოიდარებს, გაზაფხული თავს რომ აიშვებს.

ატმის კვირტებს რომ მზე სხივებით თმას შეუღებავს
და ტირიფები მოქარგავენ უმწვანეს ფარდას,
შენ მოხვალ ჩვენი მარტოობის დასასრულებლად
და შენთან ერთად დამაბრუნებ საკუთარ თავთან.

უინსტრუქციოდ

შენ მაძლევ ინსტრუქციას,
თუ როგორ დაგივიწყო,
მე ვიცი, თეორია
რომ უფრო იოლია,
დრო გავა და ტკივილიც
ჩაცხრება, გაივლის, ჰო,
ეს არის ნუგეში და
ერთგვარი ირონიაც.

ისეთი ჰაერია,
უთუოდ ჩამოთოვა,
სადმე, მთის კენწეროზე,
მთვარეც კი მოჰგავს გუნდას...
სახეზე აშკარაა
ღიმილის ნაკლებობა,
თუკი რამ ნატვრასავით
ტკბილი არ მომაგონდა.

მერე კვლავ გრძელდებიან
უკუნი ღამეები,
ზამთარი ძალაშია,
რას ვიზამ, ვეგუები,
და გული სისხლძარღვებში
იღვრება გამეტებით,
და თვლემენ ერთგულებად
ქცეული ბეღურები...

ზედმეტის შედეგი

ისევ მიამბე რამე სულის უკვდავებაზე,
მიმაახლოვე ღმერთს, რომელსაც ყოველდღე ვკარგავ,
თორემ ისე ვარ, ამ შეგრძნებით უკვე ვეღარ ვძლებ -
რომ არაფერი იქნება კარგად.

ხეებს შიშველი იარები მოუჩანთ ქარში,
ჰაერი თეთრი სასნაულის მოვლენას ელის
და ვდგავარ, თვალებნაწვიმარი მოხუცი ბავშვი -
ცისკენ აწვდილი ორივე ხელით.

ნურაფერს მეტყვი იმ დღეებზე, რომლებიც გვქონდა
და აღარასდროს დაბრუნდება, მაგრამ ჩვენია,
მე სიყვარული მომივიდა ზედმეტი, ჰოდა -
ტკივილის გარდა, რა დამრჩენია...

სასიმღერო

ქარი უკოცნიდა ხეებს ტანს,
მზერას გარიდებდი სახიდან,
ან რა მაფიქრებდა მეც, ნეტავ,
რომ ეს სიახლოვე არ ღირდა.

შფოთვით მიდიოდნენ დღეები,
განცდებს ვაცილებდი ფანჯრიდან,
მსურდა დავიწყება, მერე კი,
გულის მობრუნება დამჭირდა,

რადგან გამიჭირდა გაძლება,
ან რა მაცოცხლებდა უშენოს,
სუნთქვა დამიწმინდეს ნაძვებმა
ღმერთმან პოეზიას უშველოს.

მართლა მიამებდა ტკივილებს,
სულსაც მიმშვიდებდა ხანდახან,
ზოგჯერ, სასჯელადაც მივიღე
შვება, რომელიც მას თან ახლავს.

ქარი კვლავ უკოცნის ხეებს ტანს
და მეც ურუანტელი მერევა,
შენი სიახლოვე ამიტანს,
სხვები რას იტყვიან,
მერე რა.

შენ ანუ უშენობას

ზოგჯერ, იქ იწყება, თურმე, რომ გეგონა დამთავრდა,
ცოდვით დაცემას ჰგავს ახლა ეს დაცემა მუხლებზე,
სიტყვა არ დამიძრავს, სუნთქვაც შევიკარი, მაგრამ რა -
შენკენ გამოქცეულ ფიქრებს ვეღარაფერს ვუხერხებ.

ქარმა ცა დატოვა ერთი ციდა ღრუბლის ამარა,
ღამით მარტოობამ თავი უფრო მძაფრად იჩინა,
მეტად გართულდება აწი უშენობის დამალვა,
ბგერებს, დავიწყების მსგავსი, მორევიათ სიჩუმე.

თავქვე გამირბიან გზები, ჩრდილს დავყურებ უძრავად,
ისევ მოთმინება მცდის და მეც ვაბარებ გამოცდას,
მაგრამ რით ვუშველი, როგორ გადავარჩენ, ვუზამ რას -
შენკენ გამოქცეულ ამ სულს, სხეულსაც რომ გამოსცდა.

თამაზ წიკლაური

N-ᲘᲐ

შენგან შორს მყოფი და მარტოსული
შენს სილამაზეს ვუმღერ მზისფერო,
მინდა, ლექსები შენთან მოსული
მარგალიტებად რომ შეიფერო.

ეს მონატრება სულზე თბილია
მგოსნის გულში და სისხლში მცურავი.
ჩემი ლექსები მზის მანდილია
მზისფერ ასულის თავსაბურავი.

ეს ჩემი გრძნობა ტრფობის მითია
შენს სილამაზეს რომ სცა თაყვანი,
ჩემი ლექსი კი მარგალიტია
შენს ბეჭდის თვალში ამოსაყვანი.

ჩემი განცდები ხან ცის ნამია,
ხან გაუშლელი ვარდის კვირტები.
ჩემი ლექსები ყელსაბამია
შენს ბროლის ყელზე დასაკიდები.

ეს სიყვარული უფრო ნაზია
ვიდრე აპრილის სიო ნატრული,
დღეს ყველა ლექსი ფიანდაზია
შენს სავალ გზაზე მიმოფანტული.

ეს მონატრებაც უფრო თბილია
მგოსნის გულში და სისხლში მცურავი.
ჩემი ლექსები მზის მანდილია
მზისფერ ასულის თავსაბურავი.

N-ᲘᲑ

ან მანდვე დარჩი, ან წამო,
დამწვი გრძნობების ღადარში,
როდემდე უნდა მაწამო
ქარში, დარში და ავდარში?!
ჩემს უმწეობას განვიცდი,
ვერ შეგიძულე ძალათი,
შენ რა დაგარქვა, არ ვიცი
ქალი, ქაჯი, თუ ჯალათი.
სიცოცხლის წყარო დამიშრე,
სუნთქვაც დამიხშე სიოსი,
სიკვდილის გზა მიმანიშნე
შავბნელი საიქიოსი.
შენთან უდაბნოს მზე მწვავდა,
რავი რა ცეცხლით მდაგავდი?!
არ ვიცი, შენ რა გეწადა,
შენ გამო ჭკვას რომ ვკარგავდი.
არ ამისრულე სურვილი,
არ მირიჟრაჟე ცისკარი,
შენს გვერდზე შენი წყურვილი
ვერა და ვერ მოვიკალი.
ან მანდვე დარჩი, ან წამო,
დამწვი გრძნობების ღადარში,
როდემდე უნდა მაწამო
ქარში, დარში და ავდარში?!

ᲖᲘᲫᲘᲜᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქართული სულისკვეთებით
ცეცხლი ავანთე ომისა,
ცას ძრავდა ჩვენი კვეთებით
ზრიალი ბახტრიონისა.
ხმალი ხევსურეთს ნაჭედი
წიოდა, მეხად ელავდა,
ო, იმ დღეს ჩემი კახეთი
მთელ სპარსეთს გადაქელავდა...

ᲖᲔᲠᲘ ᲗᲔᲔᲕᲓᲝᲠᲔ

მარტო ვიდექი მომხდურთა შუა
მეფის გაცემას მთხოვდა მზაკვარი,
რა მექნა, მაშინ რომ არ მეცრუა,
არ ამერია მტრისთვის გზა-კვალი.
მომკლეს, მოწმეა ის ღამე ბნელი,
წავედი, სადაც ღმერთი ჰგიებდა.
ვიცოდი, მწამდა, რომ ღვთისმშობელი
იმ ერთ სიცრუეს მაპატიებდა.

ᲑᲔᲥᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲫᲔ

ᲑᲔᲥᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲫᲔ დაიბადა 2002 წლის 9 აპრილს. სწავლობს თბილისის კორნელი კეკელიძის სახელობის 29-ე საჯარო სკოლაში. დაჯილდოებულია დიპლომებით და სერთიფიკატებით საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის. მისი შემოქმედება ქართულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება 2014 წლიდან. 2017 წელს მთარგმნელთა კონკურსში წარმატებისთვის დაჯილდოვდა სიგელით. ლექსებსა და ჩანახატებს წერს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე. მისი გატაცებაა: სპორტი და წიგნები. არის წარმატებული რაგბისტი.

ვახტანგ გორგასლის პოლიტიკის ფსიქოლოგიური ანალიზი

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ გორგასლის შესახებ ინფორმაციას ვეცნობით ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებიდან „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“. ამ ნაწარმოების თაობაზე ისტორიკოსთა აზრი იყოფა, ზოგს ავტორი XI საუკუნის მოღვაწედ მიაჩნია, ზოგიც თვლის, რომ ის VIII საუკუნეში ცხოვრობდა, ზოგსაც ვახტანგის თანამედროვე ჰგონია. აზრთა სხვადასხვაობა როგორიც არ უნდა იყოს, ცხადია, რომ მეფის შესახებ სრულ და ამომწურავ ცნობებს სწორედ ეს თხზულება იძლევა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ვახტანგის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე დღემდე ვერ შეთანხმებულან მეისტორიენი. ჯუანშერი თხრობას ვახტანგის მშობლებით იწყებს, ის მირდატისა და საგდუხტის შვილია, მათ სამი შვილი ჰყავთ: ხვარანძე, ვახტანგი და მირანდუხტი. ვახტანგს მამა შვიდი წლის ასაკში გარდაეცვლება. ამ დროისათვის ქართლს რეგენტის უფლებით დედამისი განაგებს, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მარზპანის, ბარზაბოდის ქალიშვილია. დედოფალს სწორედ ის ეხმარება სამეფოს მართვაში, ანუ ქართლი ამ დროისათვის სპარსეთის ექსპანსიას განიცდის. ასევე ხშირია გადამთიელთა შემოსევებიც, მეისტორიე გვაუწყებს, რომ ვახტანგი როცა 10 წლის იყო, ქართლში დარიალის გზით შემოიჭრნენ „ოვსნი“, მათ მრავალ უბედურებასთან ერთად ვახტანგის და მირანდუხტი გაიტაცეს კასპის ციხიდან.

თუ უცხოურ წყაროებს დავეყრდნობით, ბიზანტიელი დიპლომატის, პრისკე პანიონელის, თხზულების ფრაგმენტში ეს მოვლენა 448 წლით თარიღდება. V საუკუნის სურათი ასეთია: აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთი მძვინვარებს, ხოლო დასავლეთი ბერძნებს აქვთ ანექსირებული. ბიზანტიამ ეგრისის ტერიტორიები ეგრისის-წყლიდან ციხეგოჯამდე მიითვისა და სწორედ მისი ხელდასმით ხდება მეფედ კურთხევა. ვახტანგის გამეფების შემდეგ, მისი მთავარი მისია ქვეყნის გაერთიანება და დამოუკიდებლობაა. გორგასალმა თავისი მიზნის განხორციელება სპარსეთის ომიდან დაბრუნებულმა დაიწყო. 459-484 წლებში სპარსეთი ჰუნებს ებრძვის. ჰუნები კიდარიტები (მათი მეფის კიდარას მიხედვით) თოხარისტანში, ირანის აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ. მეფე ვახტანგი 466 წელს უნდა დაბრუნებულიყო ქართლში, როცა ამიერკავკასიაში ჩრდილო-კავკასიელი მომთაბარეები გამოჩნდნენ. მეფის საზრუნავი გადამთიელთა დამორჩილება და „ივერიის კარის“ (დარიალანის) აღება იყო. რადგან სპარსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ზეკარების კონტროლი, ვახტანგი ამ გარემოებას თავის სასარგებლოდ იყენებს. დარიალის ხეობაში გამართული დიდი ბრძოლა ვახტანგის გამარჯვებით მთავრდება. გორგასალმა სტრატეგიული ჩანაფიქრი განახორციელა და დაიმორჩილა „ოვსნი, ყივჩაღნი, შექმნა კარნი ოვსეთისანი („დარიალან“ ირანულად ოსეთის კარს ნიშნავს). აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი...“ ამ ბრძოლის დროს მეფემ დატყვევებული და გამოიხსნა.

ვახტანგმა ჩრდილოეთიდან ქართლის უსაფრთხოება უზრუნველყო. დაიმორჩილა რა ჩრდილო-კავკასიელნი, იქიდან დასავლეთში გადავიდა ქლუხორის გზით („გზასა აფხაზეთისასა“). აფხაზეთიდან ის ეგრისში შედის. ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგრისს ბიზანტია განაგებს, ეგრისის მეფე გუბაზი მათ უჯანყდება, მას იმპერიისგან დამოუკიდებლად თავის თანამოსაყდრედ შვილი აჰყავს ტახტზე. ეს აჯანყება ეგრისელების მარცხით მთავრდება. გუბაზი შვილის სასარგებლოდ თმობს ტახტს. როგორც უკვე ვიცით, მათი დაპირისპირების მიზეზი ტერიტორიებზე პრეტენზიებია, ბიზანტიამ 465 წლის ომის შემდეგ ეგრისს ჭანეთის ზღვისპირეთიც წაართვა და საზღვარი ხუფათის ციხესიმაგრესთან დაუდო (ახლანდელი ხოფა, თურქეთი). ეგრისში ამ ვითარების შესახებ მოგვითხრობს პრისკე პანიონელი. როგორც ავღნიშნეთ, 465 წლის ომის შემდეგ ბიზანტიამ მნიშვნელოვნად გაზარდა გავლენა ეგრისზე. ამ პერიოდში სვანებსა და ლაზებს შორისაც დაძაბული ურთიერთობაა, სვანები სპარსელებისა და იბერიელთა დახმარებით ლაზების წინააღმდეგ იბრძვიან 466-468 წლებში. ლაზებს მხარს უჭერს ბიზანტია. ვახტანგმა დასავლეთ საქართველოში არსებული კრიზისით ისარგებლა. მისი ინსპირირებულია ლაზებისადმი სვანების დაუმორჩილებლობა. გორგასალმა დაიპყრო აფხაზეთის ციხე-სიმაგრეები ციხეგოჯამდე, ანუ მან მთელი დასავლეთ საქართველო შემოიერთა. მეფემ მთავარი მისია შეასრულა – ქვეყანა გააერთიანა, ეს პროცესი 466 წელს დაიწყო და 469 წლისთვის დაასრულა. ცენტრალიზებული სამეფო საერისთავოებად დაჰყო. მის საერისთავოებში სახელდება: შიდა ეგრისის, სვანეთის, მარგვეთის და თაკვერის. დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კელასურზე გადიოდა , რადგან აფხაზეთი ბიზანტიის საზღვარი იყო (აბაზგია ბიზანტიის პროვინციად მოიაზრებოდა), ვახტანგმა ის იმპერიის სასარგებლოდ დათმო.

ვახტანგი ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის მოკავშირეობას იყენებს და სამხრეთ-საქართველოს მიტაცებულ ტერიტორიებს იბრუნებს: კლარჯეთი, აჭარა, სამცხე, არტაანჯავახეთი. ქვეყნის ეს ნაწილი ბიზანტიას 100 წლის განმავლობაში ჰქონდა ანექსირებული. გორგასალი როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის საზღვრებს აფართოებს და ქართლს ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აყალიბებს. აღმოსავლეთ პერიფერიებში, ჰერეთიც საერისთავოდ გამოაცხ-

ადა. დაჩის საუფლისწულოდ ალაზნის გაღმა მხარე, კამბეჩოვანი და შიდა ქართლის ნაწილი მისცა. მან ქართლს დაღესტნის მთიანი ნაწილი წუქეთიც შემოუერთა. ქართლის საზღვრები გადაჭიმული იყო სამურის სათავეებიდან „ზღუამდე სპერისა“ და ხუნანიდან კლისურამდე (მდინარე კელასური). მთელი ქვეყანა, როგორც უკვე ვიცით, დაყოფილი აქვს 9 საერისთავოდ ანუ სასპასპეტოდ. ჯუანშერი „ვახტანგის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ქართლის სპასპეტად (სწორედ ეს ჯუანშერი მოიაზრება თხზულების ავტორად ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ), რომელსაც ემორჩილება დანარჩენი საერისთავოები, ხოლო ეს უკანასკნელი (საერისთავო) „ხევების“ ერთობლიობას წარმოადგენს, სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებს, დამყარებულს ლაშქრის პრინციპზე.

ქვეყნის კონსოლიდაციისთვის მთისა და ბარის გაერთიანება სტრატეგიული პოლიტიკა იყო ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ჰერეთ-კამბეჩოვანის ტერიტორია გარდა მესაქონლეობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორისა (საზამთრო საძოვრები), ის სავაჭრო მაგისტრალსაც წარმოადგენდა. მთის დამორჩილების შედეგად ხდებოდა მისი არაქართული მოსახლეობის ასიმილაცია. ქალაქ უჯარმის გაშენება მთისა და ბარის ერთდროული კონტროლისა და ექსპლუატაციის ნიშანი იყო. სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი სწორედ უჯარმაზე გადიოდა და თბილისიდან მცხეთისკენ მიემართებოდა. მთისა და ბარის ურთიერთშერწყმა, ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება, აღმოსავლეთის გაფართოება, ეს ყოველივე თბილისის სამეფოს ცენტრად გადმოტანის განმაპირობებელი იყო. კახეთ-ჰერეთი უფრო ადვილად კონტროლდებოდა და ახლოს იყო თბილისთან, ვიდრე მცხეთასთან.

ქვეყნის გაერთიანებასთან ერთად ვახტანგ გორგასალი საეკლესიო რეფორმის გატარებასაც იწყებს. 451 წელს ქალკედონიაში ჩატარებული კრების შედეგად ბიზანტიის ოფიციალურ რელიგიად დიოფიზიტობა გამოცხადდა, რამაც დაძაბულობა გამოიწვია ეგვიპტეს, სომხეთსა და სირიაში მათი მონოფიზიტური რელიგიის გამო. კონსტანტინეპოლის პატრიარქი იძულებული იყო 482 წელს შეთანხმების, ერთიანობის ბრძანებულება გამოეცა – „ჰენოტიკონი“, რასაც მხარი დაუჭირა ვახტანგმა. სწორედ ამ მიზეზით ქართლის მთავაეპისკოპოსი მას უპირისპირდება. მეფემ მთავარეპისკოპოსი მიქაელი გააძევა და მღვდელმთავრად თანამოაზრე პეტრე აკურთხა. გორგასალმა ქართულ ეკლესიას ამით ავტოკეფალია მიანიჭა. ეს, სავარაუდოდ, მოხდა 484-485 წელს. მეხუთე საუკუნის მიწურულს ქართლის სამეფოში კლარჯეთიდან ჰერეთამდე საეპისკოპოსოები მრავლადაა. 506 წლისთვის ქართლში 33 საეპისკოპოსოა. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს ეკლესიის გავლენის გაძლიერებაზე, რაც ასევე აისახა ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზეც. ქრისტიანობა კავკასიონის ქედს მიღმაც გადავიდა: დვალეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, წუქეთი. ეკლესიის გავლენა სამეფო ხელისუფლების სიძლიერეზე მეტყველებდა. საეკლესიო და ლიტერატურული ენა ქართული იყო, რაც ნიშნავს არაქართული მოსახლეობის გაქართველებას. ჰერეთიც, სადაც ქართულ-ალვანური მოსახლეობა იყო ასიმილირდა. ამ პერიოდში ეკლესიების მშენებლობამაც მასიური ხასიათი მიიღო.

ქვეყნის დასავლეთის და აღმოსავლეთის გაერთიანება, მთის დამორჩილება, ბიზანტიასთან პოლიტიკური მორიგების შედეგად მიღწეული მჭიდრო სავაჭრო და კულტურული კონტაქტები, საეკლესიო იერარქიის შექმნა, ეკლესიის ავტოკეფალია, ციხე-ქალაქთა და ტაძართა მშენებლობა ეს ყველაფერი ცხადლივ მიუთითებს, რომ ქვეყანაში ირანული პოლიტიკა შესუსტებულია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიაში ანტიირანული აჯანყების მოთავე გორგასალი, მართალია სომხების ღალატის შედეგად მარცხდება, მაგრამ ირანს აიძულებს მთელ რიგ დათმობებზე წამოვიდეს: სომხეთი ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყნად სცნო, ალბანეთში მეფობა აღადგინა, ხოლო რაც შეეხება ქართლს, 482-484 წლების აჯანყების შემდეგ გორგასალმა ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ აჯანყების შესახებ მწირად გვაწვდის ცნობებს სომეხი მეისტორიე ლაზარ ფარპეცი, რომლის გადმოცემითაც ქართველთა როლი დამცრობილია, მოთავეებად სომხებს ასახელებს. თუმცა ამის საპირისპიროდ შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტში მოტანილი შაჰის ბრძანება, რომ სომხეთში მარზპანად შაპუჰ მიჰრანი დაენიშნათ, ხოლო ქართლის მეფე მოეკლათ ან ქვეყნიდან გაეძევებინათ, როგორც ამ ფაქტის მთავარი დამნაშავე. შაჰის ეს ბრძანება ცხადყოფს, რომ სწორედ ვახტანგი წარმოადგენდა სპარსელებისათვის მთავარ პრობლემას.

ამ დროისათვის ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში იძულებითი მშვიდობა სუფევს, ირანსა და ბიზანტიაში არსებული შიდა თუ გარე პოლიტიკური კრიზისის გამო.

ვახტანგის ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა სიმშვიდე, მუდმივ ბრძოლებსა და ქარტეხილებში იღწვოდა ჩვენი დიდი მეფე. მის ცხოვრებას თან სდევდა ღალატი და სწორედ ღალატის შედეგად აღესრულა კიდეც. სპარსეთის კარზე გაბატონებულმა კავადმა ქვეყნის ძლევამოსილების აღდგენა დაიწყო. მან ამიერკავკასიაში, სავარაუდოდ, 499-502 წლებში გამოილაშქრა. ეს ბრძოლა ირანელებსა და ქართველებს შორის „იორსა ზედა“ მოხდა, რაც ვახტანგის სიკვდილითა და ქართველების დამარცხებით დასრულდა. არსენ ბერის მიხედვით, ვახტანგი სპარსელებთან ომის დროს შეთქმულების შედეგად მოკლა მისმა „მონათყოფილმა“ მოწამლული ისრით. გორგასალი დაკრძალულია სვეტიცხოველში.

დაბოლოს, ვახტანგ გორგასალმა უდიდესი სახელი დატოვა და მის ღვაწლს დავით აღმაშენებლისას ადარებენ. მან წარმატებით მოიგერია მთის შემოტევა, საბოლოოდ დაიმორჩილა კიდეც, ამას მოწმობს უჯარმის მშენებლობა. ვახტაგმა მოახდინა ქვეყნის კონსოლიდაცია, მან შექმნა რეგულარული ჯარის პრინციპზე დამყარებული ლაშქარი. სამეფოს ფარგლებში შემოჰყავს ალვანეთი; ირანის ექსპანსიის საწინააღმდეგოდ კახეთ-ჰერეთში აგებს ციხე-ქალაქებს: ხორნაბუჯი, ჭერამი, უჯარმა. სამხრეთ დასავლეთით, კლარჯეთში არტანუჯის ციხესიმაგრე; ჩრდილოეთით ამაგრებს უღელტეხილთა კარებს. ქართლის გავლენას ავრცელებს ჩრდილოეთ კავკასიაზე, თბილისის ამიერკავკასიის ცენტრად გადაქცევის პროცესს უდებს სათავეს. ქვეყანას ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მოუპოვებს. მას სურდა, შეექმნა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რის გამოც უწევდა რთული პოლიტიკის გატარება, ორ მტერს ერთმანეთის საპირისპიროდ იყენებდა. სეპარატისტების შემოტევებს მუდმივად იგერიებდა, თუმცა მაინც ღალატის მსხვერპლი შეიქმნა საბოლოოდ.

ვახტანგ გორგასლის სახელი სიძლიერის, სიმამაცის, შეუდრეკელობის ეპითეტი იყო და იქნება მარად, სანამ ივერია იარსებებს. „გორგასლიანის“ დროშა მუდამ იფრიალებს საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის სიმბოლოდ.

ლია რობიტაშვილი

ᲛᲔ ავიბადე 1957 წლის 27 აპრილს წითელწყაროში (ამჟამად დედოფლისწყარო). აქვე დავამთავრე პირველი ქართული საშუალო სკოლა ა. 1982 წელს წითელ დიპლომზე დავამთავრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1979 წელს შევქმენი ოჯახი. 1982 წლიდან 2005 წლამდე ვმუშაობდი სოფელ სამრეკლოს პროფესიულ - ტექ. სასწავლებელში ოსტატ - მასწავლებლად. ამჟამად ვარ პენსიონერი, ქვრივი. მყავს ერთი შვილი და სამი შვილიშვილი. ვიბეჭდები პირველად.

„თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული - ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე.“

ბიბლია. ძველი აღთქმა. დაბადება. თავი პირველი.

კაკლის ხე

(ვუძღვნი დედას)

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ მიწაში თესლი და საფუძველი ჩაეყრება ახალ სიცოცხლეს….

ეხლაც ასე მოხდა: კაკლის ხეს მოსწყდა ნაყოფი, მოხვდა ნოყიერ ნიადაგში, გაღივდა, გაიბერა, ჩანასახმა გახეთქა ნაჭუჭი, ამოიწვერა მიწიდან და იქცა კაკლის ხედ. იქამდე კი, სანამ სასურველი ნაყოფის მომცემი გახდებოდა, დიდი გზა ჰქონდა გასავლელი...

ხის ტოტზე მარტო ისღა იყო დარჩენილი... ერთ დღესაც დედამ ხელი გაუშვა და დამოუკიდებელობისკენ უბიძგა - „ყველაფერს თავისი დრო აქვსო“.

არადა რა კარგი იყო თავის და-ძმასთან ერთად ცხოვრება! რა მხიარულად ატარებდნენ დღეებს: ჟრიამულობდნენ, ხმაურობდნენ, ნიავის დაბერვისას ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და სიცილისგან იხოცებოდნენ. განსაკუთრებით მზიანი დღეები უყვარდა. მოსწონდა, როცა სითბო მთელ სხეულში დაუვლიდა, გაათბობდა, მიეალერსებოდა და ახალი ენერგიით აავსებდა. ზოგჯერ წვიმაზეც არ ამბობდა უარს. უარს კი არა, პირიქით, ელოდებოდა, როდის დაეცემოდა წვეთი. დედის რძესავით შეისრუტავდა, პირს ჩაიკოკლოზინებდა და კმაყოფილებისგან გაიბადრებოდა. ნელ-ნელა იზრდებოდა, მსხვილდებოდა და ძლიერდებოდა. მაღლიდან დაჰყურებდა მთელ სამყაროს და სიცოცხლით ტკბებოდა.

ხშირად კაჭკაჭები მოდიოდნენ სტუმრად. ჩამოსხდებოდნენ ტოტებზე და ქვეყნის ამბებზე ეჭორავებოდნენ, არაფერი რჩებოდა მათი გაუგებარი. ზოგჯერ მუდამ რაღაცაზე უკმაყოფილო ბელურები ეწვეოდნენ და წუწუნით გულს უწყალებდნენ, მთელი დღე უაზროდ ჭყიპინებდნენ. კიდევ კარგი, ახლოს ბულბულმა გაიკეთა ბუდე და ცხოვრებას სულ სხვა ელფერი შესძინა. არაფერი სჯობდა ყოველ დილით მისი სიმღერის მოსმენას. შვილებიც რა საყვარლები ჰყავდა!... ხანდისხან ის ბიჭი, სულელი ლიოხა, მის ახლოს აივლიდა, ჩაივლიდა, თან ღობეს ჯოხს ურტყამდა და დაჭრილი დათვივით ბურტყუნებდა. პირველად, მისმა დანახვამ ძალიან შეაშინა, მაგრამ მერე ისე მიეჩვია, რომ მის გამოჩენას და ჯოხის ბრახუნსაც კი ელოდებოდა.... ნეტავი, ეს პატარა ჭიანჭველები რაღას დაცუცუნებდნენ? მთელი დღე დარბოდნენ, ქაქანებდნენ, შრომობდნენ, სულ რაღაცას ეძებდნენ. დაღლა რა იყო, არ იცოდნენ. არაფერს უშავებდნენ, მაგრამ მაინც ვერ იტანდა. მათ დანახვაზე რატომღაც ყოველთვის ნერვები ეშლებოდა.

ეჯავრებოდა, როცა ღამდებოდა. არა, თვითონ ღამის საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა. პირიქით, როგორც კი მოსაღამოვდებოდა, ირგვლივ სასიამოვნო სიწყნარე ისადგურებდა, ჰაერიც კი თითქოს ნელ-ნელა ძილს ეძლეოდა. ღამურები, საღამოს იდილია არ დავარღვიოთო, ხმას არ იღებდნენ, ისე იჭერდნენ მწერებს. მაგრამ ვინ მოგცა მოსვენება, როგორც კი აბეზარი ჭრიჭინები გამოჩნდებოდნენ, იმისთანა ხმაურს ატეხდნენ, კაცს ეგონებოდა, მთელი ორკესტრი უკრავსო. განსაკუთრებით ერთი ჭრიჭინა ჰყავდა გადამტერებული. რომ ჩაირთვებოდა, გამორთვა აღარ იცოდა. ჭრიჭინით იკლებდა ქვეყანას. თანაც თითქოს ჯიბრზე, ყურის ძირში ჩამოუჯდებოდა და მთელი ღამე „სერენადებს“ უმღეროდა.

მერე ნელ-ნელა, სათითაოდ, მისი და-ძმები შეუმჩნევლად ტოვებდნენ დედას და სადღაც იკარგებოდნენ. ის კი არა და არ აპირებდა მშობლიური კუთხის მიტოვებას, მაგრად ებღაუჭებოდა თავის ტოტს. მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს. მისი ჯერიც მოვიდა... კიდევ კარგი, მოახერხა და სადაც დედამისი იდგა, იქვე ახლოს ჩამოვარდა.

- მიწას კარგად ჩაეხუტე. - ეჩურჩულებოდა დედა და ქარის ყოველ დაქროლვაზე ტოტებს არხევდა, ფოთლებს აყრიდა თავის ნაბოლარას, - „არ შესცივდესო“. ასე ხომ სიცივისგანაც იცავდა და უცხო თვალისგანაც. პირველად ძალიან გაუჭირდა დედასთან განშორება, მაგრამ მერე ნელ-ნელა მიეჩვია მარტოობას... ლოყით მიეკრა მიწას. ესიამოვნა, გაიტრუნა, გაყუჩდა და ღრმად დაიძინა...

- ვა!... ეს აქ როდის ამოვიდა? რა ლამაზია? რამხელა გაზრდილა?

უცხო კაცმა ბარი მიწაში ჩაასო და ფესვიანად მოთხარა. მერე სახლში წაიღო და ცოლს მიუტანა: - კაკლის ნერგი მოგიტანეო.

რა ფაფუკი და თბილი ხელი ჰქონდა იმ ქალს! სათუთად ჩარგო სახლთან ახლოს ორმოში. მოეფერა, „გაიხარე, გამახარეო“ და წყალიც დაუსახა.

იმ დღის შემდეგ რაღაც უცნაური, მისტიკური კავშირი დამყარდა მათ შორის. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს იყო სიყვარული, დიახ, სიყვარული მცენარისა და ადამიანისა.

ქალი მზრუნველობას არ აკლებდა ხეს. უსხავდა წყალს, ებრძოდა მავნებლებს და ცდილობდა, არაფერი მოეკლო მისთვის. ხე სწრაფად გაიზარდა. ტანი აიყარა, გაიბარჯა. დედამისივით მაღალი, ძლიერი და ლამაზი, ფესვებით მძლავრად ჩაეჭიდა დედამიწას. ტოტები აქეთ-იქით თამამად გაეშალა და ირგვლივ სასიამოვნო ჩრდილს აყენებდა. ერთი ტოტი კი ქალის ოთახისკენ ისე ჰქონდა გაშვერილი, თითქოს ფანჯარაში შეჭყეტვას აპირებსო. იქნებ ასეც იყო? მას ხომ ძალიან შეუყვარდა ეს ქალი. მისი დანახვისას ხე სიხარულისგან ათრთოლდებოდა, ტოტებს შეატოკებდა და ფოთლებს ააშრიალებდა, თითქოს ეძახდა, „მოდი რა, ჩქარა, ჩემთან მოდიო“. ქალიც თითქოს მიუხვდაო, მივიდოდა, ფოთლებზე მიეფერებოდა, მერე ოდნავ გასრესავდა, დაყნოსადა და ტკბებოდა მისი სურნელით. საერთოც ბევრი ჰქონდათ: ორივეს უყვარდა ეს ადგილი, მიწა, წყალი თუ ჰაერი. ორივე დედა იყო და სიგიჟემდე უყვარდათ შვილები. როცა დრო მოდიოდა, ორივე უშვებდა მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ.

მაგრამ (მართლაც რომ) ყველაფერს თავისი დრო აქვს. ერთხელაც ქალი სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნდა...

ელოდა კაკლის ხე პატრონის გამოჩენას, მაგრამ ტყუილად.... ის აღარ დაბრუნებულა, სხვა სამყაროში გადასახლდა. ხემ მოიწყინა, დარდისგან ფოთლები გაუყვითლდა, ტოტები გამოეფიტა, გაუშავდა და გაუხმა.

- რა ადრე გახმა? ის ხომ ჯერ ახალგაზრდაა. - უკვირდა ყველას.

ეხლა კი დგას მარტო, ფოთლებშემოძარცვული და გამხმარ ტოტებზე თოვლი დასდებია. ან იქნებ, თოვლი კი არა, უბრალოდ ჭაღარაა...

... შეუცნობელია არსი ბუნებისა!..

- არ გახმე რა! გეხვეწებით, არ გახმე. - დედის მაგივრად ეფერებიან მის საყვარელ ხეს შვილები და ხეში ეძებენ დედის სითბოს.

- გვენატრები, დედი ! ! !..

მთა

ქვის გული აქვსო... რაღას არ იტყვის კაცის ენა...

ძაან იციან, როგორი გული აქვს...

დგას უძრავად, ხმას არ იღებს. ზევიდან დაჰყურებს ქვეყანას. გულში ინახავს წყენასაც და სიხარულსაც. არ აწუხებს არავის. არის თავისთვის, ყველასგან მოშორებული, ღრმად ჩაძირული თავის ფიქრებში.

არ ახსოვს, როგორ გაჩნდა ქვეყანაზე. ისე კი, უნდა ითქვას, მისი ხნოვანებისა ქვა არ დაგორავს დედამიწაზე. ეამაყება კიდეც თავისი ასაკი. არავის უმხელს წლოვანებას. ვისი რა საქმეა? ყველამ თავის თავს მიხედოს.

სულელები... მოსვენებას არ აძლევენ... მოდიან და გულს უწყალებენ თავიანთი ხვეწნა - მუდარით. მიაკრავენ სანთელს გვერდზე და ათას რამეს ეხვეწებიან: გამოგვაჯანმრთელეო, მიშველე, ესა მტკივა, ისა მტკივაო. რომელი მკურნალი ესა ნახეს, შველა რომ შეეძლოს, თავის თავს უშველიდა. დაიღალა ერთ ადგილზე დგომით.

ხან წვიმა მოიყვანეო, კარგი მოსავალი მოგვეციო, მტერი მოგვაშორეო, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ჭკუაზე დაგვარიგეო...

ეჰე ჰეეეეეეეეე... ის ხომ ქვაა, გულიც ქვისა აქვს, მაგრამ მაინც გასკდა გული ამდენი დარდით. კარგით რაა, ღმერთი არა გწამთ? აღარ შეუძლია მეტის ატანა. ცრემლებს სხვას რომ ვერ აჩვენებს, გულში ინახავს. გული სავსე აქვს ცრემლების ტბით....

კიდევ კარგი, ხანდისხან მაინც ტოვებენ მარტოს. ცოტა ამოსუნთქვის საშუალებას აძლევენ.

მაგრამ ვინ მოგცა მოსვენება!...

ეს რა სიცილ-კისკისის ხმა ესმის? ბავშვები?... ბავშვები ძალიან უყვარს. სიამოვნებს, როცა მის კალთებზე პატარები დარბიან. გულზე მალამოსავით ედება მათი მხიარული ხმები. ასე ჰგონია, ისიც პატარაა და მათთან ერთად დარბის, დახტის და იცინის...

კიდევ კარგი, მოიფიქრა და ერთმა ღვთისნიერმა, წმინდანის სახელი დაარქვა. ახლა კი, მართლა სათაყვანებელი გახდა. იქნებ შეძლოს და ამ წმინდანის მეშვეობით დაეხმაროს გაჭირვებულებს?... მაგრამ ეს რას ნიშნავს? ნუთუ, ქრთამს აძლევენ?

ფ უ ლ ი ?... კალთებზე ფულს დებენ. ნეტავი რაში სჭირდება?...

აი, სამი ბიჭი მოვიდა. ხურდა ფული იპოვეს. როგორ გაუხარდათ? ალბათ ამათთვის დატოვა მოხუცმა. წავლენ ახლა, ლიმონათს და „ბულკებს“ იყიდიან. ბავშვები არიან, გაიხარონ...

ამ ქარაფშუტა ნიავმა ხომ შეაწუხა. რით ვერ გაიგო, რომ ერთმანეთის შესაფერისები არ არიან? წარამარა ესტუმრება, ნაზად მიეალერსება. ხან ერთი ლოყით მიეკვრება, ხან მეორით. ყველანაირად ცდილობს მისი ყურადღების მიქცევას.

ნეტავი რამ მოაწონა ასეთი ცივი, გოროზი, მიუკარებელი მთა? რაღას არ აკეთებს, რომ თავი შეაყვაროს: ადრე გაზაფხულზე ნაირ-ნაირ თესლებს აყრის კალთებზე. ზაფხულში - აყვავებულ ყვავილებს არხევს და მათ სურნელს სუნამოსავით აპკურებს გულზე. შემოდგომაზე მისი ყურადღების მისაქცევად, სასიამოვნო მელოდიებს უსტვენს. ზამთარში - სპეტაკი ფიფქებით გვირგვინს ადგამს მაღალ შუბლზე. კვდება მისი სიყვარულით.

ის კი დგას გულგრილად, ზედაც არ უყურებს. თითქოს ეუბნება: სად შენ და სად მეო? გაჰქვავებია გული. ვერა გრძნობს მისი სიყვარულის ტკივილს.

გულზვიადი კი ჩანს, მაგრამ ეგ შორიდან, უცხოთათვის არის ასეთი. სინამდვილეში, მრავალთათვის ნუგეშის, იმედის მიმცემია. დგას მარადისობის ფიქრში ჩაძირული მდუმარედ და მთელი არსებით იცავს ირგვლივ არემარეს. უყვარს ყველა და ყველაფერი, რაც მის ირგვლივაა. არ ამჟღავნებს, თორემ ეს სულელი ნიავიც უყვარს. მოსწონს, როგორ ელამუნება ლოყებით ძლიერ გულ - მკერდზე.

მოვიდნენ, დაანთონ სანთლები. აქედან ხომ უფრო ახლოს არიან ღმერთთან. რომ შეეძლოს თითის წვერებზე დადგებოდა და აიწევდა მაღლა, მაღლა, მაღლა და სულ უფრო მაღლა, ცაში აიყვანდა ყველას, ვისაც სჯერა, სწამს, უყვარს. იქნებ, მართლა მიაწვდინონ უფალს ხმა? რატომაც არა?! მოვიდნენ, გულში ჩაიკრავს, სიყვარულის ცეცხლით გაათბობს, რწმენით, ნუგეშით, იმედით აავსებს.

ქვის გული აქვსო, ვერაფერს გრძნობსო, განა მართალია?! როგორ შეიძლება, საუკუნეების სიბრძნით გაჟღენთილი გული ქვისა იყოს?...

ხოდა, რაღას არ იტყვის გაბრაზებული კაცის ენა?...

ის კი დგას ამაყად, წელში გამართული. ზევიდან დაჰყურებს მის კალთებზე გაშენებულ სოფლებს და თავის მადლს და მზრუნველობას არ აკლებს იქ მცხოვრებლებს...



ᲒᲝᲒᲘ ᲙᲐᲕᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲝᲒᲘ ᲙᲐᲕᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲟᲣᲠᲐᲯᲖᲔ ᲕᲐᲯᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲓᲜᲔᲜ.

ᲒᲝᲒᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1937 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲡᲣᲚ ᲐᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲝᲑᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲣᲮᲭᲘᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲐᲠᲐ ᲓᲔᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲮᲣᲗ ᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲒᲝᲒᲘ ᲑᲐᲕᲨᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲐ. 1985 ᲬᲔᲚᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲐᲛᲝᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲛᲓᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲘᲬᲠᲤᲔᲚᲘᲗ, ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲓᲐᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲦᲘᲗ. ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲗᲥᲛᲔᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲖᲔ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ ᲘᲛ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ.

ᲒᲝᲒᲘ ᲙᲐᲕᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ 2011 ᲬᲚᲘᲡᲡ 11 Ა�პᲠᲘᲚᲡ.

ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲬᲘᲯᲚᲐᲣᲠᲘ
ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ

როგორც ჭკნებიან ჩემს თვალწინ
ია-ვარდების გუნდები,
ამ ქვეყნის ორმოტრიალში
ალბათ მეც მათებრ ვხუნდები.
წლები გადის და სიბერემ
ხელ-ფეხზე დამდო ხუნდები,
მეც იმათსავით სიტურფეს
ვერასდროს დავუბრუნდები.
ასე სცოდნია ყველასთვის
სიცოცხლეს სანარნაროსა,
„იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა“.
ვეღარ შევხედავ მათსავით
გაკაშკაშებულ მთვარესა,
მეც სამუდამოდ დავხუჭავ
დღეს გაბრწყინებულ თვალებსა.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

რაც უნდა ბევრი გეფიცოთ
ვერ დაგაჯერებთ ვერვისა,
რომ დღეს პირველად მართლაც და
ბედნიერება მეღირსა.
ჩემია თითქმის მნათობი
ჩემია თითქმის ცისკარი,
ჩემია დღეს ამ დარბაზში
ლექსთა ფრქვევით რომ ქრის ქარი,
ამიტომ გიხდით მადლობას,
ამიტომ გკოცნით ყველასა,
ჩემი უბრალო გულის თქმა
რომ ათქმევინეთ ენასა.

სცოდნია მარტოობასა

სულ სხვის კარებზე ვაღამებ
გამოგდებული ძაღლივით.
ჩემს სახლს გავურბი რატომღაც
შეშინებული ბალღივით.
მართლაც, რომ ძნელი ყოფილა
მთლად მარტოობა სულისა,
აუტანელი სიჩუმე,
უხმოდ დახშობა ყურისა.
ხან სიმწრით გაგეღიმება
ჟინი მოგივა შურისა,
სცოდნია მარტოობასა
გადაგვარება გულისა.

სამშობლოს

დედამ მითხრა იავნანად
შენი ტრფობა-ნეტარება,
რომ მიყვარხარ დედასავით,
ეჭვი ხომ არ გეპარება.
დავაქროლებ შენს სიყვარულს,
ვით ჯირითში ფეხმარდ ქურანს,
მიხარია, რომ ყრმას შენსას
შენი ზეცის ქუდი მხურავს.

ვარდი ადიდეს

ვარდი ადიდეს, ალექსეს,
ზოგმა მთლად გააზვიადა,
მე კი მსურს მრავალ გაზაფხულს
ღიმილით მნახოს იამა.
ნეტავ იცოდე მაინცა,
იას რად გარქმევ ღვთისაო;
შენი სურნელით ვითვრები,
ყნოსვა არ მიყვარს სხვისაო.
შენ მართლაც იის სადარად
ლურჯ ბოლო კაბას ატარებ,
მორცხვად დახრილი თვალებით,
თავს როგორ არ შემაყვარებ.
თვალ-წარბ ნახატო, ტანკოხტავ,
შეკრულო იის კონადა,
ნეტავ უარს არ მეტყოდე,
გამომყვებოდე ცოლადა.
ცის ქვეშ არ გაგაჩერებდი,
არ გაგთელავდა წვიმაო.
გალიის ჩიტად გაქცევდი,
მეყოლებოდი შინაო.
იქნება ერთხელ შემკითხო,
თუ რად შეგარქვი იაო;
მიტომ რომ შენი სახელი,
ჩვენ ორივესა გქვიაო.
მსურს ერთად ვიყოთ, ვილხინოთ,
ერთად გვიქროლოს ნიავმა.
ერთად დაგვატკბოს სურნელით
ამ გაზაფხულის „იამა“.

მეცხვარის ნატვრა

როგორ ვნატრულობ შენს ნახვას
ქალაო, მთვარის შუქზედა.
დაგიკოცნიდი შავ თვალებს,
ჯვარს დაგასვამდი შუბლზედა.
ბარში დაგტოვდი ლამაზო
შუბლზე დასმული ნიშნითა;
ჩემზე დანიშნულ პირიმზეს
ვინ შეხედავდა შიშითა.
ცხვარს გავყვებოდი იმედით,
დავადგებოდი შარასა,
თუ ჩემად დაგიგულებდი
ქალასა შენისთანასა.
ბნელში ნუ დამტოვ, გულით გთხოვ,
უქმად ნუ გავლევთ არესა.
თუ მოხვალთ, გულში ჩაგიკრავთ
შენ და გაბადრულ მთვარესა.
ბარად დაგტოვებ ქალაო,
მთას ცხორს გავყვები მღერითა,
გულს ჯავრს ნუ შემოიყენებ,
თვალს ნუ აივსებ ცრემლითა.
შენ მანდ პატარებს მიხედე,
როგორც გვაქვს დანაპირები.
სამშობლოს უნდა უზარდო
შენ ჩვენი მეცხვრის შვილები.
წინ გავუძღვები ჩემს ფარას,
ნისლებს ავყვები მთებშია.
მთის ყოილთ მივესალმები,
ჯიხვებს ჩავკოცნი რქებშია,
ვითომც შენ გეალერსები,
ხელს გიფათურებ თმებშია.
ერთ წუთს არ გავწყვეტ შენზე ფიქრს,
სულ მეყოლები გვერდშია.



ᲑᲐᲓᲣᲠ ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დაიბადა 1946 წლის 28 თებერვალს.

დაამთავრა თელავის მე-2 საშუალო სკოლა.

სწავლა გაგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1970 წელს დაამთავრა.

იბრძოდა აფხაზეთის ომში. ომის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა მშობლიურ თელავში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

წლების განმავლობაში იყო თელავის თეატრის მთავარი ლიტერატურული წარმომადგენელი.

გარდაიცვალა 2012 წლის 16 თებერვალს.

2012 წლის ოქტომბერში გადაეცა ლიტერატურული პრემია „გალა“ ლექსების კრებულისათვის „კიპარისები“, ნომინაციაში: წლის საუკეთესო წიგნი.

გამოცემული აქვს კრებულები: თელავის ჭადარი, მდინარე, კოქტეილბარი „რებუსი“ და კიპარისები.

ასევე არის სცენარის ავტორი ფილმებისა: „გოლა“, „ნისლი“, „ხარება და გოგია“ და „მარტივი პასიანსი“. გთავაზობთ ბევრისთვის საყვარელი ავტორის დაუბეჭდავ ლექსებს.

* * *

მიფრენენ საპნის ბუშტები – მცირერამ თრთოლის ტყვეები –
დავიწყებული სიზმრები და ნაწვიმარი ტყეები.
მიფრენენ როგორც ფიფქები, ცამ ციმციმით რომ დათოვა,
თუმცა მჩატენი არიან, მძიმეა უიმათობა.
მიფრენენ დავიწყებული და სანატრელი დღეები,
ცასავით გამჭვირვალენი, ცასავით უდარდელები,
გასაოცარი სიზმრები და ნაწვიმარი ტყეები
მიფრენენ, იკარგებიან და მიაქვთ ცისარტყელები.
ხან თითქო ცაში ადიან, ხან თითქო დაქანდებიან,
ეკალს უწევენ და უმალ უკვალოდ იკარგებიან.
მიფრენენ ჭრელი ბუშტები – მცირე რამ თრთოლის მონები,
უფრორე პირქუშდებიან ქალაქის ლამპიონები.
მიფრენენ... საით მიფრენენ? იქით უცხოა, შორია...
„მიმინო მყავდა...“ მაგრამ რა? –მყავდა და არცა მყოლია.
დავიწყებული სიზმრები და ნაწვიმარი დღეები
სულს ისე ავალალებენ, ვითარცა მოხარკეები.
და რა ძნელია გარჩევა სიზმარისა და ცხადისა,
და სამუდამოდ არჩევა დასაფიცარი ხატისა.
და რა ტანჯვაა – პირქუში ჭეშმარიტების ჭაპანი,
და მთელი ჩვენი ცხოვრება – ძილისპირული ზღაპარი...

მიფრენენ, იკარგებიან საპნის ფერადი ბუშტები,
ვითარცა უილაჯობით კლდეს შელეწილი მუშტები.
მიფრენენ საპნის ბუშტები მცირე რამ ვნების ტყვეები –
გახუნებული სიზმრები და დაკარგული დღეები.

სიკვდილი

მივყვები წლების გაცრეცილ მესერს, ხან მივალ ახლოს, ხანაც ვშორდები –
„ვერ დაიჭირავს“ – უთქვამს და მეც მსურს, გავკადნიერდი განმეორებით.
ასე იყო და ასე იქნება, შევთქმულვარ ლამის ფიცის მიცემით –
სიკვდილი, როგორც მშობელი დედა, თვალყურს მადევნებს გაფაციცებით.
დრო მოვა, ალბათ მეც გაღმა გავალ და მოვიშუშებ მტკივან იარებს –
სიკვდილი, როგორც პირქუში მამა, ბოლო რჩევასაც გამიზიარებს.
უსიყვარულოდ ცოცხლობენ როგორ, რა წარმართული სთესეს წესები –
სიკვდილი, როგორც პატარა გოგო, მეკეკლუცება თვალთა კვესებით.
ვერც მე ვჩერდები, უკვე შევტოპე, დღეები თვლიან მანძილს ციფრებად –
სიკვდილი, როგორც ტოლი მეტოქე, გამარჯვებაშიც შემეცილება.
ძვირადა ფასობს სიცოცხლის ნიჭი, დღესასწაულთა აკაშკაშება –
სიკვდილი, როგორც პატარა ბიჭი, თავდავიწყებით მეთამაშება.
ყეფს განსაცდელის ავი ნაგაზი, როგორც ასავალს, ისე დასავალს –
სიკვდილი, როგორც ძველი ძმაკაცი, მახსენებს განვლილ თავგადასავალს.
ასეთი ვნება მხოლოდ აქ არის, სიამის გამო ტანჯვა, წვალება –
სიკვდილი, უკვე ბებერი ქალი, კვლავ სიყვარულზე მეჭორავება.
და ჟღერს სილაღის ღვთიური ქნარი, წინ არაფერი არ მელოდება –
სიკვდილი, როგორც მარადის კარი, საზღვართან დგას და მიახლოვდება.
მივალ, შევაღებ, შევდგები წამით – რა საოცრება ნეტავ მომელის –
შევალ და ვიცი: დადგება ჟამი, სიკვდილთან ჩემი დამშვიდობების.

ზაფხული

ირგვლივ ზაფხულია და მზე თაკარა –
ნამკალში მიაბიჯებს აგვისტო.
გაგანებს გაგანია, ზეცაა ანკარა
და გამჭვირვალე მთათა გვირისტი.
ბედნიერებაა აქ გარინდება
და სხივებივით მწველი, –
სული უცაბედად ისე აფრინდება,
როგორც ნამკალიდან მწყერი.
სადღაც ალაზანს გასძახებს იხვი,
ლელები ზანტად ღელავენ,
ცივისკენ მოჩანს ერეკლეს ციხე
და აღმართს აჰყოლია თელავი.

ფერიცვალება

ჯ. პ. — ს

იყო აგვისტოს მიწურული, ვიყავით ჩვენ და
ტყე იყო ირგვლივ დასიცხული, ტყე და მინდორი.
ცას ჰგავდა მიწა შეყვითლებულ ბალახის ღერთა.
არ იყო დარდი მომავალი უამინდობის...
მე შენს თვალებში დავინახე ის, რაც არ იყო
და დამწყდა გული. შენ თუ გახსოვს ასეც გითხარი.
ჯობდა, რომ ის თვე არასოდეს არ მომკვდარიყო –
აგვისტო: ვნებადამცხრალი ქალი.
როგორ მიყვარდი...
როგორ მძულდი...
როგორ მიყვარდი –
შენ კი ვერაფერს ვეღარ გრძნობდი, არა და ვერა,
იყავი ცივი როგორც სარკე, როგორც სიმართლე,
შეუცვლელი და შეუვალი, ვით ბედისწერა.
და გამწარებით ჩავეჭიდე აგვისტოს მიწას,
ვერ ვიჯერებდი მისტერიას ფერიცვალების.
რა მოგდის? – მითხარ – წინ სავალი რამდენი გიძევს,
ნუ გეშინია, შენც ოდესმე შეგიყვარებენ...
ასე მითხარი. როგორ მახსოვს – რა დამავიწყებს,
მაშინ მინდოდა, რაღას ვაქნევ აწ შეყვარებას...
ჩვეულ სიფრთხილით ვადგამ ახლა ჩვეულ ნაბიჯებს
და მოთმინებით ველი ყოველ ფერიცვალებას.

მატარებლიდან

ვიწრო სარკმლიდან ქროლა მინდორთა –
გამცილებელი – მგონი ბერძენი –
ვიცხოვრე, არა როგორც მინდოდა,
არამედ ისე, როგორც შევძელი.
მინდა გაგანდოთ ნაკრებ ქვებიდან
რა ჩაიკარგა გულში, ბებერში –
ის რაც მოჩანდა მატარებლიდან,
რადგან აღმოვჩნდი მატარებელში.
ჩამჭკნარი ღერო ნაზი ენძელის –
ფეიერვერკები ჭრელ—ჭრელ ხვითოთა –
მოგიყვეთ მინდა ის, რაც შევძელი
და არა იგი, თუ რა მინდოდა.

გაზაფხული 98

(თელავური ქრონიკა)

როგორც იქნა შეამჩნია და ზაფრულმა ხალხმა:
ახალ ბაღის კიდის დიდი ტირიფი რომ გახმა –
მერე რა და გულმა მწარე ჩაიხვია თალხი
და ნაღველმა შემომტირა, ვით პატარა ბალღმა.
რაცა ხდება, ისე ხდება, როგორც უნდა მოხდეს –
რადგან ხმება, მაშინ ხმება, როცა უნდა გახმეს –
ვაჰ მე, დედიჩემის ღმერთმა, კარგიც უნდა მოკვდეს –
მატლისა და ჭიაღუას ლუკმა უნდა გახდეს.

იღბალი

კუთვნილების ურჩივით, ყველა იმას უჩივის –
თავის სარჩოს ვერ სცნობენ, სხვის – ითვლიან უნციებს
და ბოლომდე არ სჯერათ საკუთარი არჩევნის,
თითქოს არ უნდოდათ და ძალით ამოურჩიეს.
უჩინარად სახავენ, ხოლო ცხადლივ შიშობენ,
ცოდვა მადლის ბეზმენზე ხეირს ანგარიშობენ –
ახსენებენ საფიცრად ყველა ჯურის საქმის წინ,
როგორც მექსიკელები გვადელუპეს ღვთისმშობელს.
თუმცა ყველა სწორია, რადგან შარა შორია –
ხეირის და ზარალის შუა ვიწრო ზოლია –
ბოლოს ყველა მოელის, ბოლოს ყველას ერგება
ორი წყვილი ფიცარი – როგორც გამიგონია.

გიგაშვილის კატა

ვუყურებ კატას. მაგიაა კატის მზერაში
და ყურადღებას ვერაფერი ვეღარა ფანტავს –
ნაცრისფერია ანთებული ცისფერ მელანში
და მონუსხული სიმარტოვით მაკვირვებს კატა.

ვუყურებ კატას: ჩვენ ორნი ვართ კატავ მე და შენ,
სხვა ვერვინ გეტყვის ამაზე მართალს
დავვანებულვართ სხვადასხვაგვარ ეფემერიდში –
ერთი ალთას და მეორე ბალთას.

თუ აკრძალულში შემოვიჭერ, დიდი ბოდიში,
დანთებული მაქვს წმინდა სანთელი...
შენ სიამელი, მე ფესვებით ზემო ბოდბეში –
შენ კატა ხარ და მე კი ქართველი.

შუამთის გზაზე

შინ მოვდივარ: ლურჯ ღამეში მარტოდმარტო ვბრუნდები.
თავზე მთვარე დამნათის და ვარსკვლავების გუნდები.
შორით მოჩანს კავკასიის ვერცხლისფერი ქედები.
ფუძე მელის მშობლიური, განა დასაყვედრები.
შინ მოვდივარ, მოვღიღინებ უღრან ტყეებს კაკლიანს –
სულს ვუმალავ დაღლილობას, ან და რა საკადრია.
აღარაფერს აღარ ვნატრობ, არაფერი მაკლია:
სხვაგან ყოფნა ღალატია – დაბრუნება მადლია.

მოგონება–იუმორესკა

ჯ. გოლეთიანს

სამნი ვისხედით ვერაზე ბაღში:
მე, ჯემალა და „გოღი ჩორტიკა“ –
გაოგნებულნი: ტელევიზორში
პირველად ვნახეთ აერობიკა.
მახსოვს რეზონი მეტი იმაზე,
კაცმა, რომ დადგა ფეხი მთვარეზე,
ლაპარაკობდა მთელი ქალაქი
ჭრელ ტრიკოიან ქერა ქალებზე.
გაჩნდა იმედი აკრძალულ ხილის –
შენც ხომ კბილს გაჰკრავ, არც შენ აგცდება,
მერე იხუვლეს ონანისტებმა,
ლესბიანებმა, პედერასტებმა.
უცებ გამრავლდნენ, ვით ორგანიზმში
პარაზიტები – მრგვალი გლისტები:
ოეღოველნი, კრიშნაიტები,
ბაპტისტები თუ ადვენტისტები.
მაშინ რა უჭირს, ბაღში ვისხედით:
მე, ჯემალა და „გოღი ჩორტიკა“ –
განვიხილავდით: რით განსხვავდება
პორნოგრაფია და ეროტიკა.
– ერთი წინ უსწრებს მეორეს როგორც,
ჯაჭვიან არაყს წინწანაქარი...
– არ აგერიოს, ჩორტიკ-ჯან—მეთქი...
ჩორტიკამ მითხრა: – შენ პირს შაქარი...
ეჰ, რა დრო იყო... სად იყო სპიდი,
ან და საბაზრო ეკონომიკა...
გუგულებივით ვისხედით ბაღში:
მე, ჯემალა და „გოღი ჩორტიკა“.

წუთისოფელი

სოფელი წუთიც არ არის, სოფელი უფრო წამია,
ან და ეგ წამი რაღაა, მაგრამ რამდენი რამეა.
მაგრამ რამდენი სევდაა, ან სიხარული ხალასი,
საშინელების მხედარიც – მსახური დარდუბალასი.
რამდენი სიყვარულია, რამდენი სიძულვილია,
რამდენი გაყიდულია, რამდენი შეპყრობილია.
გატაცებაა როგორი – ჯილაგის ვნების ავდარი,
მოკვდეს მაგისი მომგონი – ქვეყნად ღალატი რად არი.
რამდენი ძმა გიპოვია და მტერიც უეცარადა.
სუფრა სიცოცხლის ფონია – პერსონაჟია თამადა.
სოფელი წუთიც არ არის, სოფელი უფრო წამია:
გაიხედავ და დილაა, გამოიხედავ – ღამეა.

შორეული მოტივი

კარგი იყო ის დრო და გული ძალუმ იძროდა,
დავიწყებას მიეცა ის, რაც იყო ხინჯებად –
აქნეულმა ტოტივით, სულმა სივრცე იგრძნო და
ბანგით გონგათანგული სადღაც მიაბიჯებდა.
სადღეგრძელო ისმოდა – ისევ მიყვარს ის მოდა
და მოტივის ისმოდა: სიყვარულზე გოდება,
მელოდია მაცთური, როგორც ფლიდი ყისმათი –
ლხინს სტოვებდა და სადღაც მარტო მიაბოტებდა.
აქნეული ტოტივით მობარბაცე ლოთივით,
სადღაც მიაბოტებდა შორეული მოტივი
და იმ მოტივს, ჯიუტად, როგორც რეჩიტატივი,
ისევ იმეორებდა ეხო მიკიოტივით.

ძველი ლექსი, ანუ ღრუბლები

რა კარგები ხართ ღრუბლებო,
რა კეთილი გაქვთ ჯიშია,
თქვენში მზის ამობრწყინება
ჩვენში მადლი და ნიჭია.
მაქციეთ ღრუბლად – მოგდიოთ –
გუმანმა აგრე მირჩია,
აქ სულ ტყუილა ვაგდივარ,
დათარსული მაქვს ბიჯია...
ბაადურ ბალარჯიშვილი
ერთი საწყალი ბიჭია.

ბოდბე

ფორთოხალივით ფერუხვი მზე და, გორები მორუხო –
წყნარი ბაო და ბალახი – მტვერითაც ვერ შენალახი –
ბროლი არის და ბადახში ფთილა ღრუბლების ნახევი,
ჩრდილი მიჰყვება სანახებს გარემოების კარნახით.
ხილულის ბანგის წყალობით, წარსულს მიჰყივის ფანოღი –
სალხინოა და სამოთხე – აქედან გადასახედი –
სულს სიამაყე ეამა, ვით შველს მარილი სალოკი –
ვახ! ფიროსმანის ნახატის გამოფენილა მაკეტი.
ცრიატს ციალი ფერების, სივრცის სილაღეს ახამებს –
აქ იკურნება ღვთიურად ყველა წყლული და სახადი,
კაცურად თბილი საღამო სიკეთეს შემოგახარებს:
აქ არის ჩვენი საყდარი და წმინდა ნინოს საფლავი
და ისმის სივრცის გალობა გამჭვირვალობით ჰაერის
და ისმის შორი ზარები: მნუგეშებელნი სულისა...
ისეა ბოდბე შეთხზული, როგორც რუსთველის შაირი –
იმისი მადლი გვწყალობდეს – საიდან სადაურისა.

ᲔᲚᲔ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲙᲝᲚᲘᲖᲔᲣᲛᲘ

„Qvo vadis Domine?“

მზემ არეკლა გუმბათებზე სისხლისფერი,
კოლიზეუმს გადაეკრა ჩრდილი,
გორაკებთან გაირეკა მწყემსმა ფარა,
გზაზედ მგზავრმა ხელი მოიჩრდილა.

რომი გახდა ვაების და ტანჯვის ცენტრი,
ტვირთი მისი მძიმეა და რთული.
ტოვებს ქალაქს მოციქული წმინდა პეტრე,
ქრისტესათვის კაცთა მებადური.

აწყდებიან ტალღებივით ამფითეატრს,
ხალხის მალე დაიწყება დენა...
ქრისტეს მსახურთ მერამდენე უკვე თვეა,
განსაცდელი კვალში დაედევნა.

წმინდა პეტრეს, ცრემლი მოსდის თვალზე ღვარად,
დაიღარა თვალნი, როგორც ცვილი.
უცებ გზაზე ციდან შუქი დაიღვარა
და მოხარა თავი შევერცხლილი.

ნათლის სვეტში ხედავს მისკენ, მოდის ქრისტე,
საუკუნედ მოეჩვენა წამი...
შეეკითხა: „საით მიხვალ, უფალოო? – „რომში“ ისევ,—
უთხრა – „რომ ვეწამო“...

მიხვდა პეტრე, მისი ჟამი რომ დასრულდა,
მყისვე ადგა მოწიწებით მდგომი...

და მაშინვე ქალაქისკენ შემობრუნდა,
მასაც ჯვარცმით ელოდება რომი...

დღეს კი, როცა განთიადზე კოლიზეუმს
მეწამულის ლალი გარს ევლება,
ისევ ახსოვს დროებისგან თითქოს ეულს,
ისტორიის ძველი გაელვება.

ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ

(ემიგრანტებს...)

გულით თან დააქვთ, უცხო მიწაზე –
სამშობლო, როგორც უფლის ხატება
და მოგონების უწყვეტი ხაზი,
სულში ელვარებს ვით მონატრება.

თითქოს მის ფესვებს მოსწყვიტეს ვაზი,
ქარში ფოთლები გაეფანტება,
მშობელი მიწის სურნელი ნაზი,
ვერსად იპოვეს ემიგრანტებმა.

მოფრინდებიან ყოველ გაზაფხულს
შორი ქვეყნიდან ჩვენთან მერცხლები,
მალე დაბრუნდით, სანამ დაზაფრულ
მწვერვალებს თოვლი შეევერცხლება.

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ

ცა ხავერდისა, ლაჟვარდოვანი
ზღაპრულ ფერებით არ შეწყვეტს ციალს.
დღითა და ღამით ვით ბანოვანი
ყელმოღერებით დგას ვენეცია.

თვალებზე დროის ნიღაბს ატარებს
მზის გვირგვინი კი მოირგო თავზე
და ანტიკური ხანის სადარი
ქუჩები მუდამ წყლით არის სავსე.

დილით ზურმუხტი, ღამით ფირუზი
და მარგალიტის დღისით თვალია,
პოეტების და მხატვართა მუზა
ადრიატიკის დედოფალია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ღამის ტერასები წყვილებს ელოდება
და მოედინება მშვიდ ტალღებად სენა.

ბაღის ხეივნების ძველი მელოდრამა,
მონეს სურათივით გულმა გაიხსენა.

ტაძრის გოთიკა და ურბანული ქუჩა
ლათინური კვარტლის სურნელება ძველი.
გაოცებულ მზერას საზღვარი არ უჩანს,
გადმოჰყურებს ქალაქს დინჯად ეიფელი.

სიო აუყვება ელისეის მინდვრებს,
ბანოვანი... ყავა... თითქოს კაპრიზია...
სინათლის და ტრფობის ქალაქს კვალში მივდევ,
ირგვლივ საღამო და ჩემი პარიზია...

წარწერა შანდორ პეტეფის ლექსზე

„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,
რაც გადის დრო და ხანი“.
შ. პეტეფი

გადაშლილ წიგნთან იწვის სანთელი
და ალი ცეკვავს თავგამეტებით.
რითმები ტრფობის ცეცხლით ათვლილა,
სატრფოს უმღერის შანდორ პეტეფი.

ვამთავრებ სტრიქონს, კითხვამ უეცრად
გულში ფიქრები არივ-დარია.
სიყვარულს ხომ ვერ შეიძენ ვერცხლად,
სად ადამის ძე თანაბარია.

ვფიქრობ და გულში ათასი ფიქრი
ირევა, დარდად იქცევა ანდა...
ჩაქრა სანთელი და ღამე მიქრის...
ჩემი ფიქრებიც გაუჩინარდა...

* * *

რითმები,როგორც მიჯნურთა წყვილი,
ლექსში დარჩა და ტრფობით განმაწყო.
წყარომდე ალბათ მომკლავს წყურვილი...
წარსულმა თითქოს დაიპყრო აწმყო.

მოგონებების ლაბირინთები
გზებს მიუყვება, მოსჩანს მაღლობი
ფიქრი მზესავით ამოინთება,
ვიღიმებოდი... თანაც ვნაღვლობდი.

არ გძინავს?..რატომ?..იკითხავს ისევ,
გამოხმობილი ფიქრებით ექო..
მე კი, ლექსების მუსიკას ვისმენ,
გულის სიმებს რომ ნაზად შეეხო...

* * *

ძლიერ მიყვარდა პალმა,უდაბნო..
ათასწლეულთა ქვის პირამიდა...
ცას საიდუმლო უნდა ვუამბო,
მარტოს, გრძნობები გულში რად მინდა...

ქვიშისფერია საზღვარი სივრცის,
ჰაერში სიცხის ადის ალმური.
რა საამოა,როდესაც იცი —
გაქვს ოაზისი გადამალული.

ქარი შეიცვლის მიმართულებას,
სილის კიბეთა იშლება რიგი...
ზოგჯერ ცხოვრება ისე რთულდება,
ვით აუხსნელი იეროგლიფი...

ციკლიდან:
„ეკატერინე ჭავჭავაძის წერილები
ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილს
განჯაში...1845 წ.“
(მოგონებებიდან...)

* * *

...და მაგონდება არაგვის გასწვრივ,
ზაფხულის ღამის ძველი ტრფიალი.
გათენებამდე პირთამდე მასვი,
პოეზიის და ვნების ფიალა.

სული მარტოა და მანდ ვარ თითქოს,
ვხედავ, მიზიდავს უჩინო ძალა.
ამ სიშორეზე გულს ვინ გამითბობს,
დატყვევებული ვარ ამორძალი...

აქ, დარბაზების მდიდრულ ბარხატებს,
შენთან ხეტიალს ვირჩევდი ეტლით.
სანთლებს ავუნთებ ცრემლებით ხატებს,
უფალმა იცის, მალულად გეტრფი.

თვალწინ მაქვს ისევ არაგვის ჭალა...
აქ, სტუმრებს ველით და მეფისნაცვალს...
ჭაღთან სანთლების ირევა ჭავლი,
შენი ლექსებით მსურს თავის დაცვა.



ᲯᲔᲛᲑᲔᲠ ᲣᲗᲠᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲡᲔᲜᲘ

თამაზ წივწივაძეს

მტრის შემმუსვრელი, მოყვრის დამცველი,
შენი კალამი ისევ ელვარებს,
დედინაცვალზე დედის გამცვლელი
რომ მოგვიმრავლდნენ, ის გამღელვარებს.
ბასრი ხმალივით ენა კვლავ გიჭრის,
ებრძვი ხორცმეტებს და ქვედაბუნებს,
საკბილოს პოვნა არასდროს გიჭირს,
რადგან ბევრი გვყავს, ვინც ხალხს უგანეს.
გასევდიანებს მამულის სენი,
ეკლად გესობა მოყვასის ჭირი,
შხამად შეერგოს მას დედის ხსენი,
ვინც ვერ გაიგოს, რისთვისაც ყვირი.

ᲓᲐᲡᲯᲐᲑᲜᲘ ᲓᲐᲠᲓᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲔᲑᲡ

ნათელა მაჭარაშვილს

ბარაქალა შენ, ქალო, დის დარო,
მუზით და ლექსით გულდახანჯლულო,
ლექსებით უნდა გამოიდარო,
ლექსებში ჯერ მთლად არ დახარჯულო.
ასეთი მწარე ბედი რად გერგო,
ჭეშმარიტ პოეტს და სათნო დედას,
სიკეთე გინდა ხალხს ჩაუნერგო,
მაგრამ შენს ვარამს ვერავინ ხედავს.
შენი დარდები მეც გადმომედო,
ამიწყლიანდა ბებერს თვალები,
იქნებ ჯიბეში გროშიც არ გედო,
წუხდი ბედკრული ქვეყნის ვალებით.
ზეობს რამდენი ბრიყვი და შტერი,
დაფნის გვირგვინით შეამკეს ქლესა,
წუთისოფელის გახადეს გერი,
ვინც ხალხის გულებს სიამით ლესავს.
რას ვიზამთ, ზოგის ბამბაც ჩხრიალებს,
სიკეთის ნერგიც ხშირად არ ხარობს,
დასჯაბნი ყველა დარდს და იარებს,
ბრიყვებს ქედი რომ არ მოუხარო.

* * *

ნეტავ იმდენი შემეძლოს
ჩემზე უმწეოს ვშველოდე,
გულს გინდა დარდი მიხრავდეს,
მტრის ჯიბრზე მაინც ვმღეროდე.
მოყვარე აღარ მეგონოს
ადამიანი – ჰეროდე.
ამ ტიალ წუთისოფელში
მხოლოდ უფლისა მჯეროდეს.

* * *

„ლექსო ამოგთქომ ოხერო,“
რომ ეგებ გამანუგეშო,
თორემ ცრუ წუთისოფელში
მომკლა სვლამ უგზო-უგეშომ.
არავინ გაიზიარა
ჩემი ფიქრი და დარდები,
კაცი ბებერი, უფულო,
აბა, ვის შევუყვარდები.

* * *

არავისაც არა ვგევარ,
არც მინდა რომ ვინმეს ვგავდე,
დე, სანამდე ფეხზე ვდგევარ,
სულ სიკეთეს ვთესდე, ვრგავდე.
ჩემი ხმა და ჩემი კილო
ჩემი ჭკვით და გზით ვატარო,
რომ არავინ არ გამკილოს
და არ ავყვე ბრიყვ-ტარტაროზს.

* * *

ჩემი დღენი და მოსწრება
ოფლისღვრით გამოვიარე,
მშიერმა თვალცრემლიანმა
სხვის ჭირი გავიზიარე.
სხვის სიხარულით ვხარობდი,
სხვისი ტკივილი მტკიოდა,
მე არვინ მეკითხებოდა,
ცრემლები რატომ მდიოდა.

* * *

ნეტავი კაცი მაჩვენა,
ბედზე რომ არა ჩიოდეს,
ან მითხრას ღმერთმა გამჩენმა,
კარგ ყმას რად უნდა შიოდეს?!

* * *

დღისით მზე გეალერსება,
ღამ-ღამით მთვარე პირბადრი,
მე გული ჯავრით მევსება,
ბეჩავს თავს რომ არ მიყადრი.

* * *

გულს ვერ მოვგვარე სიამე
ტირილითა და გლოვითა,
ტკივილიც ვერ დავიამე
მამულის ძუძუს წოვითა.

* * *

თუ ასცდი უფლის ბილიკებს,
ბრიყვიც კი გაგაქილიკებს.

თაფლო ზარიძე

* * *

თენდება,
შველივით გამისხლტა,
ღამისას
ნაფიქრი სტრიქონი,
ვიჯერებ,
რომ ისევ მაისად
ამღვრეულ
ქალაქში გიპოვნი...
ვიპარავ
ვარდისფერ განთიადს
და
ხელის გულებში გინახავ.
შიშველი
ღრუბლები მაცვია
და
წვიმის სუნთქვაში ბინა მაქვს...
ვაწებებ
გაცრეცილ მზის ტილოს,
ცისფერი
ტალახის ნარჩენებს,
მე
უნდა უმანკოდ ვიტირო
და
თოთო ბავშვივით გავჩერდე ...
მე
უნდა ვიფიფქო თოვლივით,
დამღალოს
სამყაროს ტრიალმა,
რომ
მქონდეს სამზეო მოვლილი
და
ერთი სიცოცხლე მთლიანად ...

ჩემი ვაშლის ხეს

შენი ლანდია თოვლზე მძინარი
ხევ —უცნაურო ...
ყური მიუგდე იის სიცილს
ცას — უხმაუროს,
ადამიანზე მეტად გესმის
ვიცი —სიჩუმის,
ჩემი ტკივილის ნაფიფქია
ეს ჩამი—ჩუმი ...
ხელში მეტევა შენი ტოტი,
ხევ —უცნაურო...
მუხლებს მიყინავს კაბა სველი
— აურზაურით,
ჩემი სითეთრის საათია,
დროა — გვამური,
დრო —უღამური,
დრო — უდღეურს ელაციცება...
შენი ლანდია, რომ იღვიძებს
ხევ —უცნაურო...

პოეტურ სურნელს

მუხლისთავებზე მეზრდება ყინვა
ნააბორტალი ჩვილის სხეულად...
ჩემს უთვალებო სარკმელთან მივალ,
მიწის სურვილში რომ გავეხვიო ...
ართავს ობობა მისტიურ ძაფებს,
რომ გაიმძაფროს წყურვილი მსხვერპლის
და შორით მთვარე საკმევლად აკმევს,
სიტყვებს, რომლებსაც დუმილად ვეწვი ...
შიში მაქვს სისხლის, სისხლში მაქვს ომი,
სული ეხება სიცოცხლის წყრომას,
გენში მაქვს სიო, თვალები მგოსნის,
ვარ მისტიური ქარების ქროლვა ...
ღრუბელი ჩემი კაბაა თეთრი,
ვარ დემონური მუზა ვრუბელის,
მხოლოდ უმაღლეს მწვერვალებს ვერწყმი
და ვემონები პოეტურ სურნელს . . .

ანმყოს

დგას სიჩუმე იასამნის
და სიმძიმე ლოცვისფერი ...
აწმყოს ჩრდილი მოასვენებს,
კრთიან დროის მოისრენი.

გუბეებში რძე ჩაგუბდა,
ჰაერია შხამიანი ...
მოიკიდოს თითო გუდა,
ვინც ქვეყანას აშრიალებს...

გზა, გზად რჩება,
მრუდე, მრუდედ.
დაიჭირეთ მიწის ჩარჩი,
მიწა - მიწას დაუბრუნეთ!

ჟამი ხედვას ანამქერებს,
სული ძვრება ყველა სტრიქონს...
ვერასოდეს ვერ იქნება
ლექსი ის, რაც ჩემთვის იყო!...

თავში თავნი თავდებიან,
ცა მტვერდება სიცრუენით,
ვინც სიმართლის თანმდევია
ყინულებზე აცურებენ...

ყველა მტყვანი ქადაგია,
მზეს ამტვრევენ ღამურები,
ღამის კოშკებს ვაქანდაკებ,
დღესთან აღარ დავბრუნდები!...

დგას სიჩუმე იასამნის
და სიმწარე ლოცვისფერი,
აწმყოს ჩრდილი მოასვენებს,
მომავალი მოიხსენით ...

ᲨᲐᲕᲘ ᲢᲘᲢᲐᲡᲐᲕᲘᲗ

მოვა უნაზესი,
შავი ტიტასავით
თხელმხრებმოკანკალე
სიკვდილი ...
და მე გიშრისფერი
გრძნობის დედოფალი,
სიხარულისაგან ვიტირებ ...
წავალ ამ ქვეყნიდან
და გზად გამაცილებს
გუნდი იისფერი მტრედების.
წვიმად ამოვანთხევ
გაუტკივარებულ,
წამით გაცოცხლებულ იმედებს ...
წავალ,
(არა დამრჩა
გარდა სიყალბისა,
დედამიწაზე რომ ვიჩუქე)
სადაც ვარდისფერი
სხივთა მირაჟია,
ხოდა სულო ჩემო —იყუჩე!
მოდის უნაზესი
შავი ტიტასავით —
თხელმხრებმოკანკალე
სიკვდილი...

ᲛᲖᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ

მშვიდობით,
მშვიდობით ენძელის სურნელო,
მშვიდობით მინდორო —
პეპლების გალიავ ...
ნიავმა სამყურას სულიდან იმღეროს,
მზე ჩემი ვალია ...
სიცივეს დავტყუებ უკბილო ხეივანს
და ქარებს ვნებდები,
და შორით მოჩანან ველური სინაზით
აშლილი ნერგები ...
ღრუბლებმა ფლოქვებით ცა შეაზანზარეს,
კანკალებს ხვიარა ...
წვიმებმა ყამირი ჰაერი გათოხნეს
და მიწა ეამათ...
ჩიტებმა ჟივჟივით
კვლავაც მიაშურეს ბუდეებს ლალიანს
იტირონ ღრუბლებმა,
წვიმებმა იარონ,
მზე ჩემი ვალია ..

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

სადღაც შრიალებს შენი ვერცხლი
თოვლის საბანო,
შენი ფიქრები სპეტაკია,
დაუსაბამო ..
იქნებ უხეში ქარტეხილი
შენც გაციებდეს,
ნეტავ შემეძლოს,
—სისასტიკეს აგაცილებდე ...

ლაჟვარდიანად
შეიმჩნიო უნდა — ცის კარი ...
ყოველ წელიწადს
განმეორდე
—დაუვიწყარი ...

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ ᲛᲘᲬᲐᲜᲘ

ძველი ლანდი ვარ არსად წამსვლელი,
ჩემს ნასახლართან მსუსხავს ჭინჭარი ..
მოლოდინები დაიმსხვრევიან
და აქ მომსვლელი არავინ არი ...
ვხედავ — წალკოტებს ყელში ამოსდით
მზედ მონათლული სველი გვირილა,
ვერც მან შეიცნო ჩემი ამბორი
და ნიავ—ქართან გამაიგივა ...
მოვაირგვლივე ლექსი მიწიდან,
განა მისანი —
ვარ ანგელოზი ნათელ—ციცინა,
ღმერთო მიცანი ...



თემურ ჭახნაკია

უპოეზიოდ

ქარის სიმძლავრე ვუპოვე სიოს,
ღრუბლიდან თქეშის მომასკდა ჭავლი,
ცხოვრებად ვერ ვთვლი უპოეზიოდ
გაცვეთილ დღეებს,ულექსოდ ჩავლილს.
ხშირად ვმასპინძლობ მაჟორს და მინორს,
შევხარი ზუსტი რითმების ვარვარს,
სტრიქონი უკრავს მზის ვიოლინოს,
ლექსებს ვწერ, მაგრამ პოეტი არ ვარ.
შევდივარ წლებში ბრმა დროის ეტლით,
მთრგუნავს ცხოვრება კუშტი და მკაცრი,
მე ყველა ლექსში სიწრფელეს ველტვი,
მგოსნებს დროის ღრმა საცერი გაცრის.
თავს წერით დაღლილს ვგრძნობ ქაოსურად,
ვიხადე ლექსთა ძვირფასი ხარკი,
ვუმზერ დღენაკლულ ცხოვრების სურათს,
რომ მჭყლეტს მტევნისებრ ბედის ჭახრაკი.
ვაფრქვიე ბნელში შუქი მზის ჭაღმა,
ცივ მიწას შეხვდა სხივები მზიდან,
სიკვდილი თუკი მომართავს ჩახმახს,
მე პოეზიის საუნჯე მზიდავს.

განწყობილება

ყველა წავიდა და
შემოვრჩი მთვარის ამარა,
შმაგი პეგასი მღვრიე
ღამეს უფრთო, უბელო,
ჩემი ოთახი-პოეტური
სევდის სამარე,
რომელშიც ვწევარ,
როგორც ცაში მარტის ღრუბელი.
ხელს ვაფათურებ
ბლოკნოტებში, ყვითელ
ქაღალდებს,მორიგი ლექსის
ემოციად დავეწერები,
ჩუმად ვლოცულობ,
თავდახრილი ღმერთს შევღაღადებ,
ბროლის ჭიქაში
იებია და ენძელები.
მე საკუთარ თავს
სარკაზმით რომ გავაქილიკებ,
მჩატე სხეული
უძილობით მომეთენთება,
განთიადისკენ შევუყევი
ღამის ბილიკებს
და აივნიდან ვაკვირდები,
როგორ თენდება.
სრულდება დილის მოკლე
კადრი და ზანტი ტემპით,
ცაზე ნისლები
გამოდიან უშნო ტიტრებად,
თითქოს ნეკნებზე დამაჭირა
სამყარომ ტერფი,
მოვიდა მძიმე კაეშანი და გაფითრება.

ნიკო ფიროსმანს

ღარიბი მხატვრის ნიჭს
ხედავდნენ ადრეც მკაფიოდ,
ნიკოც ხატავდა ერთი
ჭიქა ღვინის სანაცვლოდ,
ყველა შედევრი საფირონის
ცაზე გავფინოთ
და – „ფიროსმანი“ ხმამაღლა და
რიხით დავმარცვლოთ.
ის ძუნწ თავადებს უხატავდა,
თურმე სურათებს,
მაინც არავის უხაროდა
მხატვრის აღმასვლა,
მაგრამ დრო-ჟამი ბნელ
გონებას ყველას უნათებს,
კიბის ქვეშ ფიქრით,
მან აიგო ოქროს ქარვასლა.
ღვთითნასწავლ მხატვარს
არ გადარებ და ვინჩს, რენუარს,
შენ სიდუხჭირემ ვერ დაგჩაგრა,
დიდო ფერმწერო,
ტანშიშველ ქალებს კირით
აცვამ ლამაზ პენუარს,
დიდების ხეზე შენ
გეკუთვნის მხოლოდ კენწერო.
თუ ხელოვანი ცივ ალკოჰოლს
ფიქრთან მიიტანს,
რომ გზები გახსნას
დარდებიდან გამოსასვლელი,
ახლაც სავსეა დუქნები
და გულქვა მიკიტანს

გული არ უზამს დაენანოს
შენთვის სასმელი.
ნიკო ხატავდა მშიერი და
მთვრალი, ნახატებს,
ბევრი ბრძენკაცი იგერიებს
ღვინით კაეშანს,
როგორც ჯერ დღეა, საღამოს
კი უნდა დაღამდეს
და სივრცის შუქი დედამიწას
ზურგზე დაეფშვნას.
ალბათ ის ახლაც ნამთვრალევი,
სადმე ღვინოს სვამს,
ხელში უჭირავს დალეული
ფუნჯის ნამტვრევი,
ჟამი ვერ მოკლავს ხელაღებით
ნიკო ფიროსმანს
და ჩვენს გულებშიც
არ კვდებიან დიდი მხატვრები.

ჩემო სოფელო

სხედან გლეხები და ხარობენ მორჩენილ მოროდს,
ქორფა ალერდმა შეაფრქვია მშვიდ ცას ალმური,
ცხოვრების ხნულში დღე არ გადის უიუმოროდ,
შაშვის გალობა მესმის,როგორც ხმა სალამურის.
გრძელ ტალავერზე დაქანაობს ზანტად კიმელი,
ნედლი მინდორი უმასპინძლებს უბელო ჭაკებს,
მნატრობს სოფელი,სათნო დედა, ვიცი, კი მელის.
ჩხენიშის ქარი ნისლებს აშლის, ზეცის ლეჩაქებს.
ვხედავ, ჭალაში მარჯვე კაცთა გამრჯე ლეგიონს,
ვერხვის გრილ ჩეროს შეეფარნენ და სხედან გარეთ,
მამაჩემს, ვგრძნობ, რომ უსურდოს და უალერგიოს
ძარღვში უღელავს წითელ ღვინის ღრმა სიანკარე.
სექტემბერში რომ კუხე მტევნებს ამწიფებს ზვარი,
რკინის ჭახრაკში გავატარებთ ყურძნიან კუფხალს,
ქუში ღრუბელი ფრთებს გაიშლის-უენო მგზავრი,
ზეცის ბუდეში ქათამს მოჰგავს, კუშტი,ნაკრუხალს.
დაჭყლეტილ ჭაჭას საწნახელში ერთბაშად ჩავყრით,
ათი დღის შემდეგ გადავწურავთ ღვინოს ყვიბარში,
უსკდებათ ჭუკებს ცხელი კლერტით სავსე ჩიჩაყვი,
„კუხნის“ ნინკარში შემოსულებს უმალ ვყრი გარეთ.
მინდვრიდან მხდალი ბეღურები აშალა მურამ,
რკინის მესერთან მზე შეათბობს ტურფა ენძელებს,
მე ძმაბიჭებთან ლხინით დავლევ ცივ შალამურას,
საქართველოს და გლეხის მარჯვენს სულ ვადღეგრძელებ.
ვიხსენებ ახლა ნაღვლიანი ცელქ სიჭაბუკეს,
ასეთ ფიქრებში მივეცემი ტკბილ განცდის მაჟორს,
თუ ქართველი ხარ, უნდა გქონდეს მხნეს სიჩაუქე,
ჩემო სოფელო, რა ახლოს ხარ და თანაც რა შორს.

ჩემს სიყვარულს

ღრუბელი – ქუფრი ორთქლის საცერი,
ზეცის სიბლანტემ, თეთრად გაცრიცა,
ბნელი კოსმოსი ჩანს, ვით კარცერი.
წარმტაც ფანტელებს, როცა გაცრის ცა
შენ მოხვალ ჩემთან – ზღაპრული ელფი,
გზას გაგიბრწყინებს ციდან ისიდა,
მოხრილი მთვარე, როგორ ჰგავს დელფინს,
ცა გრანელივით გვიხმობს, გვიზიდავს.
ტრფიალის ალმა ეს გული დაწვა,
შენ მატორტმანებ, როგორც ქარი,ზღვას,
მოვიდა თოვლი და გზებზე დაწვა,
ტყემ იგრძნო ქარის შფოთვა და რისხვა.
ქრისტეს უჭირავს ჯვარი თითბერის,
და თითქოს ჩვენ ორს მოგვიხმობს ტაძრად,
როგორც ლოცვისას შუბლზე თითს ბერი,
მივიდებ კალამს და სტრიქონს დავძრავ.
გარეთ კი ბარდნის,თოვლი, ვით ბამბა,
და მთები იცვამს ნისლის ბიალონს,
ყველა გაიგებს, ამ ფაქტს, ამ ამბავს,
მზად ვარ მუდამჟამ რომ გეტრფიალო.



ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ

ჩოლოყაშვილს

სიზმარი ვნახე წუხელის,
ახსნას მპირდება მსაჯული,
ისმოდა მთების ქუხილი,
უწუხდათ გული ტანჯული.
თეთრი მანქანა მიქროდა
კავკასიონის თავებზე,
უცხო ცხედარი მიჰქონდათ –
ზეიმით ასაფლავებდნენ.
თოვლიან მთების ქვედა ზღვარს
მწვანე გასდევდა სავერძეთს,
ვარსკვლავთა დასი ცეკვავდა
ბრწყინვალე მთების თავებზე.
გამომეღვიძა, ვიწამე,
რასაც უსირცხვოდ მალავდნენ.
მთაწმინდის ნათელ მიწაზე
ჩოლოყაშვილსა კრძალავდნენ.

ᲜᲐᲢᲐ ᲕᲐᲠᲐᲓᲐ

ᲣᲨᲕᲘᲚᲝ ᲜᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ

როგორ იყურებოდა შილდის სახლში,
დედაჩემის დედინაცვლის მხარეს,
უფანჯრო ოთახის ირმის თავიანი კარადა,
კავკასიონის ქედივით დაქრუშული,
ჭინკებშეჩენილ კავკასიონის ნისლით გაბრუებული.
აივანზე, ადუღებულ რძეში ვცურავდით,
სადაც სუსხი მწვერვალებზე
დადებული უკვდავი თოვლის სითეთრთით
გვეხვეოდა და გვწვავდა.
ცეცხლზე და ყინულზე
ერთნაირად გიწითლდება ხელ-ფეხი,
ერთნაირად გვწვავს ორივე –
ცეცხლიც და ყინულიც.
ნინა პაპაჩემის მესამე ცოლი,
სომხის ოქროსკბილა ქალი,
უცნაური სიცილით ჩემდანახავი, უშვილო.
ის ცოცხალი იყო, როცა ერთ აღდგომას,
როცა 18 წლის მოწიფული ქალიშვილი გახლდით,
წავედით მე და დედა შილდაში,
დედის მშობლების საფლავებისთვის
წითელკვერცხებიანი
და სანთლებიანი მოწნული კალათით.
დედაჩემი - წითელქუდა,
სასაფლაოს გზაზე წითლდებოდა, ღუოდა,
სიხარულისგან.
დღეების დარჩა თავის დედას,
დედამისი სისხლისგან დაიცალა,
მდინარეზე რეცხავდა ჩვილის საფენებს და
ისე გაცივდა, 28 წლისამ მიატოვა სამი პატარა.
დედაჩემს მივყავარ ნაბოლარა,
დედაჩემი უღიმის მამამისს,
დედა მისთვის კი ისევ უცნობია.
იმ საფლავზე თითქოს მოვინათლე,
ხელისგულებით წამოვიყოლე სინათლე და
საფლავიდან ფოსფორივით ამოსული
პაპ-ბებიის სითბო.
უკან მობრუნებულებს,
ნინა დაგვხდვა ბოსტანში,
გოგრისხელა პომინვდრებიდან ოქროსკბილით
იღიმოდა ჩვენ შემხედვარე.
იმ ღამით,
ისეთ ფუმფულა ლოგინში დამაძინეს,
დედამ და დედინაცვალმა,
საწოლის ქვეშ სიმონა პაპას მოკლული დათვი
მეწვა და მდარაჯობდა,
მზემ გამაღვიძა, მომდგომოდა, რომ დილით,
თავისთავად მეთქვა:
– ასე კარგად არ მძინებია –
ნინას სახე აუვარდისფრდა.
და, როცა ჩემი ბავშვობის სკივრში თავით ვეყუდები,
თითქოს პურებს ვაკრავდე გახურებულ თონეს,
ხელები მეწვებოდეს და სახეც,
ამოდის ხოლმე მართას სახეც.
მართა ბებიაჩემის დედინაცვალი,
დიდ პაპის მიხას მეორე ცოლი, ისიც უშვილო.
ახალსოფლის კარალიოკების ხეებში მჯდარი,
სიბერისგან გამოჭმული გულით,
როგორ ასწია გამოხრული მკლავები და
უკბილო სიხარულით ჩამეხუტა:
– ისე არ ვკვდები, ეს ბალღი ახლა
ღმერთმა მაჩუქა.
ისე გამაცია, ერთიანად ავკანკალდი.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ

ფშავი ქალია,
დედაბრული სიჩუმით მდგარი,
მამისეულ ხის მოხრილ სახლის
მოღიავებულ ჭიშკართან და დოინჯშემოყრილს,
მხრებზე, ბუერა ბალღებივით,
მთებს ადენილი ნისლი შეუსვამს.
დაბალ-დაბალი ვაშლის ხეების
გასწვრივ, სავსე ფურის ჯიქანივით, რძეგამოსულ
მსხლის ყვავილობას
ისე ასცქერის, თითქოს ვაჟმა
პატარძალი შემოაგელვა.
ლეღვის ბუჩქებს კი,

უყვავილოდ და თავდაპირველად,
ნაყოფთ გამოსხმულთ,
ვარდიტაბლობას, ღელვით გამოკრეფს,
დამწიფებულნი, ძველ სკივრებში ისე ჩაფუთნოს,
თითქოს საზამთროდ, მადლი უნდა გამოიზოგოს.

ფშავი ქალია,
დედაბრული გულმოდგინებით,
მინდორზე მოკრეფს ნაირფერად მოჩითულ ბალახ-
ბულახთ და სახლის ჩრდილში გაახმობთ.
უცბად რომ სოფლის იშვიათ მცხოვრებს,
სამთვარეულომ წამოუაროს,
მცენარეებს წამოადუღებს სულზე
სალბუნად რომ დააფინოს,
სიცარიელით დარდგაღვივებულ გამვლელ-გამომვლელს.

ფშავი ქალია,
მთათ განაბულ ღვთისშვილთა დაბლობს,
მამისეულ ხის სახლსა სახლობს.
დევის გმირებთან ნაბრძოლებთან,
კაცთა სულების შემგროვებთა,
მიდგომილ ქალთა დამხმარეთა,
მარტო სულების შემჭირვეთა,
მარიამწმინდა, იახსარ, კოპალა,
საფშავლოს დაბრძანებულთა,
ერთქალას საქონელს მიმხედავთა,
მის სახლის ბანს ჩამომსხდარხართ,
დედაბერი შინ არ გახლავთ,
ქრისტეს დედის მოსალოცად
საყდარს, წირვას
წასულია,
დამცხვარ ქადებს კიდობანში,
თიხის დოქში ცივ-ცივ ღვინოს
ალბათ თქვენს სახელზედ ნახავთ.
გაიხარებს, რომ გაიგოს,
მის სახლს უფლის სტუმრებია.
ფშავი ქალია,
მოხუცია.
მოღიავებულ ეზოს ჭიშკართან ხელის მოჩრდილვით,
თავშალით მდგარი,
მხრებს ბაცალიგოს ნისლი, დობილივით შემოხვეული.

სიჩუმეში თუ ატყდა ქარი, გულზე აბრა: „იყიდება სახლი“,
ხევისბერის თავსაფრებიან, ნაირფერა დროშასავით
ზანზალაკების ხმით გადაივლის,
მთებსაც, ხატ-ჯვრებსაც.



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲘᲯᲚᲐᲣᲠᲘ

* * *

იქნებ მომიყვე, გაზაფხულამდე
როგორ სციოდა პატარა სხივებს,
როგორ ნატრობდა, როგორ უყვარდა,
სიცოცხლისაგან გადაღლილ ხნიერს.
მათრობს და მკოცნის, უკვე კისერთან,
ახლად შეშლილი სხივების კონა,
მინდორზე, ცვრიან ბალახის სურნელს,
შეყვარებია მოლურჯო დილა.
უკვე მრავალჯერ გაღიმებული,
მივიწყებული პოეტივითა.
დილა ახალი პაემნების და,
დილა ახალი სიყვარულისა.

ᲡᲮᲔᲣᲚᲖᲔ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲠᲩᲔᲡ...

დამალე ახალი ნაყიდი ქოშები,
ვინ იცის მეუღლემ იეჭვოს რაიმე,
არ გინდა, გულსაბნევს ნუ ჩამოიკიდებ,
გააქრე, შე ქალო, ან სადმე წაიღე.
დაბრუნდი დროულად და სახლში მისულმა,
წყლით ჩამოირეცხე სხეულზე სურნელი,
არ დაგრჩეს სიწითლე კისერზე კოცნისგან,
არ არის ნამდვილად ეგ კაცი სულელი.
სახელი მრავალჯერ, მრავალჯერ წარმოთქვი,
კოცნისას სხვისი რომ არაფრით წამოგცდეს,
მიყვარხარ, კანკალით აჩუქე ალერსი,
რომ როგორც არასდროს არაყით გამოთვრეს.
წაშალე ლექსები, არ დაგრჩეს ფეისზე,
გალანძღე ცხოვრება ორგული ქალების,
და როცა შეატყობ ღრმად ჩასძინებია,
დაიწყე სიცოცხლევ გადახდა ვალების.
დამალე ახალი თვალების კაშკაში,
და ძველი ნიღბიდან მოირგე ღიმილი,
მზრუნველად უსწორე საყელო პერანგის,
სახლიდან გავა და მობრუნდეს ვინ იცის.
დამალე ახალი ნაყიდი ქოშები,
ვინ იცის, მეუღლემ იეჭვოს რაიმე,
არ გინდა, გულსაბნევს ნუ ჩამოიკიდებ,
გააქრე, შე ქალო, ან სადმე წაიღე.

ᲚᲚᲐᲠᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲑᲣ

ხმაურით გაიღვიძა დედაქალაქმა. ათასობით ადამიანმა კიდევ ერთხელ უთხრა ღმერთს მადლობა მშვიდობიანი დილისთვის. ზოგს კი, საერთოდ არ გახსენებია უფალი! უმცირესობისთვის კი, იქნებ არასოდეს არ არსებობდა, ან არ აღიარა, რადგან ვერასდროს იგრძნო მისი არსებობა!... დილა დილაა, როგორც სიკვდილი, ისიც არ არჩევს ადამიანებს. წარმომიდგენია რაც მოხდებოდა ერთეულებისთვის რომ თენდებოდეს! ღმერთმა დაგვიფაროს! მხოლოდ ბუნებრივი მოვლენები ვრცელდება ჩვენზე თანაბრად! მხოლოდ უფალი არ განგვასხვავებს არც სქესით, არც სოციალური მდგომარეობით, არც განათლებით...

ასე თენდება სოფელშიც. თუმცა, მისგან განსხვავებით ნაკლებად რომანტიულია დილა ქალაქში. მაღვიძარას მოვალეობას არ ასრულებენ ბიბილოდაწითლებული მამლები, არც ჩიტების საამო ჭიკჭიკი ავსებს სულს სიამით, არც მხიარული გადაძახილები ისმის – მისალმებას რომ მოსდევს ხოლმე მეზობლებში. მაგრამ თბილისი მაინც თბილისია, ძლიერი რიტმით და იმედიანი ხვალით! თუმცა, აქაც და იქაც, ერთნაირად ფიქრობენ ადამიანები, ერთნაირად წუხან, ერთნაირად უხარიათ. სამწუხაროდ, არის რაღაც, რაც ინდივიდიალურობას ემორჩილება და რატომღაც სხვადასხვაგვარად ესმით. იყო დრო, როცა ასე არ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დრომ მოიტანა, ასე არის და, ასე იქნება!...

ტიპიური თბილისელია გიორგი. მოაზროვნე, თანამედროვე. აქ დაიბადა, აქ გაშალა ფრთები მისმა სიჭაბუკემ. თბილისით სუნთქავს მისი წარსული, აწმყო და მისი მომავალიც ისაა. საბავშვო ბაღში შეძენილი მეგობრებიდან დღემდე შეძენილი უახლოესი ადამიანებითაა სავსე მისი სამყარო. ყველა სიკეთეს ყოველთვის თბილისს მიაწერდა. თითქოს რომ არა ის, არც სიყვარული ეწვეოდა და ვერც მამა გახდებოდა ვერასოდეს... ეხ, ამ მიწამ ჩაიხუტა მისი მშობლებიც... ჯერ მამა, სულ ახლახანს კი-დედა. ქალი, რომელიც დედაბოძად იდგა მის სამყაროში და, გამოეცალა...

თოთხმეტი წლისამ, მამის ცხედართან მდგომმა იგრძნო, რა უსუსური იყო თვითონ და რა დაუნდობელი ცხოვრება. ამაოდ შეჰყურებდა ყველას მუდარის თვალით-მამა ვერავინ დაუბრუნა! მამის თავისუფალ საწოლში დაკოდილი გული ჩააწვინა და დიდხანს, დიდხანს აღარ გაუღიმია. დედამ სასწრაფოდ მოირგო ღიმილის ნიღაბი და მისი მეშვეობით, სახლის ყველა კუთხიდან, უკვალოდ გაქრა მარტოობის აჩრდილი. დედის დახმარებით დაძლია სიკვდილის სიახლოვით გამოწვეული შიში და ტკივილი. მდგომარეობიდან გამოიყვანა და ხალისი დაუბრუნა. მერე გაცვალეს როლები, მაგრამ...

ახლა დგას დედის ბორცვიან საფლავთან. აქვეა მამაც, მაგრამ რატომღაც გრძნობს, რომ მამა ძალიან შორსაა, დედა კი, აქვე, თითქოს ხელის შეხებაც შეუძლია... თბილად მოკალათებულა მის სულში... მისი სუნთქვაც ესმის და მისი სურნელიც ძველებურად ავსებს... მხოლოდ ცივი ქვიდან მომზირალი სევდიანი თვალები უმღვრევს გულს. იქნებ სჯობდა, მხოლოდ ჯვარი ყოფილიყო აღმართული საფლავზე და სხვა არაფერი!...

დღეს ხარებაა-შვიდი აპრილი. დედის დაბადების დღე. დილით მთელი ოჯახი ტაძარში იყო. პანაშვიდი გადაიხადეს. ცოლ-შვილი შინ მიაცილა, თვითონ კი, რატომღაც, მარტომ ისურვა მშობლების საფლავზე მისვლა. ასე მეტად თავისუფაალია. ხმამაღლა შეუძლია ესაუბროს, მხოლოდ და მხოლოდ შვილი ერქვას...

მამის საფლავის ქვიდანაც შუბლშეკრული მამაკაცი უმზერს. რატომღაც ეჩვენება, თითქოს მამის წყენის თვალების ობიექტი მხოლოდ ისაა.

კაცი ფიქრითაა და ისიც ხშირად ფიქრობს. ფიქრობს მშობლების დამოკიდებულებაზე. მათ სიყვარულზე და ურთიერთპატივისცემაზე... არასოდეს ყოფილან მდიდრები, მაგრამ უსაზღვრო იყო მათი ბედნიერება. არც ქონებით ასულან ცამდე და არც არქონით დამარცხებულან. სხვისი სიკეთით ტკბობა იყო მათი სიმდიდრე. ასეთივე ადამიანებთან მეგობრობდნენ და სულიერი სიმდიდრით ყიდულობდნენ სიმშვიდეს, რაც ბევრისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე, ხელმიუწვდომელია. მათთვის, ტკივილიანი თემა, მხოლოდ ქვეყნის ბედ-იღბალი იყო, რომელიც მარწუხებში გმინავდა და ვინ იცის, თავს როდის, ან რის ფასად დაიხსნიდა. ასე გადიოდა დრო, შემოდგომას ზამთარი მოსდევდა, ზამთარს -გაზაფხული, გაზაფხულს ზაფხული და ისინიც თავისი დანაზოგით ყოველთვის ახერხებდნენ ქალაქიდან გასვლას. თვლიდნენ, რომ ეს იყო ისევე აუცილებელი, როგორც წყალი და ჰაერი! თითქმის საქართველოს ყველა კუთხე მოინახულეს, სალოცავები მოილოცეს . მამა ამბობდა: ჯერ შენი ქვეყანა უნდა გაიცნო და გარეთ მერე უნდა გაიხედოო. ყველაზე კარგად შოვში გატარებული დღეები ახსოვს. ბოლო ზაფხულიც, რომელიც მამასთან ერთად გაატარა, შოვს უკავშირდებოდა... საღამოობით მირზა გელოვანის ლექსებს უკითხავდა დედა და მასზე ესაუბრებოდა. ასევე გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ტრაგიკულ შტრიხებზე ამახვილებდა ყურადრებას და ბოლოს ასე დასძენდა: სრულყოფილი ბედნიერება არ არსებობს, აი, ასეთი ადამიანებიც კი, როგორი ტკივილით ცხოვრობდნენო... ასეთი იყო დედა. ამიტომაა,

რომ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი და სინათლე დედასთანაა დაკავშირებული. ყოველთვის, კრიტიკულ სიტუაციაში, მამის სიძლიერისა და და დედის დიდსულოვნების შენარჩუნებას ცდილობდა. დედის სინათლე კვებავდა მის სულს და ყოველთვის გრძნობდა მის სიახლოვეს. შოვი... შოვი გარკვეულწილად შემოიჭრა მათ ცხოვრებაში. ლამაზი იყო დედა, ხორბლისფერი პირისახისა, საშუალოზე ოდნავ მაღალი. ყოველთვის კოხტად და გემოვნებით ჩაცმული. ძაძა არ უყვარდა. ახალგაზრდა ქვრივმა შავები სამ-ოთხ წელიწადში გაიხადა. „გულია მთავარი და არა სამოსიო-ამბობდა. გიორგიც ასე თვლიდა, რადგან არ ეგულებოდა ქვეყნად ქვრივი, რომელსაც მისი დედისებრ, ღირსეულად შეეძლო ეტარებია ტვირთი მარტოქალობისა თუ დედობისა. საბავშვო ბაღის ამღზრდელობა ხელს არ უშლიდა ექარგა, ეხატა. ყოველივე ეს კი, საზოგადოების გარკვეულ ფენებთან აკავშირებდა. დედის აქტიური ცხოვრებაძალიან მოსწონდა გიორგის. თვითონაც სულ მის გვერდით იყო, მაგრამ ხანდახან, როცა თავს ოჯახის ერთადერთი მამაკაცის ამპლუაში მოიაზრებდა, ეჭვის ჭია აუღიტინდებოდა და აფხიზლებდა. თუმცა, არასოდეს, გარდა კეთილშობილებისა და სისპეტაკისა, სხვა არაფერი დაუნახავს დედის ღრმა, თაფლისფერ თვალებში. წლებმა თავისი თქვა- ოჯახი გაიზარდა, შეივსო... აჭიკჭიკდნენ ბავშვები და სწორედ მაშინ, როცა ვალმოხდილ ქალს ბედნიერად უნდა ეცხოვრა, იგრძნო, რომ შინაგანად გამოიფიტა. აშკარად მოეშვა, ფიქრს დაემონა...სადღა იყო ის ბობოქარი ქალი, რომელიც ცხოვრების ყველა დარტყმას გონივრულად იგერიებდა და დაჩოქების უფლებას არ აძლევდა არც თავს და არც მის გარშემომყოფებს. გაქრა თვალში სხივი, სახეზე ღიმილი... მისმა მდგომარეობამ ოჯახური იდილია დაარღვია და გააუფერულა. ექიმები მის სულიერ დეპრესიაზე საუბრობდნენ და შეწუხებულ შვილს აიმედებდნენ, რომ დედა სავსებით ჯანმრთელი იყო და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. ეს არაფერი ნუგეში იყო, რადგან მშობლის ასეთი ამაო ყოფა გულს უკლავდა და არ იცოდა რით მიშველებოდა. არც ქალაქგარეთ გასვლამ, არც მონატრებული ნაცნობ-ნათესავების მონახულებამ, არც საჩუქრებმა და ვერც ხვეწნა-მუდარამ-საკუთარ თავს მოერიეო, ვერაფერი შეცვალა. გიორგიმ უახლოესი მეგობარი მოინახულა. გამოცდილმა ფსიქოლოგმა მისი სულიერი მდგომარეობის ახსნა დაიწყო: წარსულში განცდილი ტკივილი და სიხარული ახლა აშლილა, გარს შემოჯარვია და აწმყოს სწყვეტს. ხშირად ხდება, წარსულით ცხოვრობენ და აწმყოს ეთიშებიან... რამ შეიძლება დააკავშიროს აწყმო-წარსული?! უნდა ვიფიქროთ... ეს პირველი პრობლემა იყო მის ცხოვრებაში, რომელიც დედის გარეშე უნდა მოეგვარებინა. პრობლემა, რომლის ატანაც გიორგის აღარ შეეძლო. ერთ საღამოს ახლობლებმა მოინახულეს თამარი. საუბარში შოვი ახსენეს, – ამ ზაფხულს შოვში დავისვენეთო. კმაყოფილები იყვნენ. ამდენხანს მდუმარედ მყოფმა თამარმა, შოვის ხსენებაზე, რამოდენიმე კითხვა დაუსვა ახლობლებს. ბოლოს ამოიოხრა და დასძინა-ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს ქუთაისთან და შოვთანო... მერე ისევ სივრცეს გახედა და ჩაფიქრდა... გიორგის არ გამოპარვია დედის წუთიერი გამოცოცხლება. „წარსულით ცოცხლობს...“ გაიფიქრა და... შოვი... „ყველაზე უკეთ თავს იქ ვგრძნობო“-იტყოდა-ხოლმე დედა. მისი მოგონებები ბავშვობიდან უკავშირდებოდა შოვს. რამოდენიმე მეგობარი ქალიც სწორედ იმ ლამაზი წარსულიდან მოსდევდა. ისინი თავს არ ანატრებდნენ დედას. ასე, რომ... კიდევ ერთი საინტერესო პიროვნება გაიცნეს და დაიმეგობრეს შოვში. ეს იყო ქუთაისელი ძია ალექსი. ძია ალექსს, რომელსაც უფრო ხშირად საშასაც ეძახდნენ, მარჯვენა ფეხი ავტოკატასტროფაში დაუკარგავს. ადვილი წარმოსადგენია, რამხელა ტრამვა იქნებოდა ოცდაორი წლის ახალგაზრდისთვის ინვალიდობა. არც დაოჯახებულა და თითქმის ყოველ ზაფხულს, როცა შოვს სტუმრობდნენ, ძია ალექსიც იქ ხვდებოდათ. ყოველთვის ივლისის მხურვალე მზე იყო მათი მასპინძელი. „ფეხი და სიყვარული ერთად დავკარგეო“-სევდიანი ღიმილით იტყოდა-ხოლმე ძია ალექსი... თუმცა კი, სიყვარული ჩემი დაუდევრობითო-დასძენდა-ხოლმე ბოლოს. იგი მთელ დღეებს ბავშვების გვერდით ატარებდა. ყველაფერს იხსენებდა, რაც კი საინტერესო გადახდენოდა ან მოესმინა ვინმესგან. თითქოს არაფერი აწუხებდა-სულ იცინოდა, ხუმრობდა, ნარდს აგორებდა... თვითონაც ხალისობდა და დამსვენებლებისთვისაც წარმოუდგენელი გახდა შოვი ძია ალექსის გარეშე. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა გიორგისთან. გვერდიდან არ იშორებდა. არიგებდა და უფრთხილდებოდა. გიორგიც სულ მასზე საუბრობდა, შინ ხშირად იმეორებდა ძია ალექსის მონათხრობ საინტერესო ისტორიებს და წუთს არ კარგავდა, ისევ მისკენ მიეშურებოდა. – ჰო, არ გამოცვლილა, ადრეც ასეთი იყო!... ისევ ისეთი ხალასი და მხიარულიაო-თქვა ერთხელ დედამ. -ადრეც იცნობდი?-თვალები აუციმციმდა გიორგის. -განა წინა წლებში არ ვიცნობდით?!-გაეღიმა დედას და ღაწვები შეეფარკლა. მან სხვა წვრილმან-მსხვილმანთან ერთად ისიც გაიხსენა, მამის იქ არყოფნის პერიოდში, ვარდების დიდი თაიგული რომ გაატანა დედასთან ძია ალექსმა ბარათით: „თბილისის უჭკნობ დედოფალს დაძმური სიყვარულით! – ალექსი“ დედამ მიიღო ვარდები, მაგრამ არაფერი უთქვამს. გიორგიმ ბავშვებთან თამაში განაგრძო. ძია ალექსი რომ არ გამოჩნდა, ბინაში მიაკითხეს ბავშვებმა. კარი ღია იყო. ძია ალექსი პირაღმა იწვა, თითქოს ეძინა. ბავშვების ხმაზე წამოიწია და ნაძალადევად გაიღიმა. გიორგის მოეჩვენა, რომ ნამტირალები თვალები ჰქონდა ძია ალექსს. იქნებ ისიც მოეჩვენა, რომ მაგიდაზე სწორედ ის თაიგული იდო, ცოტახნის წინ რომ დედასთან გაატანა... შინ დაბრუნებულ გიორგის დედისთვის არაფერი უკითხავს... ერთხელ, უკვე თბილისში ყოფნისას, შოვში გატარებულ დღეებზე რომ საუბრობდნენ, გიორგიმ სხვათაშორის იკითხა: ნეტავ ვინ უყვარდა ძია ალექსს და რატომ ამბობდა-ფეხთან ერთად დავკარგე სიყვარულიო? -ალბათ ფეხის გამო თვითონვე უთხრა უარი სიყვარულს, ეგონა, ასე უკეთესი იქნებოდა ორივესთვის... -თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, ჩაილაპარაკა დედამ. -რაღაც შენ და დედაშენი ძალიან დაგაინტერესათ ძია ალექსის ბედმა, არა?-გაზეთის ზემოდან ღიმილით გადმოხედა მამამ გიორგის. საუბარი შეწყდა. მას შემდეგ, ძია ალექსზე, აღარც უსაუბრიათ. ათეული წლები გავიდა და აი, რატომღაც ისევ ძია ალექსს დაუბრუნდა მისი ფიქრები. ასე სწრაფად ჯერ არცერთი გადაწყვეტილება არ მიუღია! მორჩა, აუცილებლად უნდა მოძებნოს ძია ალექსი. უნდა გაიგოს, სადაა, როგორაა... ჯერ კიდევ არ იცის რისთვის, მაგრამ გულის კარნახით უნდა იმოქმედოს! გული არასდროს ღალატობდა და თუ ყური არ ათხოვა მის ხმას, იცის, ინანებს... ინტერესი გაუათმაგდა! უნდა იპოვნოს!..

და რაც მაშინ არ იცოდა გიორგიმ, დედის გარდაცვალების შემდეგ მის გაცრეცილ უბის წიგნაკში ამოიკითხა...

გიორგი მზად იყო, ძია ალექსის მოსაძებნად მთელი ქუთაისი ფეხდაფეხ შემოევლო, მაგრამ არ დასჭირდა. საოჯახო ალბომში იდო რვეული, სადაც თითქმის ყველა მეგობრის მისამართებს შორის ძია ალექსის მისამართიც იყო ჩანიშნული. ბუკიას ქ. N13 გულგახსნილი მეგობარივით შეხვდა ძველი კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი. მრავლისმთქმელი- ბაგრატის ტაძრის ნანგრევებით, გელათის მონასტრით, გეგუთის სასახლით, სათაფლიის მღვიმური ნაკრძალით... ძველი დიდების ელფერით გაცისკროვნებულიყო ერთ დროს გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქი.

ამაყად მიაბიჯებდა თავისი ქვეყნისა თუ პირადი წარსულით სავსე გიორგი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქუჩები ერთმანეთს შერწყმოდნენ, გაერთიანებულიყვნენ და იქ თავდებოდნენ, ვისი მისამართითაც ახლა იგი მიემართებოდა. „მთავარია, კარგად იყოს!.. “ იგრძნო, ძია ალექსთან ერთად ბავშვობას ეძებდა და აუცილებლად უნდა ეპოვნა, აუცილებლად!.. ვერ იცნო! წლებს დაუნდობლად გაეძარცვა ერთ დროს სიცოცხლითა და ხალისით სავსე ადამიანი. თუმცა, არც დავრდომილს ჰგავდა და არც დაუძლურებულს... გაოცებული დარჩა ძია ალექსიც: „ -შენა ხარ, ბიჭო? მართლა შენა ხარ?! რა გადაწყვიტე, გინდა ჩემს მხრებს გაცვეთილი და უფერული ნაბადი მოხსნა, ხომ?“ -ძია ალექსმა გაიცინა და ამ სიცილმა ისევ იმ ძია ალექსად აქცია, გიორგი რომ იცნობდა. გამოცოცხლდა, თვალები გაუცისკროვნდა, თუმცა, მის ფსკერზე დალექილ სევდას რა გააქრობდა?! ისაუბრეს... მარტოობით დაღლილი კაცი ცოტა ჯანმრთელობასაც უჩიოდა. „ერთადერთი ძმისშვილი მყავს თბილისში, ხვალ ველოდები, ცოტა ხნით წამოდი, მოგხედავთო... წავალ, არც აქ მოვაკლდები ვინმეს და არც იქ მივემატები...“ - გაეღიმა და სამზარეულოში ხელჯოხით გავიდა. გიორგიმ პატარა ოთახი მოათვალიერა. გამრჯე დიასახლისის ხელი ემჩნეოდა ყველაფერს! -ალბათ, დამხმარე თუ ყავს, თორემ სხვა თუ არაფერი, ინვალიდი კაცი ვერაფრით შეძლებდა ასე მოეწესრიგებია სახლი!. ამასობაში ძია ალექსიც მობრუნდა. ცალ ხელში ერთ თეფშზე მოთავსებული ძეხვი და ყველი ეჭირა. -ნუ წუხდებიო, ფეხზე წამოდგა გიორგი. -მაშინ გადი და, რაც მაგიდაზე დევს, თვითონ გამოიტანეო-გაიცინა ძია ალექსმა. დასხდნენ. გიორგიმ კედელს შეხედა და თვალს არ დაუჯერა- გადახუნებულ ხის ჩარჩოში ისეთი სურათი იდო, თვითონ თვალითაც რომ არ ენახა! ჯერ დედის სახემ შემოანათა. თვალი ვერ მოწყვიტა! თითქოს პირველად ხედავდა... გული შეუტოკდა! მერე სხვებსაც დააკვირდა- თვითონ გიორგი და კიდევ ორი პატარა ბიჭი იკრიჭებოდა სურათიდან. ძია ალექსმაც სურათს ახედა: - ამ ფოტომ მიხსნა მარტოობისგან! დედის უძლურება არ უხსენებია, მივლინებით ჩამოვედი და არ შემეძლო არ მომენახულებინეო- ტყუილი დასჭირდა. თუმცა, ამ ტყუილმაც დიდად გააბედნიერა მარტოსული ალექსი. შეთანხმდნენ, თბილისში ჩასულ ალექსს აღნიშნულ მისამართზე მიაკითხავდა გიორგი და სტუმრად მიიყვანდა ოჯახში. ორი დღის შემდეგ, ძია ალექსმა თავისი ხელით შეარჩია წითელი ვარდების თაიგული და შიგ წინასწარ მომზადებული ღია ბარათი ჩააცურა- წარწერით „თბილისის უჭკნობ დედოფალს დიდი სიყვარულით! ალექსი“. „გული მართლა უბერებელი ყოფილაო“-გაიფიქრა გიორგიმ და რაღაც უცნაური, სხვისი გაბედნიერებით მიღებული სიამოვნება იგრძნო. ალექსის თხოვნით, თაიგული წინასწარ აუგზავნეს ადრესატს... ცოტა ხანს ეზოში ჩამოსხდნენ. შემოდგომის მზე ბეჭებს უთბობდა მათ და რაღაც სულ სხვანაირად ელამუნებოდა. ეს იყო ის საოცარი წუთები, როცა ადამიანის გონიერებით იმსხვრევა ხიდი ასაკთაშორისი და ერთმანეთს ავსებს, აძლიერებს და ალამაზებს აწმყო წარსული... დროის ერთ მონაკვეთში მოთავსებულიყო ძველი და ახალი, რამეთუ ძველის გარეშე საზრდოს კარგავდა მეორე, ახლის გარეშე კი ფერი ეკარგებოდა პირველს. დედა მარტო იყო (ასეთი დრო შეგნებულად შეარჩია გიორგიმ). თავისთავად, კარიც მან გააღო. აშკარად დაბნეული და სახეშეცვლილი ჩანდა ოჯახის დიდი დიასახლისი. ჯერ ალექსს შეხედა, მერე-გიორგის. მერე ისევ ალექსს და ისე დააკვირდა, თითქოს სურდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, იმ ადამიანად მიეღო, რომელმაც რამოდენიმე წუთის წინ წარსულში დააბრუნა! ალექსმა კი ნამდვილად იცოდა, რომ ახლა მის წინ, შეცვლილი, მაგრამ მაინც მშვენიერი თამარი იდგა! რა დაავიწყებდა თვალებს, რომელზეც მთელი ცხოვრების მანძილზე ხატივით ლოცულობდა! -ალექს!!!-სხვა ვერაფერი თქვა თამარმა და მერე გიორგის შეხედა. -ჰო, თამარ, მე ვარ, მე! ფეხმომტვრეული ქარიშხალი! რა გეგონა, ცალი ფეხით ვერ გიპოვნიდი?! -მთელ სამყაროს აამოძრავებდა ამ სიტყვებში ჩატეული სითბო და სიყვარული! ამ ხმაში იყო კიდევ რაღაც სხვა, უფრო იმედი და სურვილი, დაისის წამიერად შეჩერებისა, რომელიც ახლა ორივეს ერთნაირად ეჭირვებოდა... კიდევ ათი დღე დარჩა დედაქალაქში ძია ალექსი. ამ ხნის მანძილზე ყოველ საღამოს სტუმრობდა ოჯახს, სადაც გრძნობდა, რომ მასში უწინდელ ალექსს ხედავდნენ და არა უბადრუკ, მიუსაფარ ინვალიდს, რომელსაც უღიმღამო სიცოცხლის წლები თავდაღმართში მიაქანებდა... აშკარად გამოცოცხლდა თამარიც... ამეტყველდა, ფიქრს გაემიჯნა. ალექსის გამოჩენამ (როგორც ფსიქოლოგი ვარაუდობდა), რეალურ სამყაროში დააბრუნა . წარსული დაუახლოვა და აწმყოთი დააინტერესა. შეიძლება სხვა ფაქტორსაც ასევე ემოქმედა, მაგრამ ამ შემთხვევაში ესეც საკმარისი აღმოჩნდაოასკვნიდა ექიმი. გიორგის შინ დაბრუნება უხაროდა. დედას ისევ გრძნობდა, დაიბრუნა ის, რისი დაკარგვაც ცხოვრებას მშვენიერი ფერებისაგან ძარცვავდა, ანადგურებდა... ოჯახი გათბა, ახმაურდა... ქუთაისში დაბრუნებული ალექსი კვირაში ერთხელ, ყოველ კვირა საღამოს ტელეფონით ეხმაურებოდა ოჯახს, საიდანაც მხოლოდ რამოდენიმე სიტყვის მოსმენა აბედნიერებდა: თამარი კარგად იყო და არაფერი უჭირდათ!...ასე გრძელდებოდა სამი წლის მანძილზე. მერე სატელეფონო ზარის შუალედი გაიზარდა და ბოლოს საერთოდ შეწყდა! რადგანაც შეწყდა სიცოცხლე ერთერთი იმათგანისა, ვინც კარგად უწყოდა რა იყო სული, და რა ერქვა იმას, რასაც სხვები სახელს ნაკლებად მოუძებნიდნენ... აღარაფერი უკითხავს თამარს, საერთოდ არაფერი! მიხვდა, დასრულებულიყო ის, რასაც ადრე თუ გვიან წერტილი უნდა დასმოდა. გიორგიმ კი, ამაოდ სცადა, ერთი მუჭა მიწით დაეპურებია საფლავი, რომელიც მისი ბავშვობის ლამაზ წუთებს შთანთქმას უქადდა

და ისევ, ტაბუ დაედო თემას, რომელიც ვერც გონის, ვერც ბგერის შეხებას ვეღარ აიტანდა, რადგან ბროლისებრ კრიალა იყო, სხივისებრ ხელშეუხებელი და წაუბილწავი!...

მზე უკვე მეწამული ღრუბლით იბანდა ნასიცხარ სხეულს. გიორგიმ მშობლების საფლავს ხელი გადაუსვა. მერე ის ხელი გულზე დაიდო და იგრძნო, როგორ გაუთბა სულიც, სხეულიც...



ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲝᲜᲝᲤᲠᲔ (ᲬᲣᲚᲐᲫᲔ)

მუქი, შავი, ჩაის ნაყენი!

დედამ დიდი თეფშით ვერმიშელის ფაფა შემოიტანა, მაგიდაზე დადო, ოთახიდან გავიდა, კარები გაიხურა და ისევ გარედან ჩაკეტა. ჭამე – მომაძახა გარედან. ამ საზიზღრობის სუნიც კი უკვე ცუდად მხდის. მე სიგარეტი მინდა, სი გა რე ტი, მაგრამ დედა წინააღმდეგია, ისევ ცეცხლს გააჩენო. ცეცხლი კი მართლაც გამიჩნდა ამას წინათ, როცა საბანზე სიგარეტის ნამწვის ნარჩენები დავარდა. ცოტათი საბანიც დაიწვა და ლეიბსაც შავი ლაქები და ნახვრეტები გაუჩნდა, მადლობა ღმერთს ჩემი ფარდაგი გადარჩა, სამი მონადირე, სადაც ლამაზი პეიზაჟის ფონზე მდელოზე წამომსხდარი მონადირეები ამბებს ყვებიან, სავარაუდოდ ნადირობის ამბებს. მინდა მათზე მოთხრობა დავწერო, კალამი და ქაღალდები ისევ ჩემს ოთახშია, მადლობა ღმერთს ჯერ არ წაუღიათ, დაავიწყდათ. ნუ წერ სისულელეებსო, სულ მეჩხუბებიან. წიგნებიც წაიღეს. ერთმა მეზობელმა უთხრა დედას: წიგნები სულ გადარევს და გააგიჟებსო. ჰოდა, წაიღეს ჩემი წიგნები. ღამითაც შუქს მიქრობენ და მთელი ღამეები სიბნელეში ვზივარ. მე გიჟი ვარ. სექტემბერი დგება, არ მიყვარს ეს დრო, რადგან ბავშვები ქალაქში ბრუნდებიან. სკოლისთვის ემზადებიან და ეზოში საშინელი სიჩუმე ისადგურებს. დილა საღამოს მამაჩემის მანქანის მოტორის ხმა და კანტიკუნტი ფრაზები ისმის მხოლოდ, ბავშვებს ჩემთან არ უშვებენ, მაგრამ მათი ჟივილ-ხივილი მთელი ზაფხული მახალისებდა. მხოლოდ ფანჯრიდან ვადევნებდი მათ თვალს. მინდოდა მათთან თამაში, მაგრამ არ მიშვებდნენ, შენ უკვე დიდი ხარ და რა დროს შენი თამაშიაო, მაგრამ მე ხომ გიჟი ვარ. სტუმრები ისევ ხშირად დადიან ჩვენთან,სუფრები ისევ იშლება, მესმის სადღეგრძელოები, სიმღერები, პიანინოსა და გიტარის ხმა, ნადია დეიდას შესრულებით „პაწაწინა ნიგვზის ტოტი”ძალიან მიყვარს და ძალიან მახარებს მისი მოსმენა. მინდა მეც გავიდე სტუმრებთან, შავი ტყავის ფეხსაცმელებიც მაქვს, შარვალიც და ტვიდის პიჯაკი, რომელიც ძალიან მომწონს, თმებიც დამისველოს დედამ მუქი, შავი, ჩაის ნაყენით და წვრილი სავარცხლით დამვარცხნოს. ძალიან მიხდება, როცა ფოტოგრაფთან მივდივართ, მაშინ ასე გამოვეწყობი ხოლმე, მაგრამ გადაიღლები და ისევ ცუდად გახდებიო ამბობს დედა. დედაც სწორია, მე ხომ გიჟი ვარ. სიგარეტი ისევ ძალიან მომინდა, ისევ გამოჩნდა საიდუმლო სამხედრო ლაბორატორიის გვირაბი, შიგნით შემავალი რკინის რელსებით, პრაპორშიკი პავლოვი ვაგონეტზე ზის და ცეცხლმაქრობებით ცდილობს გვირაბის გულისკენ დაძვრას, ჯარისკაცებიც ვეხმარებით, გვირაბიდან დიდი მხურვალება გამოდის შეიძლება აფეთქება მოხდეს, პავლოვი და ჯარისკაცები გამახსენდა, მათი სახეები, სიგარეტი მინდა, გამახსენდა გვამები და მათი სახეები, ნახევრად დამწვარი სხეულის ნაწილები, სიგარეტი, აფეთქების ხმა, პავლოვი, გამხდარი პავლოვი, პოლკოვნიკი ნაი-ტურსი, თუმცა არა, ნაიტურსი ხომ დიდი ხანია პროზექტურაშია დასვენებული და ბოლოს ბულგაკოვმა ნახა. ნაი-ტურსი? არა, პრაპორშიკი პავლოვი, სირენების ზმუილი, საშინელი ხმაური, კოკა-კოლა აკრძალულია, დამწვარი გვამები, გაგუდული პავლოვი, მიხეილ ბულგაკოვი, ჯარისკაცები, მეხანძრეები, სირენები, ყველაფერი ერთმანეთში აირია. სიგარეტი-ი... სიგარე...ტი. ყველაფერი გაქრა. წყვდიადია. ისევ წყვდიადია. ვხედავ თეთრწვერებიან მოხუცს, თეთრი სამოსით შემოსილს, ჩემს გარდაცვლილ პაპას გავს, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, კეთილი მოხუცი მღვდელი გრიგოლი, რომელიც ძალიან მიყვარდა, ვესალმები პაპას, მიღიმის, მეუბნება კეთილი ანგელოზები წარმოგზავნა უფალმა შენთან, ხომ იცი უფალი, ხომ გახსოვს უფალი? ჩვენი ეკლესიის კედელზე გაჩვენებდი ხოლმე ბავშვობაშიო. მიხარია, რა თქმა უნდა მახსოვს მეთქი მინდოდა მეთქვა, მაგრამ პაპამ გამიღიმა და გაქრა.ისევ წყვდიადია. გათენდა, დედამ კარები გააღო და შემოვიდა,შემომხედა, ეტყობა ჩემი სახე არ მოეწონა, მიხვდა რომ წარსულის კოშმარებმა ისევ შემომიტიეს, სახეშეღონებული ლოგინზე ჩამომიჯდა და ჩამიხუტა. თან ცრემლებს ვერ იკავებს დედა, მის ლოყას ლოყა მივადე და ზემოთ ვიხედები ჭერში. ვხედავ ზემოდან პაპა დამცქერის, ისევ თეთრი, სპეტაკი სამოსი აცვია. გულზე თავისი დიდი წითელთვლიანი ჯვარი უკეთია და მიღიმის, გული სიხარულით მევსება და მეც ღიმილით ვესალმები, დედამ გაკვირვებულმა შემომხედა, ჩემს ღიმილიან მზერას თვალი გააყოლა. დედა ისევ ტირის, მე ყურადღებას არ ვაქცევ და ისევ ვუღიმი პაპას. დედა თმებს მისველებს მუქი, შავი, ჩაის ნაყენით და წვრილი სავარცხელით მვარცხნის. მე ხომ ეს ძალიან მიხდება. მე გიჟი ვარ.

ტარია

„იყავით მოწყალენი ადამიანთა და ცხოველთა მიმართ“
წმ.პაისი ათონელი.

„ყველა ცხოველს აქვს უფლება იცხოვროს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში“
ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია, მუხლი 1.

პირველად მთაზე გამოჩნდა. შორიახლოს იდგა და გვაკვირდებოდა. ორი დღის შემდეგ უფრო ახლოს მოვიდა სახლთან, რომელიც მთაზე ერთადერთი საცხოვრებელი სახლი იყო, ფერდობზე მდგარი ხის გვერდით. პირველივე შეხედვაზე მიხვდებოდით, რომ ბევრი განსაცდელი გამოეარა, სანამ, აქ, მთაზე ამოვიდოდა. ეჭვის თვალით გვიცქერდა და გვერიდებოდა, ეტყობოდა ადამიანებზე არც მთლად კარგი შეხედულებისა გახლდათ. როცა საკვები მივუტანეთ და შორიახლო დავუდგით, მიუხედავად შიმშილისა, რაც აშკარად ეტყობოდა, საკვებთან მიახლოებაზე თავს იკავებდა. ბოლოს დიდი ხვეწნისა და სხვადასხვა მანიპულაციების შემდეგ, ბოლოჯერ გამომცდელად დაგვაკვირდა და საკვებით სავსე ჯამისკენ ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით გამოემართა. ეს თეთრი, ძუ მეტისი გახლდათ, დიდი შავი ლაქებით, ძალზედ გამხდარი და სიკვდილის პირას მყოფი ლეკვი, რომელსაც შემდეგ ტარია დავარქვით.

ტარიას მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა, ფერდები სტაბილური კვების შედეგად სწრაფად შეივსო და მოღონიერდა, სამოქმედო არეალი მოინიშნა და სისტემატიურად ამოწმებდა თავის ტერიტორიას, მთელი ღამეები ფხიზლობდა და მცირე გაფაჩუნებაზეც ყეფით იკლებდა იქაურობას, თითქოს უნდოდა თავისი არსებობა გაემართლებინა. განსაკუთრებით მელიები და ტურები აღიზიანებდა. რომლებიც დაღამებისთანავე გამოჩნდებოდნენ ქვემოთა ჯაგნარში და წივილით აყრუებდნენ არემარეს. მოკლედ, ვცხოვრობდით სრულ ჰარმონიაში და ერთმანეთის კარგად გვესმოდა. მთაზე ამომსვლელ სტუმრებს სიხარულით ეგებებოდა და წამსლელ მანქანებს ქვემოთამდე ჩააცილებდა, ადგილამდე, საიდანაც მისი სამოქმედო ტერიტორია იწყებოდა. შემდეგ ვალმოხდილის გამომეტყველებით, ნელი ნაბიჯებით, ბრუნდებოდა უკან.

ხანდახან, ტარია მთის ჩრდილო დასავლეთის ფერდზე განმარტოვდებოდა და დიდხანს, დიდხანს გადაყურებდა ქალაქს. ამ დროს განსაკუთრებულად სევდიანი თვალები ქონდა. მან არაფერი იცოდა საფრანგეთის ისტორიის შესახებ, არც წმინდა ბართლომეს სისხლიან ღამეზე გაეგო რამე, მაგრამ მას ახსოვდა ღამე, როცა არა ნაკლები სისასტიკით ქვემოთა ქალაქში გაუსწორდნენ მის დედას, დას და რამდენიმე ასეულ მის თანამოძმეს. მას არც საერთაშორისო კონვენციების შესახებ ჰქონდა წარმოდგენა, რომლებიც ცხოველთა უფლებებს იცავდა. ის იმ ზაფხულის ღამეს იხსენებდა, რომელიც დედასთან ერთად უკანასკნელად გაატარა, როცა მის მკერდზე თავმიდებულს ეძინა, როცა თეთრი, დანჯღრეული მანქანა გაჩერდა, იქედან კაცი გადმოვიდა და შაშხანიდან მათი მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა, დედას ტყვია თავში მოხვდა და საწყალმა ერთი წამოკვნესებაღა მოასწრო, ხოლო ტარიას და დილამდე აუტანელი ტკივილისაგან კვნესოდა და მზის ამოსვლამდე გარდაიცვალა. ტარია შიშისაგან თავზარდაცემული, ხიდის მოაჯირს ამოფარებული დიდხანს იწვა გაოგნებული და ცახცახებდა. შაშხანის ხმები და დაჭრილი ძაღლების წკავწკავი ახლა გვერდით ქუჩებიდან ისმოდა. შემდეგ ძაღლების ტირილი და ყეფა სატვირთო მანქანის ხმამ გადაფარა, მანქანა გაჩერდა, იქედან კაცი გადმოვიდა, ხელზე ცელოფანის პარკი ჩამოიცვა, ჯერ ტარიას დას დასწვდა ფეხებზე, შემდეგ დედას და ისინი მანქანის ძარაზე მოისროლა. მანქანა დაიძრა და თვალს მიეფარა. ტარიას თვალებიდან მსხვილი ცრემლის წვეთები გადმოუგორდა. მიხვდა, რომ მათ ვერასოდეს ნახავდა. ვერ ვიტყვით, რომ ცხოველთა დაცვის კონვენციათა შესახებ პოლიციის მესვეურებმა არაფერი იცოდნენ, მაგრამ ეტყობა მათ არ ეგონათ, თუ ეს კონვენციები ღამის საათებშიც მოქმედებდნენ. შესაბამისად ვერც მცირეკალიბრიანი შაშხანა იქნა მოძიებული და არც მისი პოტენციური მომხმარაბელი. არც პრევენციული ზომები განხორციელებულა და მსგავსი ვანდალური შემთხვევაც რამდენჯერმე განმეორდა.

ერთ მშვენიერ დღეს მთას მოწითალო ხვადი მეტისი მოადგა, დაახლოებით ტარიას ასაკის, რომელიც ჩვენ ასევე თბილად მივიღეთ. მასაც ბევრი არ უფიქრია, ჩვენთან დარჩა და ტერიტორიის მოვლა პატრულირების სიმძიმე ტარიასთან ერთად გაინაწილა. ღამით ერთად ფხიზლობდნენ და სტუმრებს ერთად აცილებდნენ, თამაშობდნენ და ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ცოტა ხანში ლეკვებიც გაჩნდა, ლამაზები და ჯანმრთელები. ორი ტარიას გავდა, ხოლო ერთი მამას, მოწითალო მარსელოს. ზამთარი მოდიოდა, ლეკვებიც წამოიზარდა და ისინი მოსავლელად მეგობრებს გადავუნაწილეთ.

გაზაფხულზე მთიდან გადმოვედით და ახლა ქვემოთა ქალაქში ვცხოვრობთ, ტარია და მარსელო ისევ ერთად არიან, ოღონდ ახლა სივრცე ჩაკეტილია და ეზოს პირობებში უწევთ ცხოვრება. ხანდახან ქუჩაშიც გაიპარებიან და დარბიან, ტარიას ქუჩაში ყოფნა მალე ბეზრდება და ეზოში ბრუნდება. ეტყობა ქუჩაში მოძრავი მანქანები იმ სატვირთოს ახსენებს, რომლითაც მისი დედა, და და ბევრი მისი დახოცილი თანამოძმე ნაგავსაყრელზე წაიღეს. ჩვენ ეხლაც ერთად ვართ, ვცდილობთ გამოწვევებს არ ვუპასუხოთ, წარსულის სტრესები და ტკივილები დავივიწყოთ და ზეცასა და მიწას შორის ჰარმონიით ვიცხოვროთ.

„ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ცხოველის გაუმართლებელ სიკვდილს, წარმოადგენს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.'' – ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია - მუხლი მუხლი 7.

ᰔᲔᲠᲛᲐᲜ ᰔᲔᲡᲔ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲡ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲬᲔᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲗ, ᲠᲐ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲝᲗ, ᲠᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲗ. ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ. ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲐᲜ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲥᲕᲡ ᲠᲐᲛᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ �თᲣ ᲐᲠᲐ. ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ ᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ - ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ �თᲣ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲣᲪᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲧᲝᲠᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲮᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲡᲐᲫᲐᲒᲚᲐᲓᲐᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ.

... ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲔ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ. ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲜ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ - ᲔᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲔᲡ... ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲓᲒᲘᲜᲐᲗ, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲘᲡ ᲣᲠᲧᲔᲕᲘ, ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ; ᲦᲛᲔᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ...

... ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲔᲩᲕᲘᲔᲗ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲡ, ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲥᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲕᲘᲗᲕᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ - ᲓᲐᲕᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲗ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲗᲣ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ... ᲛᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲝᲑᲗ...

ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲗ, ᲡᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲘᲠᲗᲝᲕᲝᲗ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ, - ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲛᲐᲠᲢᲝᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲕᲐ, ᲐᲠᲪ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲬᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ, ᲐᲠᲪ ᲑᲘᲑᲚᲘᲘᲓᲐᲜ, ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲢᲐᲮᲢᲘᲓᲐᲜ. ᲩᲔᲛᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲐ ᲘᲒᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲘᲠᲝᲕᲘᲗ, ᲘᲡ ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ - ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ - ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ... ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲑᲠᲫᲔᲜᲜᲘ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ... ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲡᲣᲤᲔᲕᲡ, ᲛᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲝᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ, ᲗᲣ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲐ. ᲘᲒᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜᲨᲘ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲚᲔᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲢᲐᲜᲯᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲡᲒᲐᲜ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ... ᲐᲠᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲮᲕᲘᲓᲔᲗ, ᲕᲔᲠᲡᲐᲓ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲦᲕᲐᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲓᲐᲗ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ , ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲛᲘᲥᲪᲔᲕᲘᲡᲒᲐᲜ...

... ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲦᲬᲘᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲔᲡᲕᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ :“ᲗᲕᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲠᲝ�გᲝᲠᲦᲐᲐ? ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲕᲐᲠ ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ? ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ, ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲘ, ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ, ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲓᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ. ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲨᲘ ᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲑᲝᲠᲝᲢ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ?..

ᲬᲣᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲣᲡᲕᲐᲛ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲔᲑᲘᲐ. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲣᲡᲢ ᲓᲐ ᲪᲣᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲠᲔᲡᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲡᲠᲔᲡᲘᲚᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲠᲫᲜᲝᲑ ᲗᲐᲕᲡ... ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ - ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲑᲠᲐᲚᲝᲔᲑᲐᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲡᲘᲜᲗᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐᲙᲔᲜ - ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ - ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ, ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲐ.

ᲐᲛᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲡ: ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗᲗ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ, „ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲗ“, ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲭᲠᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲭᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ, ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲐᲠᲝᲗ, ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ...

...ᲐᲠ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲔᲗ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲮᲡᲜᲐᲜ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲖᲐ ᲒᲘᲩᲕᲔᲜᲝᲜ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲘᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲫᲘᲝᲗ ᲓᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ ᲛᲐᲡ.

1919 Წ.

ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ
ᲓᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

აბულ ფარაჯი

თავშესაქცევ ამბავთა წიგნი

ბრიგოლ იოან აბულ-ფარაჯ ბარ-ჰებრეი — შუა საუკუნეების სირიული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი და მისი საყოველთაოდ აღიარებული კლასიკოსია.

იმ ეპოქაში, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აბულ-ფარაჯი, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შემოიჭრნენ მონღოლთა ურდოები ჰულაგუ-ყაენის მეთაურობით. მათ დაიპყრეს მთელი წინა აზია და შეუერთეს იგი მონღოლეთის იმპერიას.

მონღოლთა ბატონობამ თავისი ბეჭედი დაასვა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. ძველი, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ნაცვლად მოვიდა ახალი ურთიერთობები.

ამ ხიფათიან დროში დაიწყო აბულ-ფარაჯმა თავისი ლიტერატურული, მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

იგი დაიბადა 1226 წელს ქალაქ მალათეაში (ამჟამად ქალაქი მალათეა მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე), ცნობილი ექიმის ოჯახში. ნათლობისას ბიჭს იოანე უწოდეს, შემდგომში კი, როდესაც ეპისკოპოსი გახდა — გრიგოლი. ამგვარად მისი სრული სახელია — გრიგოლ იოან აბულ-ფარაჯ ბარ-ჰებრეი.

მშობლები შეეცადნენ ვაჟისთვის ფართე და ყოველმხრივი განათლება მიეცათ. ბავშვობაში იგი სირიულის გარდა არაბულსაც სწავლობდა. შემდგომში იგი გაეცნო სპარსულ, ბერძნულ, ძველებრაულ, მონღოლურ და სომხურ ენებს. თავისი მამისა და სხვა ცნობილი ექიმების ხელმძღვანელობით აბულ-ფარაჯი გულმოდგინედ სწავლობდა მედიცინას. იგი ასევე მეცადინეობდა საღვთისმეტყველო მეცნიერებებში და ფილოსოფიაში.

1243 წელს მომავალი მწერლის მშობლიურ ქალაქს მიუახლოვდა ჰულაგუ-ყაენის ლაშქარი. დაიწყო პანიკური გაქცევა ქალაქიდან. აბულ-ფარაჯის ოჯახიც ვერ გაექცეოდა უსახლკარო ლტოლვილობის ხვედრს, რომ არა მამამისის საექიმო დიდება. იგი დაინიშნა ერთ-ერთი მონღოლი მხედართმთავრის კარის ექიმად და რამდენიმე თვის განმავლობაში განუყრელად თან ახლდა ყველა ლაშქრობაში. მაგრამ გარკვეული ხნის მერე აბულ-ფარაჯის ოჯახმა მოახერხა ქალაქ ანტიოქიაში გადასვლა, სადაც შედარებით უხიფათოდ იყვნენ. აქ აბულ-ფარაჯმა გააგრძელა განათლების მიღება, შემდგომში კი მონაზვნად აღიკვეცა.

1246 წლის ბოლოს მონასტრის ოცი წლის აღსაზრდელი იმდენად შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევს ყველა მეცნიერებაში, რომ ინიშნება გუბოხის (პატარა ქალაქი ქალაქ მალათეას ახლოს) ეპისკოპოსად. აქედან იწყება მისი სასულიერო კარიერა. აბულ-ფარაჯმა მიაღწია მონოფიზიტების (იაკობიანელების) მეთაურის მაღალ მდგომარეობას.

აბულ-ფარაჯი გარდაიცვალა სამოცი წლის ასაკში, 1286 წლის 30 ივლისს, ქალაქ მარაღში (დასავლეთ აზერბაიჯანი).

ამ დროისთვის აბულ-ფარაჯის, როგორც მწერლის, გრამატიკოსის, ექიმის, ასტრონომის, ფილოსოფოსის და ღვთისმეტყველის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ მის დაკრძალვაში მონაწილეობდნენ არა მარტო ერთმორწმუნე იაკობიანელები, არამედ ნესტორიანელები, ბერძნები და სომხები.

დიდია აბულ-ფარაჯის ლიტერატურული მემკვიდრეობა. აბულ-ფარაჯის ძმის, ბარ-საუმის მიერ შედგენილ ნაწარმოებთა ნუსხა ითვლის ოცდათერთმეტ წიგნს, მაგრამ ეს სულაც არაა სრული ჩამონათვალი.

რაც შეეხება აბულ-ფარაჯის უდავოდ საუკეთესო ნაწარმოებს — „თავშესაქცევ ამბავთა წიგნს“, - იგი არის მწერლის საბოლოო ნაწარმოები, რომელიც გვიხატავს ავტორს ახალი მხრიდან — როგორც ფოლკლორის დაუღალავ შემგროვებელს. მახვილი გამონათქვამის, მარილიანი ხუმრობის, აზრიანი იგავის, ლაკონური ანდაზის, მოკლე იუმორისტული და ჭკუისასწავლებელი მოთხრობის მცოდნესა და დამფასებელს.

აბულ-ფარაჯის წინასიტყვაობიდან

...მე მინდოდა ამ წიგნში თავი მომეყარა მოთხრობებისათვის, რომლებიც ახალისებენ გონებას და ნაღველს აშორებენ გულს. დაე, მან ანუგეშოს ტანჯულნი, მალამოდ დაედოს გულგატეხილთ, მეგზურობა გაუწიოს სწავლის მოყვარულთ და მეგობრად გაუხდეს ხუმრობის მოყვარეთა და დამფასებელთ.

ამ მოთხრობების შეკრებისას მე უარს არ ვამბობდი არაფერზე, რაც ყურადღებისა და დამახსოვრების ღირსად მეჩვენებოდა და ვინც არ უნდა იყოს ჩემი მკითხველი — ჭეშმარიტი მორწმუნე, მუსლიმანი, ებრაელი, არამეელი თუ სხვა ვინმე, - ცოცხალი გონების პატრონია თუ მხოლოდ ეშმაკობით გააქვს ლელო, - დაე, ამ წიგნიდან

ყოველმა მათგანმა აიღოს ის, რაც მის სულს ეხმიანება, ის ვარდები მოკრიფოს, რომლებიც მოსწონს.

თავი I

ᲑᲔᲠᲫᲔᲜ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲔᲑᲘ

1. ᲯᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

სოკრატეს ერთმა მისმა მოსწავლემა ჰკითხა:

– ამიხსენით, რატომ არ მინახავს თქვენს სახეზე ნაღველის ნიშნები? ყოველთვის კარგ განწყობაზე ხართ?

– იმიტომ, რომ მე ისეთი არაფერი გამაჩნია, რის დაკარგვასაც ვინანებდი. — უპასუხა სოკრატემ.

2. ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲠᲝᲕᲘᲜᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

დიოგენს ჰკითხეს:

– რას იზამ, ეს კასრი რომ გატყდეს, რომელშიც ცხოვრობ?

– ეს არ მაწუხებს, რამეთუ ადგილი, რომელიც მიკავია, შეუძლებელია გატყდეს. — უპასუხა მან.

3. ᲛᲠᲣᲓᲔ ᲡᲐᲠᲙᲔ

ერთმა ქალმა უთხრა სოკრატეს:

– ო, რა მახინჯია შენი სახე, სოკრატე!

ამაზე ბრძენმა უპასუხა:

– ეს სიტყვები გამანაწყენებდა, შენ რომ ყველაფერს სუფთა სარკესავით ირეკლავდე, მაგრამ შენ უწესო ხარ, მრუდე სარკე კი საგნებს ამახინჯებს.

4. ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ

ხეზე ჩამომხრჩვალი ქალის ნახვისას სოკრატემ შესძახა:

– ო, ყველა ხეს რომ ამისთანა ნაყოფი გამოეღო!

5. ᲡᲯᲝᲑᲡ ᲛᲝᲙᲕᲓᲔ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ

ვიღაც ქალმა დაინახა სოკრატე, რომელიც სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ. იგი ატირდა და შესძახა:

– ღმერთო ჩემო! მათ შენი მოკვლა სურთ, თუმცა არავითარი დანაშაული არ ჩაგიდენია.

სოკრატემ უპასუხა:

– ო, ბრიყვო, ნუთუ გსურს, დანაშაული ჩამედინა, სასჯელი დამემსახურებინა და დამნაშავედ მოვმკვდარიყავი?!

6. ᲨᲝᲠᲡᲛᲭᲕᲠᲔᲢᲔᲚᲝᲑᲐ

ერთ ფილოსოფოსს ჰყავდა ქალიშვილი. მის ხელს ორნი სთხოვდნენ — მდიდარი და ღარიბი.

ფილოსოფოსმა ქალიშვილი ღარიბს მიათხოვა.

როდესაც ჰკითხეს რატომ მოიქცა ასე, ფილოსოფოსმა უპასუხა:

– მდიდარი მთხოვნელი ბრიყვია და ვშიშობ, რომ მალე გაღარიბდება. ღარიბი კი — ჭკვიანია და დარწმუნებული ვარ, თანდათანობით გამდიდრდება.

7. ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ

ერთ ფილოსოფოსს ჰკითხეს:

– რა მოვლენა იქნებოდა სასიკეთო ქვეყნის უმრავლესი მცხოვრებისათვის.

მან უპასუხა:

– სულელი მმართველის სიკვდილი.

8. ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ

– რით განსხვავდები მეფისაგან? — ჰკითხეს ერთ ფილოსოფოსს.

– მეფე მონაა საკუთარი სურვილებისა, მე კი — მათი მბრძანებელი ვარ.

9. ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

პლატონს ჰკითხეს:

- რით შეიძლება დამშვიდდეს უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანი?

მან უპასუხა:

– ჭკვიანი ადამიანი მშვიდდება იმით, რომ შეიმეცნებს მომხდარის გარდუვალობას. სულელი კი თავს იმშვიდებს იმით, რომ სხვასაც დამართნია იგივე.

10. ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

არისტოტელემ ალექსანდრე მაკედონელს დაუბარა:

– საკუთარი საიდუმლო არასოდეს გაუმხილო ორს, რადგან საიდუმლო თუ გამჟღავნდა, ვერ დაადგენ, რომელია დამნაშავე. თუ ორივეს დასჯი, აწყენინებ იმას, ვინც საიდუმლო შეგინახა. თუ ორივეს აპატიებ — ისევ აწყენინებ უდანაშაულოს, რამეთუ იგი პატიებას არ საჭიროებს.

11. ᲕᲘᲜ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲐᲓ

ერთ ფილოსოფოსს ჰკითხეს:

– ვინ შეიძლება ჩაითვალოს ჭკვიანად?

მან უპასუხა:

– ის, ვინც ისწრაფვის მიღწევადი მიზნისაკენ.

12. ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲣᲓᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ

ერთხელ არისტოტელემ თქვა:

– ჭკვიანი კაცი ყოველთვის ეთანხმება სხვა ჭკვიან კაცს, სულელი კი, ჩვეულებრივ, არ ეთანხმება არც ჭკვიანს და არც სულელს. ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ ყველა სწორი ხაზი ემთხვევა ერთმანეთს, მრუდე ხაზები კი არ ემთხვევიან არც ერთმანეთს და არც სწორ ხაზებს.

13. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲓᲐ ᲘᲦᲕᲘᲫᲔᲑᲡ

დიოგენს ჰკითხეს:

– რატომ სადილობ ბაზარში[1]?

მან უპასუხა:

– მადა იღვიძებს საჭმლის დანახვაზე.

14. ᲡᲐᲠᲘᲡᲯᲝ ᲪᲔᲚᲥᲝᲑᲐ

ერთხელ დიოგენმა შენიშვნა მისცა უკანონოდ შობილ ბავშვს, რომელიც გამვლელებს ქვებს ესროდა.

– შეწყვიტე ცელქობა, შეიძლება, შემთხვევით, საკუთარ მამას მოახვედრო ქვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუსულიდან თარგმნა
Გ. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ

[1] *აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით, ბაზარში ჭამა მიუღებლად ითვლებოდა. ფართოდაა ცნობილი აღმოსავლური ანდაზა: 'ბაზარში ძაღლები ნადიმობენ.“*

დალი სულაშვილი

ფიროსმანი... საიდან მოვიდა ეს უცნაური ადამიანი?!

„ფერწერა ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე უცნაური დარგია. ყოველთვის, როცა გგონია, რომ მან ამოწურა ყველა შესაძლებლობა, მიაღწია ზღვარს, რომლის იქით ისღა შეუძლია, რომ თავისივე თავი გაიმეოროს, უცებ ყველაფერი იცვლება, მოქმედება ისე იწყებს განვითარებას, როგორც ზღაპარში, იელვებს ალადინის ლამპარი, გაიღება კარი იქ, სადაც არავითარი კარი არ ყოფილა, მფრინავი ხალიჩა ადამიანის სულს უცხო მხარეებისკენ მიაფრენს... და მერე იწყება დავა იმაზე, თუ რა არის ფერწერაში შესაძლებელი და რა - შეუძლებელი...“

ეს სიტყვები ლუი არაგონს უთქვამს, როდესაც ლუვრის დარბაზებში გამოფენილი სრულიად უცხო ფერწერა - ფიროსმანის ნახატები უნახავს. ეს აღმოჩენა იყო ყოვლისმხილველი დასავლეთისთვის, ღია კარი, რომლის მიღმა იდუმალი, შეუცნობელი სამყარო მოჩანდა.

ფიროსმანი... საიდან მოვიდა ეს უცნაური ადამიანი, უცხო, რომელიც არსად იყო „შინ“, რის თქმა უნდოდა ფერების ენით?.. ერთი რამაა უტყუარი; დაიბადა, შექმნა საკუთარი ქვეყანა - შემოქმედება და ამ ქვეყანაშივე ცხოვრობდა. მისი მიწიური სამშობლო კი მირზაანია, ქიზიყის ერთი ლამაზი სოფელი, რომლის ხასიათი და ფერები მთელ მის შემოქმედებას გასდევს. აკი წერდა კიდეც ტიციან ტაბიძე: „ნიკო ფიროსმანი ნამდვილი შვილია ქიზიყისა, ყველა მისი სურათი აღნიშნავს მის კახურ სისხლსა და ჯიშს...“ მირზაანშიც, როგორც სხვა ქართულ სოფლებში, ხშირად შეხვდებით მზის გულზე - „მყუდროზე“ თავშეყრილ ხანდაზმულ ადამიანებს, არქაულობით სავსე ცოცხალ მატიანეებს. ისინი ერის ათასწლოვანი ყოფიერების განზოგადებული სიმბოლური სახეებია. მათი სისხლის ხსოვნაში ჩაბეჭდილია სულიერი და ქვეყნიური ისტორიები.

ფიროსმანი შეჯერებაა ამ ისტორიებისა, ამ არქივიდან, ამ მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან იღებს სათავეს მისი შემოქმედება, გვახედებს მის სიღრმეებში, ქმნის ეპოსს, რომელშიც გაცხადებულია ქართული ხასიათი და გაცხადებულია იმგვარად, რომ შორს სცილდება ეროვნულის ჩარჩოებს და საკაცობრიო შინაარსს იძენს, რადგან მარადიულ, წარუვალ, ზოგადადამიანურ ჭეშმარიტებებს სწვდება.

ფიროსმანის, როგორც მხატვრის, პირველაღმომჩენნი და დამფასებელნი კირილე და ილია ზდანევიჩები და ფრანგი მხატვარი მიშელ ლე-დანტიუ იყვნენ. ზდანევიჩები თბილისში არდადეგებზე ჩამოვიდნენ მშობლებთან და თან მეგობარი ჩამოიყვანეს, ისინი ხალხური შემოქმედების ნიმუშებით იყვნენ დაინტერესებულნი. ჩამოვიდნენ და თითქმის მაშინვე მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: ვაგზლის ახლომახლო დუქნები და სამიკიტნოები სავსე იყო სრულიად უცხო ფერწერული ნამუშევრებით. გაოცებულნი კითხულობდნენ ავტორის ვინაობას და პასუხად იღებდნენ: ეს მღებავი ნიკალას ნახატებიაო. „ვიდექით ფენომენალური მოვლენის წინ, ჩვენ ვნახეთ ის, რაზედაც ოცნებაც არ შეგვეძლო“, - წერდა მოგვიანებით კირილე ზდანევიჩი.

აქედან დაიწყო დაინტერესება ფიროსმანის შემოქმედებით, მისი ნამუშევრების მოძიება-შეძენა, ლეგენდად ქცეული მხატვრის ბიოგრაფიული დეტალების დაზუსტება მედუქნეებთან და მიკიტნებთან. იბეჭდებოდა პუბლიკაციები, ჟურნალების მთელი ნომრები ეძღვნებოდა მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

უკვე შუა ხანს მიტანებულ მხატვარს უთხრეს: „იცით, რომ თქვენ დიდი ოსტატი ხართ და თქვენი სურათები ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია?.. თქვენი სურათებით ქართული ფერწერა ისევ ჩადგებაქართული ხელოვნების ისტორიულ კალაპოტში... თქვენ აგვიხილეთ თვალები მშვენიერ საქართველოზე, რომელიც ასე ძლიერად და სიყვარულით აგისახავთ... სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული ემჩნევა თქვენს ყველა სურათს და ამისთვის დიდება და პატივი თქვენ!“



მხატვარმა იცოდა, რომ დიდი ოსტატი იყო. მაინც სჭირდებოდა ეს დასტური ადამიანებისგან, რომლებიც ჩასწვდნენ მისი ხელოვნების აზრს, გაიგეს და შეიყვარეს იგი. ეს სიხარული და შვება იყო... მაგრამ თბილისი ჭრელი ქალაქი იყო ყოველთვის, სხვადასხვანაირად უდგებოდნენ ფიროსმანს და ნამუშევრებსაც. ზოგთათვის ის „მალიარი, ტვინდასეტყვილი ნიკალაა“, ზოგი ფასეულად არ თვლის მის ნახატებს, მაგრამ არიან ისეთებიც,რომლებიც გენიოსად მიიჩნევენ და ცდილობენ, შეინარჩუნონ მისი შემოქმედება.

„ნიკო იყო მოსული, როგორც ლეგენდა აუხსნელი“, - წერდა დიმიტრი შევარდნაძე და თვლიდა, რომ მისი ნახატები ინტუიტურია და სულიერი ხედვითაა შექმნილი. ტიციან ტაბიძემ იცოდა, რომ ევროპაში განსწავლულ-აღრზდილი, ფერწერის „ზაკონების“ მცოდნე მხატვრების უმეტესობა ფიროსმანს „ვერ დაინახავდა“: „ქართული აკადემიური მხატვრობა ფიროსმანს გულცივად ხვდებოდა და ტექნიკას უწუნებდა, რაც, რასაკვირველია, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ოფიციალური მხატვრობა უთუოდ ვერ მიიღებდა ფიროსმანს, რადგან ის იყო მისი სრულიად საპირისპირო რამ...“, წერდა იგი. „პრიმიტიული მხატვრობა...“ პრიმიტიულს ჩვენი უსუსურობის გამო ვუწოდებთო,-ამბობს ილია ზდანევიჩი...ეს ნიშნავდა, რომ გრძნობდნენ მთელი არსებით, გრძნობდნენ პირველები, გენიოსის პირველაღმომჩენები... ილია იქვე ხმამაღლა მიმართავს მთელი ევროპის ხელოვანთ: „იცით თუ არა თქვენ, რომ თბილისში არის მხატვარი, რომელიც განსაკუთრებულ დიდებას იმსახურებს?.. თქვენი კრიტიკოსები, პროფესორები, ახალგაზრდებიც და ხნიერებიც მისი მუშამბის ერთ სანტიმეტრადაც არ ღირან...“


ორთაჭალის ტურფა

ფიროსმანთან დასაბამიერი წყვდიადიდან, უხილავი რეალობიდან ამოიზრდება, ამონათდება ადამიანი, ხე, ცხოველი, ქვა, ცა და მიწა და მოევლინება ხილულ სამყაროს, პირველქმნილის სისადავითა და სიწმინდით შემოსილი. ისინი გამოდიან ამ „სხვა“ რეალობიდან, იძენენ ფორმას, საკუთარი ენით მეტყველებენ და არიან სულიერი გამოცდილების ადეკვატური ქმნილებები. მხატვრის ქმნადობა - შემოქმედებითი პროცესი ღვთისმსახურება და მსხვერპლშეწირვაა, რადგან ქმნილში დებს ყველაფერს, რაც გააჩნია - ნიჭს, განცდას, სიყვარულს, ცოდნას, თანაგრძნობას... და დებს უშურველად, დაუნანებლად, სიხარულით.

ფიროსმანი ქმნის კომპოზიციას უბრალოდ, ბუნებრივად, როგორც წყარო მოედინება, როგორც ფოთლები შრიალებენ. ქმნის თეორიებისა და კანონების გარეშე და ეს მხოლოდ მისი კომპოზიციაა, პიროვნული ხასიათი აქვს. როგორც მხატვარი, იგი განდეგილია, ინდივიდუალისტია, მხოლოდ შინაგან კანონს სცნობს და ისიც იცის, საიდან მოდის ეს უტყუარი ალღო, ეს ხატ-სახეები : მე, ჩემი წმინდა გიორგი მწამს! რომ დავწვები, მათრახით ხელში დამადგება და მეუბნება: ნუ გეშინია, ნიკალა, დახატე, ნიკალაო და მეორე დღეს ფუნჯი თავისით ხატავსო...ზოგჯერ, მოულოდნელად, ამოიძახებდა: ჩემი წმინდა გიორგი... ან: მთავარანგელოზი დიდთვალება...

ფიროსმანი არ ცდილობს შთაბეჭდილება მოახდინოს მნახველზე. ქმნადობის დროს იგი სრულიად მარტოა, სულ სხვა მხარეს აქვს მიპყრობილი თვალი და სმენა... ეს არის გასვლა უსაზღვრო, უსასრულო თავისუფლებაში, გასვლა ყოველგვარი მოცემულობიდან, მოგზაურობა საკუთარ უსიერ წიაღში, ქვეცნობიერში, სადაც მარტოობა კოსმიური ხდება, სადაც არ არის სიტყვები, არ არის დრო, არის მხოლოდ ხატებები, ხილვები, იქ, სადაც სხვაგვარი არსნი მყოფობენ, სადაც იდეა-ფორმების სახით მატერიაში განსახორციელებელი არქეტიპების უსასრულო გარდაქმნა მიმდინარეობს. იქ ხედვდა თავისი პერსონაჟების სახეებსაც, აქეთ ნაპირზე პრიმიტიულად რომ ეჩვენებოდათ.

ფიროსმანის ადამიანები თავის თავში განმარტოებული ადამიანები არიან, რაღაცაზე ჩაფიქრებულნი, მზერაშეჩერებულნი. მოქეიფეების სახეზეც კი ვერსად ნახავთ ღიმილს, უფრო მეტიც, ისინი არც ჭამენ, არც სვამენ, არც ლაპარაკობენ. თითქოს იმ სიტყვაზე ფიქრობენ, ერთი წუთის წინ რომ გაიჟღერა, როცა თამადამ სადღეგრძელო წარმოთქვა და ამ სიტყვით თავის თავში ჩააბრუნა ყველა, რაღაც აღმოაჩენინა და ჩააფიქრა. თამადა ხომ, ტრადიციულად, მრავლისმცოდნე, მჭევრმეტყველი ადამიანი უნდა ყოფილიყო, მის სიტყვას ძალა უნდა ჰქონოდა. მხატვართან ყველა ადამიანი პიროვნებაა და საკუთარი ხასიათი აქვს. რაც არ უნდა ეცვათ მის პერსონაჟებს - კინტოს სამოსი, ევროპული კოსტუმი, ჩოხა თუ განდეგილის კაბა - ეს სამოსი მათი მეობის სამოსია. ეფექტი მიღწეულია არა დეტალების დამუშავებით, არამედ ერ-

ქეიფი ვაზის ტალავერში

თადერთი ზუსტი და ფართო მონასმით, მთავარი ლაქით, ხაზით, ფერით, ფერით და კიდევ ფერით.

დიდ, ნამდვილ თავისუფლებას, ნათელში გასვლის უნარს მიჰყავს ფიროსმანი საკრალურ სიღრმეებამდე, არსის წვდომამდე, ამიტომაც მისი ნამუშევრები მისტერიებია: აღდგომის მისტერია (სააღდგომო კომპოზიციები, სუფრები, სააღდგომო ბატკნები-სამსხვერპლო, მორჩილი ზვარაკები, ნატურმორტები, ანგელოზები), ქართული სუფრის მისტერია (ქეიფების სერია), მზის მისტერია („მზე და ლომი“), ვაზის მისტერია(სადღაც, მაღალი კლდეების თავზე, მოქეიფეთა თავების ზემოთ ვაზებს ადამიანებთა თავების ტოლი მტევნები ასხია, თავად ვაზები კი შუბშემართული ჯარის მწრივებად ჩარიგებულა და ყველაფერი ერთად უდიდეს ძალას ასხივებს), და სხვა.

ფიროსმანის შემოქმედება რომ სიმბოლოებით მეტყველებაა, ამას თვითონაც ამბობს, როცა ორთაჭალელ ტურფებზე ლაპარაკობს: მე მათ შავი ცხოვრების შავ ფონზე ვხატავ, მაგრამ მათაც უყვართ ცხოვრება და ამიტომ ყვავილებსა და ჩიტებს ვჩუქნი. მე მათ თეთრ ზეწარს ვაძლევ, მეცოდებიან და თეთრი ფერით ცოდვებს მივუტევებ.

ფიროსმანის ცხოველები ადამიანური გრძნობების მანიფესტაციებია, თავისებური პორტრეტებია და ემოციურ-მენტალური ზემოქმედების ძალა აქვთ. ისინი სახეებია უმანკოების, სევდის, მხნეობის, სინაზის, სიფრთხილის, შიშის, სიყვარულის... თითქმის ასეთივე დატვირთვა აქვს პეიზაჟებს, მცენარეთა სამყაროს... ყველაფერი მთლიანობის ნაწილებია, ერთი ხელითაა შექმნილი, ერთ წრებრუნვაში ჩართული და საერთო სათქმელს ამბობს: ცხოვრება მშვენიერია,რადგან ბალახი მწვანედ ბიბინებს, მზე ანათებს, წყარო მოჩუხჩუხებს, მთვარე იდუმალ შუქს ჰფენს გარემოს, ხეები ჩუმად დგანან, ფოთლები შრიალებს, ანგელოზები დაფრინავენ და ღვთის თვალი ტრიალებს დედამიწაზე. ფიროსმანის შემოქმედებაში დიდი სიჩუმე, დიდი სიმშვიდე, გამოცხადების მოლოდინი დგას, რამეთუ „ისე არაფერში იგრძნობა ღმერთის არსებობა, როგორც სიჩუმეში“(მაისტერ ეკჰარტი). ფიროსმანი განსხვავებულია, თავისთავადია, არავის ჰგავს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქვს საკუთარი მრწამსი და თუმცა ქართულ ფრესკულ მხატვრობასთან, მინიატურასთან, ტრადიციასთან აქვს შინაგანი სისხლისმიერი ნათესაობა, მას ეს არსად უსწავლია, ეს მასში ცოცხლობდა და საკუთარი სულის სიღმეებიდან, სულიერი ხსოვნიდან ამოჰქონდა.

ფიროსმანმა მინდიასავით იცის: „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველაფერს თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“, ამიტომ ყველას და ყოველს ინდივიდუალობის ბეჭედი აზის, ყველაფერი მეტყველებს, აქ შემთხვევით არაფერი ხდება და არ არის სიცოცხლის იმიტაცია. ეს თავად სულიერებით, გრძნობით განმსჭვალული სიცოცხლეა თავისი შუქ-ჩრდილებით, ავ-კარგით, კეთილითა და ბოროტით. ყველაფერი მნიშვნელოვანია, შინაარსითაა სავსე და მონუმენტურია, როგორც კახური სიმღერა - ომახიანი, იმედიანი, ცამდე ამაღლებული... და კიდევ, ფიროსმანს ხშირად ახსენებენ ვაჟასთან კავშირში, რადგან მათ შორის მართლაც ღრმა შინაგანი ნათესაობაა.როცა ვაჟა ამბობს: „იას უთხარით ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო“, ეს მისი გლოვის სიტყვებია, მაგრამ ეს არის გლოვა არა მწუხარებით დაჩაგრული, არამედ ბუმბერაზი, ძლიერი ადამიანისა და იმ ადგილიდან ისმის, სადაც იბადებიან მისი გმირები, მთელი მისი სამყარო, დიდი, ძლიერი, ყოვლისმომცველი, იქ სტკივა, იქ უხარია, იქ გრძნობს...ასეთსავე ადგილზე დგას ფიროსმანი, იქ იბადება მისი შემოქმედება, მისი პერსონაჟები და იქიდან გვესაუბრება ყველას, ვისაც მასთან მიახლება სურს...

სააღდგომო ბატკანი

„ფიროსმანი ქართული ყოფის ეპიური თვალია... აქ არის მოცემული ნამდვილი ქართული ტემპერამენტი, ხალასი მზით დაფენილი“. ***(გრიგოლ რობაქიძე)***

ქეთევან
მჯედლიშვილი



ნეჩვოლოდოვების სახლის ისტორია

(ხალხთა მეგობრობის მუზეუმი ნეჩვოლოდოვების სახლში)

ბოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიაზე არის პატარა, რუსული სახლი, რომელიც გარეგნულად არაფრით გამოირჩევა, მაგრამ მისი ეზო და სახლიც ბევრი ცნობილი პიროვნების ნაკვალევს ინახავს.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში აქ დასახლდა გრიგოლ ივანეს ძე ნეჩვოლოდოვი, შვილად აყვანილ სათანაისეკატერინესთან ერთად, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი განადგურებული აულიდან ობლადდარჩენილი წამოიყვანა. ნეჩვოლოდოვი ორმოცი წლისა ჩამოვიდა ყარაღაჯში, მას უკვე მოესწრო მრავალი ჩინის მიღება და რთული, თავგადასავლებით სავსე ცხოვრების გზის გავლა... პორუჩიკის ჩინის მიღების შემდეგ მან მიიღო ანნას II ხარისხის ორდენი, ხოლო ფრანკფურტთან ბრძოლაში მან მიიღო წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი. იგივე ორდენი, მეორედ, მიიღო პოდპოლკოვნიკობასთან ერთად ქალაქ ნამურას აღებისათვის, სადაც პლატოვის არმიასთან ერთად იბრძოდა.

გაითვალისწინა რა მისი უთვალავი ჭრილობა და არნახული გმირობები, იმპერატორმა ალექსანდრემ ბრძანა ნეჩვოლოდოვი გადაეყვანათ კავკასიაში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რათა მისცემოდა საშუალება გამოესყიდა დანაშაული, რაც ისტორიაში სხვადასხვაგვარად არის მოხსენიებული. მოგვიანებით ერმოლოვმა ითხოვა მისი სრული შეწყალება(მასალა აღებულია პოტტოს „მისი უდიდებულესობა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ისტორიიდან“).



სარკე და მაღალი ზარდახშა ეკატერინე ნეჩოლდოვას ნივთებიდანაა

დრაგუნთა პოლკის ოფიცრები ხშირად იკრიბებოდნენ დედოფლისწყაროში, ნეჩვოლოდოვების სახლში. ეს არაჩვეულებრივი ოჯახი მრავალი წლის მანძილზე ყველა რუსი ლტოლვილის თავშესაფარს წარმოადგენდა. ნეჩვოლოდოვების სახლი, თავისი საოცარი დიასახლისით, იქცა ცენტრად, სადაც თავს იყრიდა ყველა ვისაც კი ბედი დედოფლისწყაროში გადმოისვრიდა.

ნიჟეგოროდის პოლკს მინიჭებული ჰქონდა უფლება, რომ მის რიგებში ყოფილიყვნენ თავადები, გრაფები და თვით მეფეებიც კი. პოლკი მრავალეროვანი იყო. ბევრი ქართველი თავადიც მსახურობდა და იქმნიდა კარიერას ამ პოლკიდან. მათ შორის იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სპირიდონ ჭავჭავაძე...

ამ სახლში ორ წელიწადს ცხოვრობდა ალ. პუშკინის ძმა – ლევ პუშკინი (ლოვუშკა – ასე უწოდებდნენ მას ადგილობრივები). აქ ხშირად უნახავთ ნ. რაევსკი – ალ. პუშკინის მეგობარი და ასევე ცნობილი პოეტი. უფრო მოგვიანებით ნეჩვოლოდოვების ხშირი სტუმრები ყოფილან მიხეილ ლერმონტოვი, ა. სტოლიპინი, ა. ოდოევსკი და სხვა. ბევრ მათგანს გულითადი საუბრისა და გართობის გარდა, გარკვეული წვლილი შეუტანია კატენკას აღზრდა-განათლებაში. მაგალითად ლ. პუშკინს მისთვის ისტორია უსწავლებია, პ. ბესტუჟევს – ბუნებისმეტყველება, ალ. რინკევიჩს უცხო ენები, ისკრიცკის – მუსიკა და ა. შ. ისინი წიგნებითაც ამარაგებდნენ ამ ოჯახს.

დედოფლისწყარო(მაშინდელი მეფის წყარო) ხსენებული პერიოდის ისტორიაში შევიდა არა იმდენად თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით, რამდენადაც იმით, რომ აქ ასახლებდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. რუსეთის გამოჩენილ შვილთა მოწინავე იდეების გავრცელება საქართველოში დეკაბრისტების სახელთანაა დაკავშირებული.

ყარაღაჯსა და დედოფლისწყაროში გადმოსახლებული დეკაბრისტები,

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხშირად იკრიბებოდნენ ნეჩვოლოდოვების სახლში, რომელიც იყო გადმოსახლებულთა თავშეყრის, მათი აზრთა გაზიარების, კამათის, ფიქრისა თუ ოცნების მთავარი ადგილი. ბევრი ცნობილი პიროვნება ყოფილა და საუკეთესო მოგონება წაუღია აქედან. „ამ პატარა, ყავრის სახურავიან თეთრ სახლში თავს იყრიდა ყველა, ვისაც ბედი დედოფლისწყაროში გადმოისვროდა.“ მათ შორის იყო პოეტი მ. როზენჰაიმი, რომელიც ველარ ივიწყებდა აქაურ ატმოსფეროს.

ასევე, მიხეილ ლერმონტოვიც აღფრთოვანებული ყოფილა საოცარი დიასახლისით. ამბობენ, რომ ის გარკვეულწილად თამარის ხატებაა „დემონიდან“. მის ნაკვთებს პოულობენ ბელას გარეგნობაში „ჩვენი დროის გმირიდან“.

1858 წელს დედოფლისწყაროში მყოფი დიდ ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა ამ სახლში სწვევია ეკატერინე ნეჩვოლოდოვას. სავარაუდოდ ამ სახლში ღამე გაუთევია ალექსანდრე პუშკინსაც. ეკატერინეს შვილიშვილი – გრიგოლ თევდორეს ძე ნეჩვოლოდოვი, წერს პეტრე ლესნოვი, სიკვდილამდე არავის აკარებდა რკინით მოჭედილ სკივრს, სადაც თავმოყრილი იყო წიგნები, ხელნაწერები და გამოჩენილი პიროვნებების მიერ ბებიისათვის მიძღვნილი ლექსები. მხცოვანი მცხოვრებლები ამბობენ, გრიგოლ თევდორეს ძემ ეს სკივრი სიკვდილის წინ ჩამარხა ძველ ჭაში, უზარმაზარი კაკლის ახლოს, ასე რომ ეს ჭეშმარიტად უძვირფასესი განძი დღემდე აღმოუჩენელია.

იმ დროის ყველა გამოჩენილმა პიროვნებამ იცოდა ამ ოჯახის არსებობის შესახებ – აღნიშნავს გრ. იარალოვი წიგნში „პეტერბურგიდან ყარაღაჯამდე“. ნიჟეგოროდელებიდან საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო სპირიდონ ჭავჭავაძე. მან დაწერა მოგონებები, რომელშიც მოგვითხრობს მრავალი ისტორიული პიროვნების შესახებ. ამ აზრს აძლიერებს ისიც, რომ პეტრე ლესნოვი „მოჭედილი სკივრის საიდუმლოებაში“ წერს, რომ კატენკას შვილთაშვილმა მარიამ თავისი თვალით ნახა ალბომი, სადაც ცნობილი პოეტების ხელით ჩაწერილი კატენკასადმი მიძღვნილი ლექსები იყო.

ბევრი საკითხი ჯერჯერობით კიდევ საჭიროებს კვლევას და ნათლის მოფენას. ამბობენ, რომ დედოფლისწყაროში მყოფ ალექსანდრე პუშკინს მონაწილეობა მიუღია დუელში და მშვიდობიანად მოუგვარებია, შეურიგებია მოწინააღმდეგეები. ასე რომ ვისაც ისტორია აინტერესებს და ხელეწიფება, შეუძლია ჩაეძიოს ძველ მასალებს; მოიძიოს კავშირები აქ მოღვაწე დეკაბრისტების შთამომავლებთან.

ამჟამად ამ ისტორიული მნიშვნელობის შენობაში ხალხთა მეგობრობის მუზეუმია. იგი განაგრძობს ფუნქციონირებას. აქ პერიოდულად ეწყობა მხატვრების, ხელმარჯვე ოსტატების, ახალი თაობის ნამუშევრების გამოფენები, პოეზიის საღამოები, სოფლისათვის გამოჩენილი ადამიანების მოგონებების თუ გარდაცლილების გახსენების დღეები.

ᲜᲐᲢᲐ ᲕᲐᲠᲐᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲰᲔᲠᲔᲗᲘ. ᲥᲣᲠᲛᲣᲮᲘ. ᲐᲚᲘᲑᲔᲒᲚᲝ. ᲥᲐᲗᲛᲘᲡᲮᲔᲕᲘ. ᲜᲐᲓᲘᲠᲗᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ. ᲯᲐᲮᲘ. ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ

Ვართ დღეს გაიღვიძებ და ეგ არი.

მთავარია, ბიომეტრიული პასპორტი გქონდეს უბის წიგნაკში. თუ ის ყავისფერი ტყავის გაქექილი უბის წიგნაკი 100 წლისაა და პაპის ნაქონია, და თან პაპა, კიდე აგერ მთელი 30 წელია აღარ არი, მაშინ, მით უმეტეს.

ერთი გალავანი ერტყა კახეთ-ჰერეთს, ადრე. ეს გალავანი არის ყვარლის ერთ სოფელში, ჭიკაანში, კარგად ბლომად და სიგრძე-სიგანეზედ. იმ ადგილებს გალავნებს ეძახიან ადგილობრივები დღესაც კი და საქეიფოდ დადიან ბიჭები, როცა შერიგების დღეა ან ჯარიდან ჩამოდის ვინმე, მაგრამ ერთხელ, კლასელებმა სკოლის დამთავრების 10 წელი აღნიშნეს და იქ ერთ პოლიციელს გაუვარდა პისტოლეტი და მოკლა, საგვარეულოში ერთადერთი დარჩენილი ძე, და მაშინ ეს გალავნები თითქოს ისევ გაუქმდა, ხალხის თვალსა და მეხსიერებაში.

„გამარჯობა, გამარჯობანა“ - მქონდა ასეთი თამაში ადრეულ ბავშვობისას. ეს არცთუისე უსაფრთხო საბავშვო თამაშებიდან ჩემს მიერ მოგონილი თამაში გახლდათ. აბა, სოფელში, საბჭოთა წყობისას, ქარიან დილას, როცა მთელი გლეხობა მიყუჟულია საკუთარი ქოხმახების თბილ კუნჭულებში, რომელი ჭკუათმყოფელი გოგო გამოვა გარეთ? კარგი, გამოვიდა და სად წავიდა?! პატარა გალავანია გადახურული და მივა იქ, გამობრუნდება და მერე მეზობლის გალავანთან მოუხვევს. სიგიჟე. მაგრამ ერთხელ, ისეთი ქარიანი დღე იყო, გოგომ გალავანთან აღარ მოუხვია და პირდაპირ წავიდა ქურმუხებზე, დიახ. სასაფლაოზე.

ქურმუხებს სოფლელები უხსოვარი დროიდან ეძახიან იმას, სადაც ძველი სასაფლაოა და 23 ნოემბერს და 6 მაისს ესე იგი, გიორგობის დღესასწაულზე, პატარა ნიშთან მიდიან, ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. ქურმუხებზე გოგო სასაფლაოს არ ელოდა, მაგრამ რაღაც ისეთი ნახა, რაც მის გარდამტეხ ასაკში დაუშვებელი იყო. მობრუნდა, სოფლის გიჟი დაინახა ხეების უკან მდგარი გამწარებით იქნევდა მარჯვენა ხელს. გამოიქცა. ქარია. ურმით ვიღაც მამა-შვილი ხეს ეზიდება. გულამოვარდნილი შერბის ეზოში და პაპის თვალები ხვდება დარაჯად. იქეთ აღარ წახვიდე მარტო. არის.

კაბალი კიდევ კარგად მახსოვს, სკოლის დამთავრებისას, აფხაზეთის ომიც რომ სიჩუმის დამანგრეველ ხმაურში დასრულდა, და შიმშილი გვჭამდა, სწორედ მაშინ შემოვიდა ჩემს ცნობიერში. კაბალელი თათარი დაიმეგობრა მამამ. მეგობარი ნავთს და ბენზინს ყიდდა, თითქმის მუქთად.

იყო ამაში რაღაც ძალიან უთქმელი და თავისთავად მნიშვნელოვანი. ის ნავთი ბავშვებს პურის ფულად გვყოფნიდა. მე ხომ ცარიელი ხახვიც კი მაქვს ჩაკბენჩილი და მერე გადმოფურთხებული. იმ სიმწრის დღეებში, იყო ერთი მზიანი. მოიყვანა სახლში კაბალელი მამამ და მე ვარ მარტო დიასახლისი. დიდი კუფხლებიანი ყურძენი გვაქვს ხეივანზე, მოვწყვიტე ორი მტევანი და დავდე საინზე, მერე კონიაკი გამოვიტანე ვერცხლის სასმისით და ვერცხლისავე ჭიქებით. იყო ამაში რაღაც ტკბილი აღმოსავლური. იღიმებოდა ის თათარი, უცხოტომელი, შავშავი თვალებით და მერე მამაჩემა თქვა: სომხებმა არ იციან ძმაკაცობაო. თათარი თუ დაგიძმაკაცდა, შენი ძმაა ბოლომდე, ღალატი არ უყვართო. მე ცხვრის სუნი დამრჩა. კავკასიელებს რას გაუგებ?!

გურამ თიკანაძის ფოტო არის კიდევ შავ-თეთრი. ქურმუხის წმინდა გიორგი, გუმბათმორღვეული და ჯვარმოქცეული. ისეთი კადრია, კაცის დახვრეტას ჰგავს.

ეს ფოტო სტუდენტობისას ვნახე.

ნაქირავებ ბინაში დარჩათ წინა მდგმურებს. ცოლქმარს, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს. მთელი ბარგი ადიელებში ჰქონდათ გამონასკვული, გახსნიდი და რილკე, გახსნიდი და ნოვალისი. ძველი ღვთისმშობლის ხატი, საბეჭდი მანქანა, სახატავი მოლბერტები, ისიც კი, ფირის გასამჟღავნებელი აპარატურა. საოცარია. ვან გოგის ამბავი, შექსპირის ტრაგედიები და საოჯახო ალბომი. ამ საოჯახო ალბომში ერთი შავტუხა და დიდთვალება გოგო თოჯინით დგას, ამ ქურმუხის წმინდა გიორგის ხეობაში. როგორ ვნანობ რომ ის ფოტო არ დავიტოვე, გურამ თიკანაძის ფოტოსთან ერთად.

ასე, ნელა მივდიოდი საზღვრამდე. ნათია როსტიაშვილის, ჩემი მეგობარი მწერლის ენა და ხატოვნება მწერლური კიდევ ერთი საფეხური გახლავთ. ნათიას ამას წინა გაზაფხულზე ბაბუა გარდაეცვალა და თავისი გადღებული პაპის ბოლო ფოტო დადო ფეისბუკზე. ისეთი მოხუცი იყო, ზურგით იდგა თავის ნაკვეთში, დიდი კაკლის ხის ძირას, მაგრამ მაინც ეტყობოდა, როგორიც იყო.

საქართველოდან საქართველოში მისასვლელი ხიდი გადის ატმის ბაღზე, თანაც იმ დროს, როცა წინა დღეს ხარება იყო და შემდეგ დღეს კი ბზობა გათენდება. რვა აპრილის ატმის აყვავებული ბაღი ეს არის ის, რაც უნდა ნახო სანამ არ მომკვდარხარ.

ერთ მხარეს კავკასიონის დათოვლილი ზეგანია და

ალაზნის ჭალა, ახლადამწვანებული, ნორჩი, ყვავილოვანი, ხოლო მეორე მხარეს კი გურჯაანელი მიხოს მიერ გაშენებული ატმისფერა, ატმის ხეების აყვავილებული ბაღი. შედიხარ და იკარგები და დროც და ადგილიც ერთდროულად ქრება.

გზას განაგრძობ და ისე გადადიხარ საზღვარზე ვერც კი იგებ, რომ სხვა, მეორე ქვეყანაში შეხვედი. უბრალოდ, შენს ბიომეტრიულ პასპორტში პირველი ბეჭედი ჩნდება - საზღვარი გადალახულია, რუბიკონი დაძლეულია და შენ საქართველოდან საქართველოში გზას აგრძელებ.

ლაგოდეხს ებმის ზაქათალა.

ტაქსით ვაგრძელებთ კახამდე გზას. ბელაქანი.

ტაქსის მძღოლი ნადირია, აზერბაიჯანელი, რუსულიც ნაკლებად იცის.

აზერი მესაზღვრის „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ აზერბაიჯანში, ახლა ნადირმა გააგრძელა.

ბელაქანს რომ გავცდით იქუხა, იჭექა. და დასცხო.

საზღვარს რომ გადავდიოდით ფეხით, შირაქის ველიდანაც ანათებდა ცას ელ-ჭექი და ვაშლოვანის ნაკრძალის და ზღვის ფსკერიც ნათდებოდა.

ერთ დროს, იყო ასეთი დრო კახეთი ხომ ჰერეთს ერთვოდა, იმ დაუნგრეველი გალავნით, ცით, ჰაერით ღმერთით, ასევე, კასპიის ზღვა შავ ზღვას. და ეს ზღვის ნაწილი, სწორედ კუხეთ-ჰერეთის შუა იდვა - შირაქის საძოვრებთან, ვაშლოვანის ნაკრძალთან.

ნადირთმწყემსმა სულაც არ გაიკვირვა, როცა გაიგო რომ ქართველები ქართულ სოფლებში სტუმრად მივდიოდით და თანაც, მათ შორის ერთი გასათხოვარიც ვიყავი. მოულოდნელად გზაზე მელიები ან მელატურები გადარბოდნენ, ნადირი შეჰყვირებს: ვოოლკ. ვოოლკ. ადინოკი ვოლკ.

გვაშინებდა ან გვამხიარულებდა.

ჭარ-ბელაქნის „ტეკს” უსაფრთხოდ არ გავცდით. გამოგვეკიდა თათრული პატრული. გაგვაჩერეს. თურმე მანქანის უკან სავარძლებზე ხუთის ჩაჯდომა იკრძალება იქაური კანონით, მაგრამ ნადირი არ დაბნეულა, უცბად გადახტა და მოურიგდა პოლიციელს. თურმე, შევარდნაძის დროს რომ გვყვავდა „ტეკის“ მილიციელები და ერთი კილო მარწყვისა და ერთი გალა ნივრის ფასად გატარებდნენ გზაზე, ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ სჭრის იქ, ჰოდა, ცოტა ივაჭრეს და ბოლოს, რამდენიმე ათეულ მანათად დაიხსნა თავი ნადირთმწყემსმა და გზაც განვაგრძეთ.

-ჩამიშვესო სხვა ტაქსისტებმა!- გულნაკლულად თქვა.

-იქ რომ იდგნენ?! - ვკითხეთ.

-ვიცი ვინცაა.

როგორც ჩანს ნამდვილი ნადირი ის იყო.

ასე, უცნაურად მივიწევდით წინ.

რაც არი არის. აზერებს ჰყვარებიათ მაღალგალავნიანი სახლები. ისეთი მაღალი ჩიტი რომ ვერ შეფრინდება და ჭიანჭველა ვერ შეძვრება. სახლები არც ჩანს. ეს ალბათ, დიასახლისების დამალვის კიდევ ერთი ხერხია. ნადირმა: ჩვენთან პატარა გოგოებს, 13 და 14 წლისებს არ ათხოვებენ, ეგ ალბათ საქართველოს თათრების წესიაო. თუმცა ქალი სახლში უნდა იყოს და შვილებს და ოჯახს მიხედოსო. ქალები ძირითადად სახლში არიან, და არც სამსახურებში არ დადიანო, მაგრამ აი, პრეზიდენტის მეუღლე ძალიან კარგი ადამიანიაო, კეთილიაო.

აი, კახის რაიონის სოფლებში რომ შევედით, მაშინ გამოჩნდნენ ვოლკები თუ მელატურები, ამინდიც შეიცვალა, გამოიდარა, ბნელოდა უკვე, მაგრამ სხვანაირი სინათლე ჩადგა სოფლებისკენ მიმავალ გზაზე. დაბალი ღობე და განათებული ეზო. მაღალი ხეივანი და აბიბინებული ვაზი.

საქართველოდან ქართულ სოფელში ვართ. მასპინძელიც რეკავს.

ნადირი შევითანხმეთ მეორე დღის საღამოს მოგვაკითხავს და წაგვიყვანს. უხარია და გვემშვიდობება.

ჩვენი მასპინძელი სუყაშვილების ოჯახია.

ჯერ არ მითქვამს - ერთმა კარგმა გოგო პოეტმა, მეორე კარგ პოეტ ბიჭს პროექტის იდეა ჩაუსახა, ლიკა ჭელიძემ ლაშა ბიბიჩაძეს, ჰოოდა, მოხდა ასე, ამ პროექტმა ერთად და „ერთად.ჯიმ“ და ერთად დგომით მოიგო ჰერეთელი ახალგაზრდებისთვის თანამედროვე ქართველი პოეტების პოეზიის საღამო. ამ ნათელი მისიით ერთ-ერთი ჰერეთელი პოეტის ზაზა სუყაშვილის ოჯახისკენ ავიღეთ გეზი და ამ ოთხეულს მეხუთე ამირან ჯანჯღავაც შემოგვიერთდა, ისიც პოეტი, და თანაც მეგრელი. ერთი მეგრელი ყველგან გყავდესო, ძველებს უთქვამთ.

ამირანი და ნადირთმწყემსი ჭარ-ბელაქნის გზაზე დაძმობილდნენ. ამირანისთვის, ღამის იდუმალებაში გახვეულმა კახეთისა და დაღესტნის კავკასიონს ქედი არ მოუხრევინებია.

გვიან მისულებს ალიბეგლოში, ქათმისხევში უფრო კი ვაშლოვანში მასპინძლების ოჯახი გარეთ დაგვიხვდა. ქართულად და გემრიელად გვიმასპინძლეს.

დიდი და ღონიერი ოჯახი ფეხზე მყარად დგას.

ვხედავთ კარგად მოვლილ ეზოს და აყვავებულ მსხლისა და ვაშლის ხეებს.

უამრავ ყვავილებს, როგორც ოთახის ასევე ბაღისას. ვხედავთ ეზო ორნაწილად არის გაყოფილი, მეორე მხარეს საქონლისა და ფრინველთა სადგომებია, ღორების ჭყივილიც მოისმის.

პირველი სართული საზაფხულოა და ამიტომ, მეორე

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გავერანებული ქურმუხი

სოფელ ალიბეგლოს წმიდა ნინოს სახელობის ტაძარი

სართულზე გაშლილ სუფრაზე გვიწვევენ.

ზაზას მშობლები და ბებია და რძალი და ბიძაშვილი პატარა გოგო, ქართულად რომ გვესალმება და ისე იღიმის, თითქოს მზე ამოიწვერა.

ზაზას დედა ჭაჭაშვილია, ეთერი. ბებო, დედის დედა ნაზი, ულამაზესი თვალებით, ქართული ჭკვიანი და კეთილი თვალებით. მამას ეტყობა რომ მშვიდია და ოჯახისმოყვარე.

ქართულ არხზეა ტელევიზორი ჩართული, სუუ.. ამინდის დროა. აბა, როგორი ამინდია საქართველოში. -ჩვენ ამინდსაც კი სულ ვიგებთ, სულ ვკითხულობთ, როგორი ამინდია საქართველოში; - აქ არ შეიძლებოდა არ აგტირებოდა.

დავლოცეთ ფუძე-კერა.

მოვყევით აქეთურისაც და იქეთურისაც.

„აქ, კორუფციაა. ჯერ კიდევ, შენი განათლებით შორს ვერ წახვალ. საბჭოთა წესებია. ჩვენთან, თათრები არ ცხოვრობდნენ, ერთი ორი ლეკური სოფელი იყო. ახლა კი ჩამოვიდნენ. მიწაზე შლიდნენ სუფრას და ისე, ხელით ჭამდნენ, ამათ ჩვენიდან ისწავლეს ბევრი რამე. კახში ძირითადად ქართული სოფლებია, ქრისტიანებად დავრჩით.

როგორი ამინდია საქართველოში?!

საქართველოდან საქართველოში.

საზღვრები პირობითია.

არ არსებობს საზღვრები.

სულიერებაში ყველა საზღვარი არის ფლიდობა და ფუჭი.

არის მიწა. სისხლი და არის ეს ყველაფერი ქართული.

გვიან ვწვებით.

თითქმის თენდება ბზობის დღესასწაული.

დღე მეორე. 9 აპრილი. ბზობა.გლოვა.ტიტები და ბზები. წმინდა ნინოს ტაძარი. თამარა ბაბო. შალოშვილებში. ქურმუხის წმინდა გიორგი. ღელე რომ დამანგრეველად იქცევა წამიერად. თამარის ხიდი და დაღესტნური სოფელი.

დილა არი ნათელი, მზიანი. ნაწვიმარი. ეზო სუყაშვილების სახლისა კიდევ არი ძალიან კოპწია. იმ დროს ვიღვიძებთ საქონელი რომ გადის ბოსლიდან და გარეთ უერთდება სხვა მეზობლების საქონელს, ერთიანდება და ნახირი მიდის ქვევით ალაზნის ჭალისკენ.

კამეჩები და ძროხები ხუთ-ხუთად ეტყობა, რომ მშრომელები არიან.

შინ დარჩენილი ზმუიან ბოჩოლები და ზაქები.

წყალთან ახლოს ქვევრია მიწაში და თითქოს, მის თავზე გაშენებულ ხეივანს ასცქერის მშიერი თვალებით.

ზაზა ამბობს, რომ მარნები ჰერეთელებს ეზოებში ჰქონდათ. მტერი რომ შემოდიოდა პირველს ღვინოს და ქვევრს ეძებდა. ეზოებში კი ძნელი საპოვნელი იყოო. ასე ინარჩუნდებდა საზიარებელ ღვინოს ძველად ჰერეთელი გლეხობა.

ყავა აივანზე დავლიეთ.

რძე რომ ახლადმოწველილია იმ სახლში ფუძის ანგელოზები ფერხულს მართავენ.

მაწონი, კარაქი, ხაჭო, ერბო, ყველი, ნაღები.

ისეთი ამბავია რა გინდა სულო და გულო.

მზეს სხვა სითბო აქვს,

ყავასაც სხვა გემო.

გავდივართ სახლის წინ, ქუჩაში.

გამოსულან ალიბეგლოელი ქართველები, მეზობლები, კითხულობენ ზაზას, ხელს ართმევენ. გამორბის ზაზას ტოლი ბიჭი და კოცნის და გვიცინის.

ცოტა დარდი არის მათ თვალებში, ცოტა გვიანი და დაწურული სევდა.

ზურგიდან, ოდნავ წელში მოხრილები, ჩათბუნებულები შედიან სახლებში.

ჩვენ მივდივართ სოფლის დასათვალიერებლად. ბიჭი ჯარიდან დაუბრუნდათ და ერთი ოჯახი დიდ წვეულებას მართავს. მთელი სოფელია დაპატიჟებული.

9 აპრილის მემორიალია სოფლის ცენტრში, ძალიან ლამაზი, ქართული ჩუქურთმებით გაფორმებული ქვებით. ისეთია, რუსთაველზე რომ დაიდგმებოდა.

იქვე შორი-ახლოს კი სტალინის ბიუსტია.

კონტრასტი.

ალვის ხეების კორიანტელია, დიდი, ტანმაღალი და ახოვანი ალვის ხეების ფოთლების ლივლივი.

ალიბეგლოს ძველისძველი, წმინდა ნინოს ეკლესია,

იცით, როგორი არის?!

აი, დაბლობზე, გაიხედავ და აზიდულია ეს კავკასიონი, მაღალ-მაღალი.

იქავე კი ეს ულამაზესი ტაძარი დგას. ჯიუტ, ნაწნავებიან პატარა გოგოსავით.

ეკლესია დაკეტილია. კახის მღვდელმსახური ბზობის წირვას კახის წმინდა გიორგის სახელობის დიდ ტაძარში აღავლენს. დიდხანს ვიყავით ეზოში და ზაზაც ცდილობს მოგვიყვეს სხვადასხვა ლეგენდები, ამბები, რაც ამ სოფელს, ამ ხალხს უკავშირდება.

უცბად ახსენდება რომ აქვე თამარა ბაბო ცხოვრობს. ლექსების მოყვარე, და თავადაც პოეტი. მივედით და თითქოს ჩემი სოფლის, ყვარლის რაიონის სოფელში ვარ და მეზობლის სახლს ვსტუმრობ. აუჩქარდა გული, აკანკალდა თეთრგრძელნაწნავიანი და შავთვალწარბა ულამაზესი 85 წლის თამარა შიოშვილი და აგვიყვანა აივანზე და სკამები გამოატანინა ქალიშვილს. მოგვიყვა ხევსურულ კილო-კავზე ჰერეთული ამბები.

როგორი პაპა ჰყავდა და ბიძები. მერე ერთი ბიძა სამამულო ომსაც შეეწირა. პაპამისი, დავითი, თურმე ეკლესიას უვლიდა და ინახავდა, ამის გამო ბაქოელი თათრები მტრად მოჰკიდებიან. ერთ დღესაცაო, შუაღამისას მოვიდა სოფელში ამბავი რომ თათრებს მოჰყავთ მოლაო და უნდა გადაგვარჯულონო, ვინც რჯულს არ შეიცვლის. იმას მოჰკლავენო. მამაკაცები აიყარნენ და ქვევით ალაზნისაკენ წავიდნენო. ზამთარია, ყინავს. ვინც შირაქს გაასწრებს, სიცოცხლესაც შეინარჩუნებს და რწმენასაც. მდინარეში მიუსწრეს და ბევრი ჩახოცესო. დილას კი მდინარე გაწითლებული წყლით მოდიოდა.

მოცვივდნენ მერე სოფელში და აგვაწიოკეს, გაგვქურდეს.

თამარა ბაბოს და აქაურებს ზოგადად, უცნაური კილო აქვთ. უფრო მთის ხალხს, რომ ახასიათებს, ისეთი. ხევსურები რომ საუბრობენ. ხმოვნებს ესენი კვეცენ. ასევე ძველი ხარიც შემორჩენილი აქვთ, უცნაურად სასას ენის მიბჯენით გამოითქმის.

სწრაფად თუ საუბრობს ჰერეთელი, ბევრ რამეს ვერ გაიგებ. გგონია სხვა ენაა. თუმცა კილოთი და ქართული ასობგერებით ყური მიხვდება რომ ქართულია. ბევრი სხვა რამეც გაიხსენა თამარა ბაბომ. სიამაყით თქვა რომ სოფელი ქრისტიანული წესებითა და ტრადიციებით ცხოვრობს და ქართულიც ყველამ იცის.

34 წლის 4 შვილით დავქვრივდიო. ღანძილს ვაგროვებდი, დავდიოდი ღანძილზე და გავდიოდი ალაზანს და იქეთ, მხარეს ვყიდიდი. ალოებზეც მივლია, ხორბლის ასაგროვებლად, ალიონზე, გუთნისდედური მომისმენია ნაშუაღამევს.

რამე დაგვაბარეო, და სამახსოვროდ ქურმუხობას, ექვს მაისს ჩამოგიყოლებთო და ამან, ლოცვითი წიგნი მინდაო.

მერე შვილიშვილის ქორწილშიც დაგვპატიჟა, ჩემები ხართო, პირცარიელს როგორ გაგიშვებთ, ახლავე ქათამს მოვთუთქავო.

მამა ანდრიას წიგნი, „ნუ გეშინიან რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ მქონდა თან წაღებული. ორადორი წიგნი, ჩემი ლექსები და მამა ანდრიას წიგნი წავიღე. ბევ წიგნს საზღვარზე არ გატანინებენ.

ვაჩუქე მამა ანდრიას წიგნი.

მასპინძელს დავუტოვე და გადასცემდნენ.

კახის წმიდა გიორგის ტაძარი

რა უცნაური და მისტიურია ეს ამბავი. მამა ანდრიაც ქრისტიანობისთვის დახვრიტეს და ისიც დროებით მოწყვეტილ მიწაში განისვენებს, აფხაზეთში და ეს ჩვენი საქართველო, როგორც ჯვარზეგაკრული იესო, აფხაზეთიდან ჰერეთამდე, მაგრამ მაინც როგორი სიცოცხლიანი, უკვდავი და უფალთან შეზიარებული.

როცა უკან, სახლში მივბრუნდით, უკვე ძალიან გვიყვარდნენ ჰერეთელები. ზაზას მამამ და ბიძამ მანქანები დაგვახვედრეს და კახისკენ ავიღეთ გეზი. ზაზას დედა და ბებო კი ფუსფუსებდნენ ჩვენთვის გემრიელი სადილი რომ დაეხვედრებინათ.

გზა, რომელიც ღამე გამოგვატარა ნადირმა და მგლებით იყო სავსე, დაგვხვდა მზიანი, ამწვანებული თხილის ბაღებით, ნათესებში იდგნენ ჰერელი კაცები და ხელებს გვიქნევდნენ. მდინარე ქურმუხს კალაპოტი კი განიერი ჰქონდა, მაგრამ თვითონ ღელესავით მოდიოდა. ისეთი მოვარდნა იცის, ისეთი, როგორც წარღვნა. ორი ქურმუხია, როგორც ორია არაგვი. შავი და თეთრი. ჩვენი ქურმუხიც ასეა. მოდის კავკასიონიდან და მთის ჩქარი და გადარეული მდინარე ხდება, გაზაფხულზე, თოვლის დნობისას. რამდენჯერ სოფელში შემოვარდნილა და სახლები დაუტბორავს.

გზა-გზა გვიყვებოდა ზაზას მამა.

კეთილი.

მეც მინახავს ეგ ჩქარი, თუმცა ავანისხევი ქვია, ახალსოფელში, ძველ გავაზში, იქ არის ერთი თავწმინდა უძლიერესი გიორგი. იქაც, 6 მაისს ადიან მლოცვლები მთელი კახეთიდან.

კახი დაგვხდა გალამაზებული, თურმე ერთი ძველი ქართული სახლი თავის ქართული ჭიშკრით, იმერეთში რომ ხშირად გვხდება, წინკარს რომ ეძახიან კრამიტით გადახურული, ორი ბოძი, სწორედ ასეთი გადარჩენილა კახში და მოსწონებიათ აზერებს და მთელი კახის სახლებისათვის სწორედ ასეთი ჭიშკრები შეუბამთ. ქართული საქმე გაუკეთებიათ და ძალიანაც კარგი.

ერთი ძველი აგურისა და ქვისგან ნაგები სახლი, სწორედ ასეთი ძველი წინკარით დაგვანახეს გზიდან. თურმე მიტოვებულია და იქ უცნაური ამბავია მომხდარი.

ცოლ-ქმარი დაბინავებულა და ცოტა ხანში ორივე გამქრალა. ოცი წლის მერე კაცი დაბრუნდა და ყრუ-მუნჯად იყო ნაქცევი. არაფერს ყვებოდა, მალე კი გარდაცვლილა და აღარავინ შესულა ამ სახლში საცხოვრებლად. მეზობლები იმასაც ამბობენ, რომ სახლიდან შუაღამეს უცნაური ხმები გამოდის, ქალის კივილი, ხანდახან კი წივილიც კი.

ამ სახლს რომ გავცდით, გამოჩნდა კახის წმინდა გიორგის ტაძარი. ბზობას აღნიშნავდნენ კახელები. ჩვენც

შევედით. ამ ტაძარს ძალიან საინტერესო ეზო აქვს, აქ იმ ადამიანების საფლავებია, ვინც ისევ გააქართველა ჰერ-



ელები, ვისაც ამაგი აქვს მათ თავიდან ქართული ენის შესწავლაში და მოქცევაში.

უცნაურია, რომ თუთის ხე მათი საფლავებისკენ ბუნებრივად გადახრილა, დაუჩოქებია და კვლავ ასულა მაღლა.

მოძღვარი, როგორც ქრისტეს მხედარი ასე მყარად იდგა და აღასრულებდა თავის საქმეს. ლოცვითი წიგნი თამარა ბებოს იქ შევუძინეთ, სანამ საქართველოდან ჩავიტანთ. სანთლები დავანთეთ, ვილოცეთ წმინდა გიორგის ხატთან და იქ მყოფებს ბზობის დღესასწაული მივულოცეთ.

ტაძრის ეზოში სახელდახელოდ გავმართეთ ქართული სკოლის მოსწავლეებთან და ასევე, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრებთან ერთად პოეზიის საღამო. ბევრი ლექსი ითქვა, მერე ვისაუბრეთ თანამედროვე ქართველ მწერლებზე, ბოლოს კი ჰერეთელმა ბიჭებმა გვიმღერეს და გამოგვაცილეს.

ანსამბლს ქართულის ფორმები არ აქვს. აქ ჭირს ჩოხა-ახალუხების მოძიება და შეკერვა მით უმეტეს, არც გადმოტანაა ადვილი.

შემდეგ ხეობისკენ ავინაცვლეთ და თამარის ხიდისკენ წავედით.

ეს ხეობა და მიმდებარე მიწები ქართველების საკუთრებაა, თუმცა შეუსყიდიათ ბაქოელ აზერბაიჯანელებს და დაღესტნის საზღვრამდე საკუთარი დასასვენებელი აგარაკის სახლები აუშენებიათ. გზაზე შემოგვხდა მაღალგალავანშემორტყმული ალიევების რეზიდენცია. თურმე ალიევების ოჯახს ყველა რაიონში სწორედ ასეთი გრანდიოზული რეზიდენცია აქვთ და საზაფხულოს, ან საზამთროდ ან სტუმრებისთვის იყენებენ.

დაღესტნის საზღვარზე კი უცნაური ციხე შემოგვხდა, ისეთია ფეხს არ მიგაკარებინებსო, როგორც ჩანს ძველი მეციხოვნეებისაა და იქვე, უკვე ხეობის ბოლოს თამარის ულამაზესი ხიდია, მდინარე ქურმუხზე გადებული. ორ კლდეზე ამოშენებული აგურის ხიდი აგერ მერამდენე საუკუნეა მყარად დგას, დგას და თამარის და ჩვენი საქართველოს ოქროს ხანას, საუკუნეს აცოცხლებს, მდინარე ქურმუხსაც უძლებს.

იქაურობა აზერბაიჯანს ნაკრძალად აქვს გამოცხადებული. ზაზას ბიძამ, აქვე ახლოს არის ლეკების სოფელიო. ციხე-ქალაქი. ლეკები გვეძმობილებიან ქართველებს, ნათესავებს გვიწოდებენო და გვაქვს ასეთი ძმობა, სანადიროდ გვეძახიან ხოლმეო. თურმე ამათ საზაფხულოდ მაღლა ალპურ ზონებისკენ აჰყავთ საქონელი და იქ ლეკები და ქართველი მწყემსები ერთად ბინადრობენ. შატილს ჰგავსო ძალიან ის სოფელი, გადაბმული სახლებიაო და ბანიანი ციხეები. აგიყვანდით, თუმცა ახლა იქ დიდი თოვლია და შეგცივდებათო.

შემდეგ კი დავეშვით კახიდან და შემოვუარეთ ამ ულამაზეს ხეობას და წავედით ქურმუხის წმინდა გიორგისაკენ.

ასასვლელი ჰგავს ნეკრესის გზას. იქვე აზერებს გამოუკრავთ თავიაანთ თათრულ ენაზე, რომ ეს ძეგლი ალბანურიაო და მესამე-მეოთხე საუკუნეებს ეკუთვნისო. აბრეშუმის გზაზე რომ დგას ეგეც კი ეწერა, მაგრამ აი, შემდეგ ცამეტ საუკუნეზე მეტი რომ უკვე წმინდა გიორგისაა ეგ კი დავიწყებიათ.

აქ, მართლაც უცნაური გარემოა, როგორც ჩანს ვულკანურ ქანზე, რომელზეც ულამაზესი აკაციების ტყე გაჩენილა ხანძრის ჩაქრობის მერე, შავ-შავი ვულკანური ქანები აქლემების კუზებს წამგვანებია. ზაზამ, ერთხელ თურმე აქაურ ბერებთან აქლემების მექარავნეებს რაღაც შეეშალათ და ბერებმა ძაან ცუდად მიაწყევლეს და დილით გაქვავდნენო და ახლა ამ აქლემებს ვუყურებთო. ბორცვებზე ადიხარ და თვალწინ გეშლება მთელი მიწიერი სასუფეველი. ზურგს უკან კავკასიონია, მთების ზურგიდან ერთი-ორი თეთრი ფთილა ღრუბლისა თუ ამოიპარება, დანარჩენი სანახაობა კი წინაა. შირაქის ველი, მთელი ალაზნის ხეობა, მთელი ველი და სიგიჟე შენს თვალწინაა, მთავარია თვალი არ მოგჭრას ამ სილამაზემ, იტვირთო, შეძლო დაიტიო შენს პატარა მოლეკულა კოსმოსში.

მოხდა კიდევ ერთი უცნაური ამბავი: ღიაა ეკლესია. ეს იმდენად იშვიათი რამეაო, ზაზას მამამ და ბიძამ ვერაფერს ვიტყვითო. მხოლოდ გიორგობას, 6 მაისს იხსნებაო, დანარჩენ დღეებში სულ დაკეტილიაო. აგურის ტაძარს ახლა გუმბათიც აქვს და ჯვარიც. გურამ თიკანაძის ფოტოზე რომ არის დაქცეული, იქ მართლა წარმართულსა ჰგავს. ეს ხომ ადრე მთვარის ტაძარი იყო და თურმე ბერად ადამიანს შეუთქვამდნენ, ზურგზე ჯაჭვს მოახვევდნენ და ნატები, ტაძრის ქურუმები, ფეხშიშველს ატარებდნენ ტაძრის გარშემო, ეს ფეხშიშველა სიარული ხომ ახლაც არის შემორჩენილი, მერე კიდევ ზღრუბლთან დანას, მახვილს დაარტყამდნენ და ამ კაც-

მსხვერპლზე უნდა გაგევლო, ფეხი დაგეგდა, რაღაცა მადლი წაგეღო.

სანთლები დავანთეთ, ვილოცეთ. საქართველოს ჯვრიდან ჩამოსვლა და აღდგენა-გამთლიანება ჩავუთქვით, ლექსებიც გადავძახეთ ქვევითა საქართველოს და დავბრუნდით. სატაცურები და უამრავი მწვანილობები, ყვავილობები და უცნაური ხატის ტყე.

ასეთი საოცარი რამეა ჰერეთი.

სახლში დაღლილები მოვედით.

სახელდახელო სუფრაც გააწყვეს.

ისეთი გემრიელი რამე მოგვიხარშეს სხვაგან რომ ვერ ჭამ, ჰერეთული ამბავია, ნაზი ბებომ გვასწავლა:

რეცეპტი ჰერეთიდან

ნაკეპი ცომი მოხარშული ქათმის წვენში

ცომს მოვ ზელთ და გავაპრტყელებთ, დავჭრით კუბიკებად,

მერე ცერა თითის გასმით მივცემთ ფორმას.

ჩავყრით მდუღარე მოხარშულ დედლის წვენში, ბულიონში და

მოვხარშავთ.

იჭმევა წვენთან ერთად, სურვილისამებრ მოხრაკულ პამიდორთან ერთად, რომელიც ახალი ქინძითაა შეკაზმული.

კიდევ, სხვანაირი გემრიელი ღვინო აქვთ აქურებს, ღვინო და ჩაი. აღმოსავლეთია, კავკასია.

წამოვედით და დავემშვიდობეთ ულამაზეს საქართველოს, რომელიც საზღვრების იქეთაც და აქეთაც საქართველოა.

ნადირმა არც ერთი წამით არ დააგვიანა.

გზაზე ამირანმა აიწყვიტა, რა თქმა უნდა, ჯაჭვი და ბევრი იმღერა, სიმღერა ამირანისა სხვა დროს.

ჯარიდან ახლადჩამოსული ბიჭის ეზოში გაშლილი სუფრებიც ნელ-ნელა ირეოდა. სოფელი თითქოს ბზობას დღესასწაულობდა, ამ ახლაწვეულის სახელით.

პ.ს. უკვე ბზობა, 9 აპრილი მთავრდებოდა. საზღვარს ისევ ფეხით ვკვეთდით, ისევე გაწვიმდა.

მე ძეგვის ბავშვთა სახლისთვის მზიურის პარკში პოეტებთან ერთად საქველმოქმედო საღამო უნდა გამემართა, მაგრამ ჰერეთი დამემართა. ჩემი მეგობრები კი ქარსა და წვიმაში, ზუსტად 25 ლარის გამო გაიყინენ, ასე იყო.

აზერმა მესაზღვრემ, სანამ დამიდასტურებდა უკან დაბრუნებას, ორჯერ ამომხედა და ერთხელ კამერაში ჩამახედინა, ზაზას უთხრა თავის ენაზე, შეხედავ ბავშვს ჰგავს და აქ კიდევ მეეჭვება თარიღიო.

გამაღიმა, ალბათ, სახე ჩამომტიროდა, მაინც. ჰერეთის გამო და ისეც.

ატმის ბაღს კოკისპირულ წვიმაში გავცდით.

და დავბრუნდით საქართველოდან საქართველოში.

ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

მარინე მახარაშვილი

არბოშიკი

ბაქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, რომლის ჩრდილო დასავლეთით არის სოფელი არბოშიკი.მისი გეოგრაფიული კოორდინატებია ა.განედი 46°10′ და ჩ.გრძედი 41°41′ .სოფლის ჩრდილოეთით მდებარეობს სოფელი მაჩხაანი , სამხრეთით სახნავ სათესი მიწები, ხოლო ჩრდილო დასავლეთით სოფელი მირზაანი.სოფელი მუნიციპალიტეტიდან 23კმ-ითაა დაშორებული.

არბოშიკი ადრე სიღნაღის რაიონში შედიოდა, ხოლო 1938 წლიდან, როდესაც მოხდა რაიონის გაყოფა არბოშიკი მიეკუთვნა წითელწყაროს (წ/წყარო გასაბჭოების მერე ეწოდა).

ხეობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა მიმართული. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან სოფელს აკრავს ბორცვები, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე 40-50მ-ია.ხეობაში მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო, ბორცვების შემაღლებულ ნაწილში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასახლდა. ამგები ქანების მნიშვნელოვანი ნაწილი დანალექია. არის გაშიშვლებული ქანები, სადაც კარგად მოსჩანს მათი შემადგენლობა და განლაგება. ამგები ქანები შედგება: თიხის, ქვიშის, ქვიშაქვებისაგან. სოფლის მიდამოში არ მოიპოვება სასარგებლო წიაღისეული.

სოფლის რელიეფი ბორცვიანია.ზღვის დონიდან 600 მ. სიმაღლეზეა. არბოშიკს შუაზე ჰყოფს მშრალი ხეობა.სოფელი ამ ხეობის გაღმა-გამოღმა მხარესაა გაშენებული. წყალშემცველი ფენები ზედაპირთან ძალიან ახლოს მდებარეობს, ამიტომ წყალი ამოდის 5-7მ. სიმაღლეზე.სამეურნეო დანიშნულებისათვის და სასმელად მოსახლეობა ამ წყალს იყენებს. სოფელში ასეთი ჭები ბევრია.

ჰავა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში კონტინენტურია ზამთარი ხანმოკლე და ცივი, ზაფხული ხანგრძლივი და ცხელი. გარდამავალი პერიოდები გაზაფხული და შემოდგომა კარგადაა გამოხატული. ყველაზე ცივი თვე იანვარია. მშრალ და დაბალი ტემპერატურით, რომელიც ზოგჯერ -5 -10 - მდე ეცემა. ხშირად იჭრება ცივი ჰაერის მასები, რაც იწვევს ტემპერატურის მკვეთრ დაწევას, ხოლო ხანდახან ტემპერატურა +5 +6 გრადუსს აღწევს. ზაფხულობით სოფელში ნალექები მცირე რაოდენობით მოდის.გარდამავალი პერიოდები არც ისე ცივია.ამ დროს ხშირად იცის ნისლი და ღრუბლიანობა. ნალექების დიდი რაოდენობა ამ პერიოდებს ემთხვევა. წლის განმავლობაში ნალექების რაოდენობა 300 — 400 მმ-ია. თავსხმა წვიმები მოდის მაისის და ივნისის პირველ ნახევარში, რომლებიც იწვევს ღვარების წარმოქმნას და მშრალი ხეობები ამ დროს ძალიან დიდდება.

სოფელში ტყე-სტეპის ზონისათვის დამახასიათებელი მცენარეულობაა. განსაკუთრებით ბალახოვანი მდელოები. გაზაფხულობით როდესაც დათბება და წვიმებიც ხშირია, ბალახოვანი მცენარეები სწრაფად იზრდება და ბუნებაც ძალიან ლამაზად გამოიყურება. სოფელში გვხვდება სიმშრალის მოყვარული მცენარეები, განსაკუთრებით აკაცია. იმ ფერდობებზე, რომლებიც ჩრდილოეთით

სოფლის შესასვლელი დედოფლისწყაროს მხრიდან


სოფელ არბოშიკის ხედი

მდებარეობს და სამხრეთული მიმართულება აქვს მხოლოდ ბუჩქნარები იზრდება, ჯაგეკლიანები, მათ შორის მეორადი სახეობა ძეძვი, ხოლო ის ფერდობები რომლებიც სამხრეთით მდებარეობს და ჩრდილოეთის მიმართულება აქვს დაფარულია ტყის საფარით. ტყის ძირითადი შემადგენელი მცენარეებია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, იფანი.ტყე მდიდარია ნაყოფის მომცემი მცენარეებით, გვხვდება: შინდი, ზღმარტლი, კუნელი, პანტა, მაჟალო. სოფელში უხვადაა დარგული ნაყოფისმომცემი მცენარეები: ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ბროწეული, ატამი, ქლიავი, გარგარი, კაკალი და სხვა. სოფლის განაპირა მიდამოებში იშვიათად გვხვდება გარეული ცხოველები: ტურა, მაჩვი, მგელი, ზღარბი, გარეული კურდღელი, კვერნა. ფრინველებიდან ბევრია: ბეღურა, ჭილყვავი, კაჭკაჭი, გვრიტი, შაშვი.

ამგები ქანების უმეტესობა დანალექია. გვხვდება შავმიწა და წაბლა, ხოლო, გაშიშვლებულ ადგილებში ხირხატიანი ნიადაგები .სოფელში 8 ბუნებრივი წყრო და 2 არტერიული ჭაა. მათი სახელები ძირითადად სოფლის საგვარეულო უბნების სახელებიდან წარმოდგება. უთრუთაანთ წყარო, სეფიაანთ წყარო, გოგაანთ წყარო, გზირიაან წყარო, წანწკარა წყარო, ხუციაანთ წყარო.

არბოშიკის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობებია შემონახული. მხოლოდ ზეპირი გადამოცემით თუ შეიძლება ცოტაოდენი მნიშვნელოვანი მასალის შეკრება მისი ისტორიის შესახებ. სოფლის სახელწოდების შესახებ ზუსტი ცნობა არ არსებობს, თუმცა მრავალი ლეგენდა თუ მოსაზრებაა ამასთან დაკავშირებით. რამდენად დასაჯერებელია ეს ლეგენდები ამის განსჯა ძნელია.ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით თამარ მეფე ყოფილა დღევანდელი არბოშიკის ტერიტორიაზე. კვირიკეზე (ეკლესია) რომ ასულა დაუსვენია. თანმხლებთ უკითხავთ: როგორია თქვენი შთაბეჭდილება ამ ადგილზეო? გადმოუხედია და უთქვამს: „რა ვიცი ერბოში კი არისო და “. ასოების შეცვლით წარმოშობილა სახელწოდება არბოშიკი.

არსებობს სხვა ლეგენდაც.ერეკლე მეფე ერთ-ერთი ბრძოლის დროს გედიქის ხევთან ყოფილა დაბანაკებული. ახლო მახლო სოფლებიდან მეფისთვის სურსათი მიურთმევიათ, მათ შორის ყოფილა ქადა, რომელიც ერეკლეს ძალიან მოსწონდა და უკითხავს - ვინ მოიტანა ეს ქადა ერბოში რომ ცურავსო. ამის შემდეგ ადგილს საიდანაც ეს ქადა მოიტანეს არბოშიკი დაარქვეს.

არსებობს მოსაზრება, რომ არბოშიკისათვის ეს სახელი რუსებს დაურქმევიათ. აქაურ მოსახლეობას ბევრი

გოგაანთ წყარო



ურემი ჰყოლიათ და ქირით დადიოდნენ თურმე საშოვარზე. „ Арба “ - ურემი, „ Арбавшик “ - მეურმეს ნიშნავს. საიდანაც წარმოშობილა სიტყვა არბოშიკი. არბოშიკის სახელწოდება ხევების სახელწოდებებთან უნდა იყოს დაკავშირებული. „დარაბაში“ - ხევის თავს მდებარეს ნიშნავს. „ჰარა ბაში“ კი ყველაზე ზემოთ, თავში მდებარეს. საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი ამ ფრაზიდანაა წარმოშობილი სოფლის სახელი. თავდაპირველად დღევანდელი არბოშიკის ტერიტორია ტყიანი ადგილი ყოფილა. შიშიანობის (თათრების შემოსევების) დროს აქ იმალებოდა ახლო - მახლო სოფლებიდან გამოქცეული მოსახლეობა და შემდეგ საცხოვრებლადაც აურჩევიათ.

ეს ადგილი წყლით მდიდარი ყოფილა და ამასაც მოუზიდავს ხალხი, რადგან ქიზიყის მრავალი ადგილისათვის დამახასიათებელია წყლის უქონლობა. ვარაუდობენ, რომ სპარსელთა შემოსევების დროს, ესე იგი XVII საუკუნეში არბოშიკი, როგორც სოფელი არსებობდა. ეს კარგად ჩანს ტოპონიმებიდან, როგორიცაა „გედიქის ხევი“ და სხვა. დღევანდელი სოფელი არბოშიკი, როგორც ჩანს (თუნდაც საფლავების დათარიღებიდან) XVI საუკუნიდან არის გაშენებული. თუმცა გათხრების შედეგად მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია უძველესი დროის ნამოსახლარები.სოფელს ეკუთვნის ტერიტორია, რომელსაც „გზირიანი“ ეწოდება. მჭიდრო დასახლების გამო, მცხოვრებლებმა XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს ამ ტერიტორიაზე დასახლება. ჭების ამოთხრის დროს დაახლოებით 20 მეტრზე აღმოჩენილია უამრავი არქეოლოგიური ნივთები: თიხის, რკინის და ბრინჯაოს სამაჯურიც კი. სკოლა დაინტერესდა აქ აღმოჩენილი მასალებით. მოიწვია კახეთის არქეოლოგიური ცენტრის სპეციალისტები და აღმოჩნდა, რომ „გზირიანის“ ტერიტორიაზე 3 სხვადასხვა შრეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ხალხი ცხოვრობდა სამ სხვადასხვა პერიოდში: პირველი პერიოდი არის ძვ.წ.აღ II- I ათასწლეული ანუ გვიან ბრინჯაოს ხანა, მეორე პერიოდი ძვ.წ.აღ. VI-II საუკუნე; მესამე პერიოდი ფეოდალური ხანა. არქეოლოგების მხრიდან დიდი იყო ინტერესი აქ აღმოჩენილი ნივთებისადმი, მაგრამ რადგან ჩვენ ქვეყანას არა აქვს ეკონომიურად იმის საშუალება, რომ აქ აწარმოოს არქეოლოგიური გათხრები, ყველაფერი ხელუხლებელია.გზირიანში აღმოჩენილ მასალას სკოლა ინახავს და უფრთხილდება იმის მოლოდინში, რომ დადგება დრო როდესაც ყველაფერს ზუსტად დაადგენენ და თავის სახელს დაარქმევენ არქეოლოგები.

მოსახლეობაში გადმოცემით არსებობს აზრი, რომ „გზირიანში“ ადრე სიცოცხლე ჩქეფდა , მაგრამ იქ გავრცელებულა „შავი ჭირი“, მოსახლეობას მიუტოვებია იქაურობა და წასულა სხვა ადგილას (მის მიმდებარე ტერიტორიაზე) საცხოვრებლად. აქ აღმოჩენილია ადამიანის





ძვლები. არქეოლოგების ვარაუდით აქ შეიძლება სამარხიც ყოფილიყო. დღეს არბოშიკის ძველ უბნებში საკმაოდ მჭიდრო დასახლებაა, ასეთი მჭიდრო დასახლება მტრის ხშირ თავდასხმებზე მიუთითებს. სოფელში ალადაშვილები ყველაზე დიდი გვარს წარმოადგენენ. XX საუკუნის 10-იან წლებში სოფელ მირზაანიდან არბოშიკში მოსულან ხუციშვილები, გონაშვილები და სხვანი, რომლებიც დასახლდნენ სოფლის ბოლოს აღმოსავლეთით - კოტაანის უბანში, ხოლო სოფლის თავში - ფარხაჩაანებში 1934 წლიდან ჩასახლდნენ სოფელ ზემო მაჩხაანიდან მოსული ხალხი, რადგანაც მაჩხაანში სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ. არბოშიკის სახნავ-სათესი საძოვარი მინდვრები სხვადასხვა ადგილზე აქვს: შირაქში, ტარიბანაში, ვაკეში, ხირსაში, იორზე და მწარე წყალზე. მინდვრები საკმაოდ დიდია.არბოშიკელების ძირითადი საქმიანობა ძველადაც და ახლაც არის ხვნა-თესვა, მეცხოველეობა და მევენახეობა. ადრე არბოშიკელ გლეხთა ნაწილს უჭირდა ცხოვრება, რადგან მათ არ გააჩნდათ საწარმოო საშუალებანი, ამიტომ „ბედის საძებნელად“, შორს, სხვაგან, ძირითადად განჯაში მიდიოდნენ და იქ მცხოვრებ გერმანელებთან დაქირავებულნი თვეობით რჩებოდნენ. დღესაც დაგისახელებენ განჯაში სისტემეტიურად მომუშავეებს: ზაქარია პატატიშვილს, თედო ჭრელაშვილს, ილია ბენაშვილს , მოსე ალავერდაშვილს, გიორგი ფაციაშვილს განჯიდან ცოლიც მოუყვანია.

ძველად არბოშიკში იშვიათად მოიძებნებოდა წერაკითხვის მცოდნე ადამიანი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ მღვდლის ან დიაკვნის შვილები თუ ახერხებდნენ განათლების მიღებას სიღნაღის ან თბილისის სასწავლებლებში . არბოშიკში, ისე როგორც ქიზიყში, თავადები არ ყოფილან.

სწავლამოწყურებული არბოშიკელები მოკლებულნი იყვნენ საკუთარ სკოლას. ახალგაზრდობის მცირე ნაწილი ძლივს ახერხებდა მეზობელ სოფლებში მირზაანში და ქვემო მაჩხაანში სწავლას, სადაც ღებულობდნენ 4-7 კლასის განათლებას.

1924 წელს ააშენეს სასკოლო შენობა დაწყებითი კლასებისათვის. მეორე მსოფლიო ომში სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა იყო ჩაბმული. 360 ჯარისკაცი დაკარგა სოფელმა. მათ სახსოვრად აშენდა შინმოუსვლელთა ობელისკი. სამამულო ომს შეეწირა არბოშიკელი ახალგაზრდა პოეტი დავით პატატიშვილი. მისი სახელობისაა დღეს არბოშიკის სკოლა.

სოფელი ამაყობს თავისი ღირსეული შვილებით. აქ გამოიზარდა მრავალი გამოჩენილი ადამიანი, რომელთაც ასახელეს სამშობლო: იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ერობის სახელი დავითი) ალადაშვილი, აკადემიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი, პროფესორი ვახტანგ ალადაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი არჩილ გონაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ დათუკიშვილი, მხატვარი ალექსანდრე ალადაშვილი, საოპერო მომღერალი ტარას ბაღაშვილი (მღეროდა „ლასკალას“ თეატრში, დამსახურებული პედაგოგი დავით ალადაშვილი; კიდევ მრავალი სხვა ვისითაც ამაყობს სოფელი.


აკადემიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი

ოდითგანვე სოფელზე თვითონ სოფლის მცხოვრებნი ზრუნავდნენ. არბოშიკში უცხოვრია ვინმე მურია ალადაშვილს. ეს კაცი უშვილო ყოფილა. უმუშავია იორზე.


მურია ალადაშვილი

ერთხელ ივრიდან წასულა სოფელში. ამით უსარგებლიათ თათრებს და მიჯნა (მიჯნა დიდი ქვის ლოდი ყოფილა) გადმოუწევიათ, თან მურიასათვის შეუთვლიათ, როგორც იტყვი ისე და იმით გცემთ პატივსო, მაინც შვილი არა გყავს და ძირიო... პასუხი ასეთი ყოფილა: სოფელში, რაც ბავშვია ყველა ჩემი მომავალიაო. წასულა სოფლის კაცებთან ერთად მოუკიდია ზურგზე ის ლოდი და ორი იმდენი მანძილი თათრებისაკენ გადაუწევია. დღესაც მისეულ სახლში საბავშვო ბაღია მოთავსებული.

სოფელში იხსენებენ დათუკიშვილ ილას (ცეტა ილა), რომელიც შეძლებისდაგვარად ზრუნავდა სოფელზე. ერთხელ სოფლის მეცხვარეს ლეკები დასცემიან. მოუკლავთ მწყემსი და ცხვარი გაუტაციათ. ეს გაუგია ცეტა ილას და რამდენიმე კაცით გამოსდგომია ლეკებს, ცხვარი წაურთმევიათ და რა თქმა უნდა ცხვრის გამტაცებელი ლეკებიც არ გაუშვიათ ცოცხალი. ცეტიც იმიტომ დაურქმევიათ, რომ სიმართლისათვის ყოველ ბრძოლაში დაუფიქრებლად მიდიოდა ყოველგვარ რისკზე. სოფლელები და სოფელი მას „ცეტა ილას“ სახელით სცნობდა.

როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულა რამდენიმე სული ძროხა და ცხვარი ჰყოლია, ამიტომ კულაკად ჩაუთვლიათ და საქონელი სულ ჩაუბარებინებიათ. როგორც ეტყობა ჭკვიანი კაციც ყოფილა და ამბის გასარკვევად თბილისში წასულა. მეგობრებთან ერთად შესულა მაშინდელ ცეკას პირველ მდივანთან, მაგრამ ის და მისი მეგობრები იქიდან ვეღარ გამოვიდნენ და დახვრიტეს 1928 წელს.

ცეტა ილა მეგობრობდა „დედას ლევანასთან“, იმ დედას ლევანასთან, რომელიც ქართული სიმღერების არაჩვეულებრივ შემსრულებლად და ხალხური მელოდიების გადამრჩენად ითვლებოდა მაშინაც და ახლაც.

დღეს ხმალ-ხანჯლის სცენიურ სამშვენისადღა დარჩა. თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ხმლის ოსტატიც - სულ საქართველოში თხუთმეტამდე კაცი თუ იქნება. მათ შორის არის არბოშიკელი ზაზა ალადაშვილი, რომელიც მეხმლეც არის, ჭაჭვის პერანგებსაც ქსოვს და ფარებსაც აკეთებს.

ხელობით შემდუღებელს 90-იან წლებში დაწყებულმა გაჭირვებამ ააღებინა ხელში ჩაქუჩი და მიიყვანა გრდემლთან. მას მერე მის ქურაზე იჭედებოდა კაზაკური, არაბული, შამირი, კახური პირები, თურქული, მონღოლური სატევრები, ქართული ხმლები, ეს ყველაფერი კი ნახატიდან ან ფოტოსურათებიდან არის აღებული. ყველა ორნამენტი განსხვავებული, ძალიან ლამაზი და გამორჩეულია, თუმცა მისთვის და ჩვენთვისაც ქართულს ვერაფერი შეედრება. ქართულში არის წარწერებიც, გვხვდება ყურძენიც, ყაყაჩოებიც და რა თქმა უნდა ჯვრებიც. ხელობა მარტო მან კი არა მისმა ცოლმა და შვილმაც ისწავლა, სურვილი აქვს ასწავლოს სხვებსაც.

არბოშიკელებს განსაკუთრებით უყვართ თავიანთი სოფელი და მის პრობლემებზე შესტკივათ გული. ასეა სოლომონ გოგაშვილი ანსამბლ „ჩვენებურების“ წევრი. უკვე 12-14 წელია ფესტივალ „არტგენთან“ ერთად მოგზაურობს საქართველოს რეგიონებში. ამ ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად სხვადასხვა რეგიონში ტარ-

ილო (ცეტა) დათუკიშვილი და ვარდო ბაცაცაშვილი


წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი

დება შემოქმედებითი ღონისძიებები და ხედავდა როგორ იცლებოდა სოფლები. იმ განცდამ, რომ არბოშიკიც განახევრდა და აღარ არის სოფლის ნახევარზე მეტი მოსახლეობა სოფელში და სოფელზე ფიქრმა და დარდმა მიიყვანა ბატონი სოლომონი გადაწყვეტილებამდე – მიგრაციის პრობლემა მუსიკალურ ჭრილში გადაეწყვიტა. სულ ახლახან გამოვიდა კლიპი. კლიპის შინაარსი ერთი ჩვეულებრივი ქართული სოფლის რეალობას ასახავს, რომელიც დაცლის საფრთხის წინაშეა. ამ სოფლის მაგალითით მთელი საქართველოს სოფლების სატკივარია ასახული და ქართველი კაცის გულისტკივილი.

არბოშიკს ყავდა თეატრალური დასი. ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლებითაც იყო განთქმული.

სოფელი რისი სოფელია თუ რამე მითიური ამბავი არ მოისმინე. არბოშიკელები მაშინვე გიამბენ ბაცაცაანთ ალზე. დიდი ხნის წინ, როცა ჯერ კიდევ ჩვენი ბებია პაპები ბავშვები იყვნენ ბაცაცაშვილების გვარის ერთ-ერთი ოჯახის წევრმა შენიშნა, ცხენს რომ საბალახოდ უშვებდა, ცხენი იქიდან გაოფლილი, შეშინებული და ფაფარდაწნული ბრუნდებოდა. ამიტომ ამ კაცს ცხენისთვის დაუსხია კუპრი და იმავე საღამოს ცხენს მოუყვანია ქალი, რომელიც ცხენზე დამჯდარა, კუპრს კი ჩამოსვლის საშუალება აღარ მიუცია. ქალი ყოფილა გაშლილი თმით და გრძელი ფრჩხილებით. ქალისთვის დაუჭრიათ ფრჩხილები და დაუმალიათ. რასაც ეუბნეოდნენ ქალს ან ავალებდნენ ყოველთვის საწინააღმდეგოდ იქცეოდა. ეს ქალი წლების მანძილზე ცხოვრობდა მათთან და ემსახურებოდათ. ერთხელ ბავშვის წყალობით უპოვია ალს თავისი ფრჩხილები. როგორც კი ფრჩხილები აუღია მაშინვე გამქრალა სახლიდან. სოფელში კი დარჩა გამოთქმა: რა ბაცაცაანთ ალივით უკუღმა უნდა გელაპარაკო?!

სოფელს ამშვენებს მაღალ გორაზე აღმართული წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია, რომელიც XVII ს-ის ძეგლს უნდა მიეკუთვნებოდეს. ტაძარი ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, რომელსაც მიშენებული აქვს XIX საუკუნის დროინდელი ქიზიყის ტაძრებისათვის დამახასიათებელი სამრეკლო.

28 ივლისს, წმინდა კვირიკეს ხსენების დღეს სოფელში დიდი ზეიმია. ამიტომ სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები არბოშიკელები ამ დღეს თავს იყრიან და წმინდა კვირიკეს სახელობის ტაძარში აღევლინება წირვა-ლოცვა ღამისთევით.

ამავე ტაძრის ეზოშია დაკრძალული მიტროპოლიტი გიორგი ალადაშვილი (1850 — 1924). სხვადასხვა წლებში იგი განაგებდა გურია - სამეგრელოს, იმერეთის, წილკნისის და ჭყონდიდის ეპარქიებს. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების ძალადობით დამყარების შემდეგ მცხოვანი მიტროპოლიტი პენსიაში გადის და განაგებს წმინდა სტეფანე ხირსელის სახელობის მონასტერს. უღმერთოთა მიერ მონასტრის დარბევის შემდგომ მიტროპოლიტი გიორგი იძულებული გახდა მშობლიურ სოფელს შეჰკედლებოდა, სადაც რამდენიმე კვირაში აღესრულა.


მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი)



ზაზა ალადაშვილის ნაკეთობები



სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1, 5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ხომხელის (ადგილის ტოპონიმი) წმ. გიორგის სახელობის ტაძარი, რომელმაც ჟამთა სიავეს ვერ გაუძლო. ტაძარი დღეისთვის აღდგენილია სოფლის ყოფილი მკვიდრის მამა გიორგის (გუგენიშვილი) თაოსნობით.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მანძილზე, მდებარეობს ტყის მასივი, რომლისთვისაც დამბადებელი დაურქმევიათ. სწორედ ამ ადგილას აუგიათ „ღვთისმშობლის“ სახელობის ტაძარი.

ოდითგანვე სოფელში განვითარებული ყოფილა მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა. ძველად სოფელში ჰყავდა კამეჩები. ჰქონდათ ყველის წარმოება. კამეჩები ურემშიც ჰყოლიათ შებმული და გამწევ ძალადაც ითვლებოდა. სოფელში განვითარებული იყო მეცხვარეობა, ამიტომ კარგად იცოდნენ და დღესაც იციან მატყლის დამუშავების ხელოვნება. სათანადო დამუშავების შემდეგ იყენებდნენ ბუნებრივ საღებავებს: ენდროს, კაკლის წენგოს, ხახვის ფოჩს, კომშის ფოთოლს და სხვა.

ძაფისაგან ქსოვდნენ წინდებს, პაჭიჭებს(უძირო მაღალყელიანი წინდა) ხურჯინებს, ცხენის გადასაფარებლებს, ფარდაგებს, ხალიჩებს. ყველა ეს საქმიანობა მივიწყებულია, თუმცა შემორჩენილია წინდების ქსოვის ხელოვნება. თითქმის ყველა ოჯახში ინახება ნაკვანძით ქარგვის ხელოვნების ნიმუშები. გამოირჩეოდა მარიამ ბალიაშვილი, რომლის ნამუშევრები სოფ. მირზაანის ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში ინახება.

საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წნელისაგან ამზადებდნენ გოდრებს, გოგროხებს, ლასტებს. ლასტებს იყენებდნენ ეზოების შემოსაღობად და ხილის გასაშრობად.

სამშენებლო მიზნით წვავდნენ აგურს, კრამიტს, კირს, ამზადებდნენ ალიზს. გაჯის წარმოება არ იცოდნენ სოფლის მცხოვრებლებმა, ამიტომ იოსებ ნინიკოს ძე ტეტელოშვილმა ნახა და ისწავლა სხვაგან, საცდელად კი პირველი გაჯი მან ყარღოზე გამოწვა. სოფელში იყო სამჭედლო, სადაც ამზადებდნენ შრომის იარაღებს.

არბოშიკელები ტრადიციების მიმდევარი და პატივისმცემელი ხალხიც არიან. დღესაც ბევრი ოჯახია, სადაც საგვარეულო ზედაშე აქვთ. საზედაშე ღვინოც ისხმება პატარა ქვევრში და სანთელიც ყოველთვის ინთება. სოფელში მოსული სტუმარი ღვთის კაცია სოფლის მოსახლეობისთვის, სტუმარს აქ არც სიყვარული მოაკლდება, არც პატივისცემა და გამგზავრებისას სოფლის ნობათსაც ხელგაშლით ბარაქიანად უნობათებენ.

ნანა ჭიჭინაძე

ატირეთ წვიმები

ელიაობის დღეს, 2 აგვისტოს, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ოფისში ცნობილი პოეტის თემურ ჩალაბაშვილის წიგნის – „ატირეთ წვიმები...“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოიცა. პოეტმა ეს წიგნი ძვირფასი მშობლების, რუსუდან ღვედაშვილისა და ბეჟან ჩალაბაშვილის, ხსოვნას მიუძღვნა.

პრეზენტაცია მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით გაიმართა, მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნანა ჭიჭინაძემ ასოციაციის წევრებს სიუპრიზი მოუწყო; თუ ერთი წლის წინ სათნოების სახლში მზია ხეთაგურის წიგნის „ღამის დარაჯი“ და სულ მოკლე ხანში ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ეთერ ფაცურიას წიგნის „მუხის ფოთლები“ პრეზენტაციაზე თავად ავტორები ვერ ესწრებოდნენ, ამჯერად ასოციაციას წევრებს და პოეტის თაყვანისმცემლებს თემურ ჩალაბაშვილი პირადად შეახვედრა. მე პირადად ვესწრებოდი 29 მაისს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში თემურ ჩალაბაშვილის 65 წლის საიუბილეო შემოქმედებით საღამოს და მისი ახალი წიგნის „ატირეთ წვიმები...“ პრეზენტაციას, სადაც პოეტმა მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე წაიკითხა თავისი ახალი ლექსები და საღამოს დამთავრებისთანავე ვთხოვე, როცა მოახერხებდა ჩვენი ასოციაციის ოფისში ასოციაციის წევრებისათვის თავად წაეკითხა ეს საოცარი ლექსები. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა და ელიაობის დღეს გვეწვია ჩვენს ოფისში და სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული საღამო გვაჩუქა, რომელიც სულ ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ერთ მუშტად შეკრულ სტუმრებს პოეტის მონოლოგი გვაერთიანებდა:

„კარგად ვიცი, ვინცა ვარ,
თუ ვინმეა მეცა ვარ,
როცა ვტირი, მიწა ვარ,
გავიცინებ – ზეცა ვარ,
როგორც ბევრი ამქვეყნად,
მოვსულვარ და ქეც წავალ...“

პოეტის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა: თემური ჩვენი კუთხის, ქიზიყის ღვიძლი შვილია, იგი ჯერ დიდი ადამიანია, შემდეგ დიდი პოეტი, მისი ლექსები ერთი ამოსუნთქვით იკითხება და სარბიელი **თემურ ჩალაბაშვილს** დაუთმო:

უსიყვარულობა კმარა

რომ არ მოვეფეროთ დიდხანს,
მზესაც მოაკლდება სითბო,
მკვდარი ქართველები გვიყვარს,
მათ არც უცოცხლიათ თითქოს.
ძმობას გაჯერებულს ფიცით
განა ვინარჩუნებთ დიდხანს,
შეძულება, გიყვარდეს, ვიცით,
ვპასუხობთ ვინც არას გვკითხავს.
ზოგჯერ სიავით და შუღლით
ერთურთს ვეურჩებით, ვურცხვობთ,
ხშირად ერთმანეთი გვძულს და
უფრო ვეფერებით უცხოს.
არა, ქართველებო, არა,
ერთურთს შევეხიდოთ უფრო,
უსიყვარულობა კმარა,
ჩვენში თუ უფალი უფლობს.
რამდენი უცხოელი ერი
ჩვენ ჯიშ-წარმოშობას ნატრობს,
მუდამ შინა გვყავდა მტერი,
გარეთ დავეძებდით პატრონს.



თემურ ჩალაბაშვილი



ავტორმა, ჩემი თხოვნით, მეუღლისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსიც წაგვიკითხა:

გეტა ვარ, გეტა! – მესმის ტელეფონით შუაღამისას

გამომაფხიზლებს
როდემდე ნეტა,
ხმა ტელეფონით –
გეტა ვარ, გეტა!
თან ვბრაზობ,
თანაც ოცნებით ვთბები —
თან სიჭაბუკის
მესხმება ფრთები.
დიდხანს ბუზღუნი
„ნერვების წყვეტა,“
ოღონდ მესმოდეს –
გეტა ვარ, გეტა!

და ასევე:

ნაგვიანევი ლექსი

ყველა მიყვარდა და ჩემგან თურმე
ყველას თავისი წილი მიჰქონდა,
ასე ნელ-ნელა სიცოცხლე ჩემი
დავანაწილე სტრიქონ–სტრიქონად...

ძველი მოტივებიდან

რაც კი ლექსად მიწერია,
ყველა ჩემი ნარითმია,
მახრჩობს სულის მისტერია,
მტანჯავს გულის არითმია...
შენ ერთადერთს – მამულს ნუ მთხოვ,
დანარჩენი – დამითმია!

მწიგნობართა ასოციაციის წევრებმა ფერმერმა გია ნატროშვილმა და მეღვინე-ტექნოლოგმა გოდერძი გონაშვილმა აღნიშნეს, რომ თითოეული ლექსის სტრიქონი სალბუნად ედება მკითხველის გულს, თემურ ჩალაბაშვილის უჭკნობმა ნიჭმა ისევ და ისევ გამაკვირვა. მთელი გულისყურით ვუსმენდი, ვგრძნობდი და ვფიქრობდი თემურის ირგვლივ დრო როგორი უძლურია, მისი თითოეული სტრიქონი შედევრია – დასძინა გოდერძი გონაშვილმა.

საღამოს დასასრულს პოეტმა მადლობა გადაუხადა მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარეს ვანო ნატროშვილს, თანათავმჯდომარეს ნანა ჭიჭინაძეს და თითოეულ წევრს, რომელთა ძალისხმევითაც გაიმართა ეს მშვენიერი საღამო.

მხატვარი (ხატმწერი)

გუჯა ტუჩაშვილი